



ციბიხანი

№ 113
29 ოქტომბერი - 4 ნოემბერი 2012

ISSN 1987-7528



ფასი 2 ლარი



ინტეგრირებული წიგნი
ჯანი, ხომოხს
სსოვხიბის წესი

33. 10

თუ გპოგზრბ რორელირბ სიუჟეტი ან ბაღაცეზბ,
ენვიე "მეცხრე არხის" Youtube-ს.

tv9.ge/youtube

You Tube



ესაღღ დარინახო მუტი

აქ იხილავ ყველა საინფორმაციო გამოშვების და გადაცემის არქივს. კონკრეტული ვიდეო ფაილის მოსაძებნად გამოიყენე ძიების ველი, ან გადადი Playlist-ების გვერდზე, სადაც მასალა გადაცემების და თარიღების მიხედვით არის დალაგებული.

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

რედაქტორები
ნინო ბექიშვილი
მაგდა მეზანიშვილი
სოფო ბუკია

წარწერის ავტორები:

ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ ვარდიანი, თათია ხალიანი, ანი ქანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ქვიციანი, სოფო აფციაური, ეკა მაღალაძე, ლევან ახალაია, სალომე ცეცხლაძე, ლაშა ქავთარაძე

კონტრიბუტორები:

ბექა ქურხული, კახა თოლორდავა, რუსუდან ფანოზიშვილი, იური მანველიანი, დიმიტრი მეჭურჭლიშვილი, ირაკლი ძნელაძე, გიორგი მეგლაძე

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი
კორექტორი
თამარ ლონდაძე

გამომცემლობა:

ლიბერალი
ქეთევან ბაბუნაშვილი
გაყიდვისა და გინესის
განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი
გაყიდვის მენეჯერი:
სოფო პაპუნაშვილი
მარკეტინგის მენეჯერი:
ელენე ხარაზაშვილი
დისტრიბუტორი:
მიხეილ მაჭუჩიშვილი

წარწერის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.



ვცდილობ, სარედაქციო წერილები ოპტიმისტურ გუნებაზე ვწერო, მაგრამ ამჯერად ჩემს შიშებსა და მოლოდინებს გაგიზიარებთ.

ვერ ვიგებ, რა უპირატესობა აქვს პარლამენტის ქუთაისში ყოფნას, როცა პარლამენტი რეალობას არის მონყვეტილი, ჩვენ – პარლამენტს და დეპუტატები და საპარლამენტო აპარატი თბილისი-ქუთაისის გზაზე ატარებენ დროის დიდ ნაწილს. რაც მთავარია, ახალი პარლამენტი მინიმუმ 5-ჯერ ძვირი გვიჯდება.

მიკვირს, როგორ სწრაფად მოირგო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ოპოზიციის მანტია. მათი რიხიანი საპარლამენტო გამოსვლები ხანდახან ნერვული სისტემის გამოცდაა, ისევე, როგორც ყოფილი კულტურის მინისტრის „პატრიოტული“ შეგონებები ქვეყნის ახალ ხელისუფლებასთან დაკავშირებით.

მეშინია ახალი შინაგან საქმეთა სამინისტროსი, სადაც ამ კვირას უნდა დაინიშნონ მოადგილეები. იმედია, ამ სამინისტროს მაღალჩინოსანთა რიგებში არ ვიხილავთ ოდიოზურ, კორუფციაში მხილებულ, გაუმჭვირვალე პოლიტიკური ბიოგრაფიის ადამიანებს. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, „რეფორმების ბიუროს“ შექმნა სრულიად ფასადური აღმოჩნდეს, ისევე როგორც ეჭვქვეშ დადგეს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დაპირება – პოლიციის დეპოლიტიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ჯარი სტრატეგიული თემაა, სამწუხაროა, რომ ირაკლი ალასანიას არ აქვს უფრო აქტიური პოლიტიკური როლი ახალ ხელისუფლებაში. ვეჭვობ, რომ ეს, შესაძლოა, მისივე პასიურობის დამსახურება იყოს.

მნიშვნელოვანია, რომ მალე ამოქმედდეს პარლამენტის საგამოძიებო კომისია და დაიწყოს საჯარო მოსმენები კონკრეტული საქმეების ირგვლივ. ყველაზე დიდი მოლოდინი სწორედ „სამართლის აღსრულება“, ყოველგვარი რევანშიზმის გარეშე.

მეშინია, რომ მედია ისევ პოლიტიკური მოთამაშეების პოლიგონად არ დარჩეს. მეშინია მხოლოდ ფასადური ცვლილებების საზოგადოებრივ მაუწყებელში.

შიში, გარკვეულწილად, ფუფუნებაა. და იმედია, დიდხანს არ მივცემ თავს ამის უფლებას.

შორენა შავერდაშვილი



ჯახი, ხობოხს სხოვხეხის ნესი

საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი პოლკოვნიკი ნიკა ჯანჯღავა 19 აგვისტოს მოულოდნელად დააპატიმრეს, არმიიდან გარიცხეს და მერე ასევე მოულოდნელად გაათავისუფლეს.

რა იყო მისი დაკავების მიზეზი? როგორ აფასებს ქართულ არმიის არსებულ მდგომარეობას? ლაფანყურის ოპერაციას? აგვისტოს ომს? გეგმავს თუ არა სახელგანთქმული რეინჯერი ჯარში დაბრუნებას? ამ და სხვა კითხვებზე პასუხების მისაღებად „ლიბერალი“ ნიკა ჯანჯღავას ესაუბრა.

ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი
33.10

"ნაბახოში" - დაჯარი ბიზნესი

ამჟამად ძებნილი ბიზნესმენი დავით ბეგიაშვილი, რომელსაც შვეიცარიამ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა, 15 წლის განმავლობაში ცნობილი საათებისა და საიუველირო ბრენდების წარმომადგენელი იყო საქართველოში. სახელმწიფომ მას ჯერ ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე სავაჭრო ფართი ჩამოართვა, შემდეგ სისხლის სამართლის საქმე აღუძრა თაღლითობის ბრალდებით, შემდეგ სამ მილიონ ლარამდე ჯარიმა დააკისრა მის ფირმას, ბოლოს კი, მთელი ქონება დაუყადალა.

გიორგი მგელაძე, სტუდია „მონიტორი“
33.38

თავისუფლების მოძიონში

პატიმრების საკითხისთვის ახალ ხელისუფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება მოუწევს. ეს იმაშიც გამოიხატა, რომ სასჯელალსრულების მინისტრად პოპულარული ექსპრესდსმენი დაინიშნა. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ მარცხი დიდწილად სწორედ საპატიმროებში არსებული მდგომარეობის გამოაშკარავებამ განსაზღვრა. როგორც ჩანს, პატიმრების თემა საზოგადოების მუდმივი ყურადღების ქვეშ დარჩება.



კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები პატიმრების საქმეების გადახედვაზე ხშირად საუბრობენ. პარლამენტისა და მთავრობის უფლებამოსილება ჯერ დამტკიცებული არ იყო, როდესაც გამარჯვებული კოალიციის დეპუტატობისა და მინისტრობის კანდიდატები ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ.

ზურაბ ვარდიაშვილი
33.32

ბიან დვანი - "ჯონსაფსია - ახალბიუხი თავისუფლება"

ბიანა ივანიშვილი მინისტრობის ახალი კანდიდატების დასახელებისას განაცხადა, რომ ცნობილი ფიზიკოსი, გია დვალი განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიას უხელმძღვანელებს.

გთავაზობთ ინტერვიუს გია დვალთან, რომელიც რუსუდან ფანოზიშვილმა ნიუ-იორკში ჩანერა.

 რუსუდან ფანოზიშვილი
03:18

ფოტოჩაქოხტაჟი

ერთი დავისეხული ოჯახი...



 ირაკლი ძნელაძე
03:50-55

გამოცემები:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაჭყალი:

სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ნომერი:



ფოტო: ბარბარა ლიბანიანი

- 04 მოკლედ
- 06 ციტატები
ორი აზრი
- 08 უნდა აფინანსებდეს თუ არა სახელმწიფო ეკლესიას?
მამა მიქაელ ბოტკოველი vs დავით თინიკაშვილი
მეზობლები
- 16 ახალი ლიდერი საქართველოში
მთავარი თემა
- 26 სტრატეგიული უნესრიგობა
ეკონომიკა
- 30 ახალი მთავრობის ახალი ტარიფები
მედია
- 46 „молчим в знак протеста“
კომენტარი
- 58 დროშა
ბექა ქურხული
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 60 მაცკვევ ტანგო!
კახა თოლორდავა

ბაჩაჩ ობამამ მასამ ეაზაჯიუს მოიზო



ფლორიდაში, ლინის უნივერსიტეტში, აშშ-ის საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის რიგით მესამე, საბოლოო დებატები 22 ოქტომბერს გაიმართა. 90-წუთიანი დაპირისპირება ბარაკ ობამასა და მით რომნის შორის ამჟამინდელი პრეზიდენტის გამარჯვებით დასრულდა.

CBS News-ის ჩატარებული გამოკითხვით, დებატებში მხარი რესპონდენტთა 53%-მა ბარაკ ობამას დაუჭირა, 23%-მა – მიტ რომნის, ხოლო 24%-ის აზრით, კანდიდატებს შორის დებატები ფრედ დასრულდა. CNN-ის მონაცემებით, კი პრეზიდენტობის დემოკრატიკ კანდიდატს 48%-მა დაუჭირა მხარი, მაშინ როდესაც რესპუბლიკელ კანდიდატს მასყურებელთა 40%-ის სიმპატია ერგო.

დებატებისას, ბარაკ ობამას მხრიდან აქცენტი საგარეო პოლიტიკაზე გაკეთდა. მისი მტკიცებით, მით რომნის ხედვები აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შესახებ მცდარია და მას დროის უკან, ცივი ომის პერიოდში დაბრუნება სურს. ასევე არასწორია აქცენტები, რომელსაც ის ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით აკეთებს.

ექსპერტთა შეფასებით, მით რომნი ობამასთან შედარებით, სუსტად გამოიყურებოდა საგარეო საკითხებზე საუბრისას, რის გამოც ის ყურადღების ეკონომიკურ საკითხებზე გადატანას შეეცადა და ბარაკ ობამა სუსტ ეკონომიკურ პოლიტიკის გატარებაში დაადანაშაულა.

შეგასხენებთ, რომ პირველი საპრეზიდენტო დებატები მით რომნის

გამარჯვებით დასრულდა, მეორე დებატებში კი, მასყურებელთა შეფასებით, ბარაკ ობამამ გაიმარჯვა.

ანალიტიკოსების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ბარაკ ობამამ ბოლო ორი დებატები მით რომნის მოუგო, ეს არსებითად ვერ მოახდენს პრეზიდენტობის კანდიდატების რეიტინგებზე ზეგავლენას. ამ დროისთვის ობამას და რომნის რეიტინგი თითქმის თანაბარია.

აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები 2012 წლის 6 ნოემბერს გაიმართება.

ისხაჯისა და ჰამსის ახოფისიანჯი ხაჯი

რამდენიმედღიანი სამხედრო მოქმედებების შემდეგ, ისრაელმა და ჰამასმა არაოფიციალურ შეთანხმებას მიაღწიეს.

22 ოქტომბერს ჰამასმა სარაკეტო დარტყმები განახორციელა ისრაელის სამხრეთით, რომლის შედეგადაც ხუთი სამხედრო დაშავდა. საპასუხოდ კი, ისრაელმა ლაზას ჩრდილოეთ ნაწილზე მიიტანა იერიში, რასაც საბოლოოდ ექვსი პალესტინელის სიცოცხლე შეენირა.

სამომავლოდ, სიტუაციის გართულების შიშით, ორივე მხარეს დაიხურა სკოლები. მოძრაობა ჰამასის წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, რომ ვითარების ესკალაცია მათ ინტერესებში არ შედის, ვინაიდან პალესტინის მუსლიმი მცხოვრებლები რელიგიური დღესასწაულისათვის ემზადებიან.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჟუმ კი პირობა დადო, რომ „ნერტილოვანი დარტყმები“ კვლავაც გაგრძელდებოდა, ვინაიდან ამ სამხედრო მოქმედებების დაწყება მათი ინიციატივა არ იყო, თუმცა აუცილებლობიდან გამომდინარე, ისრაელი ბრძოლას განაგრძობდა. საერთაშორისო მედიის ცნობით, ამ ეტაპზე, ეგვიპტის შუამავლობით, ისრაელმა და პალესტინამ შეთანხმებას მიაღწიეს და სამხედრო მოქმედებები შეწყდა. თუმცა, უცნობია ზავის პირობები და ხანგრძლივობა.

DOING BUSINESS 2013-ის ხიზინბში საჯაიოჯიო მ-9 აღიჯიჯა


მსოფლიო ბანკმა 23 ოქტომბერს „Doing Business 2013“-ის კვლევის შედეგები წარმოადგინა, რომელიც მსოფლიოში ბიზნესის კეთების სიმარტივეს ეხება. 185 ქვეყნის ბიზნესკლიმატის შესწავლისას მსოფლიო ბანკი ბიზნესრეგულირებასთან დაკავშირებულ 10 სხვადასხვა კრიტერიუმს ეყრდნობოდა. მათ შორისაა ისეთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმები, როგორცაა ბიზნესის დაწყება, ქონების რეგისტრაცია, გადასახადების გადახდა, მშენებლობის ნებართვის აღება, საგარეო ვაჭრობა, ხელშეკრულებების შესრულება, ელექტროენერჯის მიღება, ინვესტირების დაცვა, კრედიტის აღება და ბიზნესის დახურვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველო „Doing



Business 2013“-ის რეიტინგში წელს, განვითარებული ქვეყნების გვერდით, პირველ ათეულში მოხვდა. მსოფლიო ბანკის რეიტინგში, საქართველოსთან ერთად, პირველ ათეულში ავსტრალია, სინგაპური, ახალი ზელანდია, ამერიკის შეერთებული შტატები, დანია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი, კორეის რესპუბლიკა და ჰონგ კონგი შევიდნენ.

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბიზნესრეიტინგის პირველ ათეულში განვითარებულ ქვეყნებთან ერთად, განვითარებადი ქვეყანაც მოხვდა. საქართველო Doing Business-ის რეიტინგში პირველად 112-ე პოზიციით 2004-06 წლებში მოხვდა. 2009 წელს საქართველომ ოცეულში მოხვედრა შეძლო, ხოლო გასულ წელს მან მე-16 ადგილი დაიკავა.



უკრაინა ხსენებს უკრაინულ საპარლამენტო არჩევნებში გაიმართება

28 ოქტომბერს უკრაინაში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. უკრაინელები 450-ადგილიან უმაღლეს რადას ხუთი წლის ვადით აირჩევენ. პარლამენტის წევრების ნახევარი პარტიული სიებიდან დაკომპლექტდება, ნახევარს კი მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატები შეადგენენ. 2012 წლის უკრაინის საპარლამენტო არჩევნებში 87 პარტია მიიღებს მონაწილეობას. თუმცა, ერთმანეთის მთავარ კონკურენტებად პრეზიდენტ იანუკოვიჩის „რეგიონების პარტიას“ და პატიმრობაში მყოფი ექს-პრემიერის, იულია ტიმოშენკოს „ბატკივშჩინას“ მიიჩნევენ, რომელიც ცოტა ხნის წინ პარლამენტის ექს-სპიკერის არსენ იაცენიუკის „ცვლილებათა ფრონტთან“ ერთიან სიაზე შეთანხმდა. გამოკითხვების მიხედვით, ამომრჩეველთა შორის პოპულარულია ასევე კომუნისტების პარტია და ყოფილი ბოქსიორის, ვიტალი კლიჩკოს პარტია „უდარი“. როგორც წინასაარჩევნო კვლევები ცხადყოფს, „რეგიონების პარტია“ კვლავ მოიპოვებს საპარლამენტო უმრავლესობას, თუმცა იანუკოვიჩის პოლიტიკურ ძალას სავარაუდოდ საკონსტიტუციო უმრავლ-

სობა არ ეყოლება. აღსანიშნავია, რომ ექსპერტებმა წინასაარჩევნო პერიოდი უკვე შეაფასეს „ყველაზე უინტერესო და მოსაწყენ“ წინასაარჩევნო პერიოდად დამოუკიდებელი უკრაინის ისტორიაში. ხოლო Research and Branding Group-ის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ კიცხადყო, რომ მოსახლეობის უმეტესობა არჩევნებისადმი სკეპტიკურადაა განწყობილი და მხოლოდ გამოკითხულთა 18% ფიქრობს, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდება.

ეკონომიკური მდგომარეობა 40 ადამიანის სისოსხეა იხსნა

40 ადამიანი დაიღუპა და 50-მდე დაშავდა ავღანეთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ მაიმანაში, 26 ოქტომბერს, ერთ-ერთ მეჩეთში მომხდარი აფეთქებისას. ტერორისტული აქტი ფარიების პროვინციის დედაქალაქში სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც ადგილობრივები ყურბან-ბაირამის დღესასწაულს აღნიშნავდნენ იდ-გაჰის მეჩეთში. მიუხედავად იმისა, რომ მეჩეთში ადგილობრივი ხელისუფლებისა და პოლიციის წარმომადგენლები მრავლად იყვნენ, ტერორისტული აქტის თავიდან არი-

დება მაინც ვერ მოხერხდა. თვითმხილველთა განცხადებით, კამიკაძე ტერორისტი პოლიციელის ფორმაში იყო ჩაცმული. დაღუპულთა და დაშავებულთა შორის ძირითადად პოლიციის დაბალი რანგის თანამშრომლები და სალოცავად მისული მოქალაქეები არიან, მათ შორის 6 ბავშვი. სამართალდამცავების თქმით, შესაძლოა მსხვერპლის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდოს, ვინაიდან საავადმყოფოებში გადაყვანილი დაშავებულების მდგომარეობა კრიტიკულია. უკანასკნელი თვეების განმავლობაში ეს ავღანეთში მომხდარი ყველაზე მასშტაბური ტერორისტული აქტია. გასულ თვეში კი, საერთო ჯამში, 37 ადამიანი გარდაიცვალა ნანგჰარისა და ვარდაკის პროვინციებში მომხდარი აფეთქებების შედეგად. 



ციტატები



„თქვენ აღარ ხართ საპროტესტო მიტინგებზე, თქვენ აღარ შეგიძლიათ ხელალებით ადამიანებისთვის ლაფის სროლა, აღარ შეგიძლიათ ცილისნამება; თუ რამე გაქვთ – პროკურატურა, პოლიცია, იმოქმედეთ“, –
გოკა გაბაშვილი, საპარლამენტო უმცირესობის წევრი



„ერთადერთი, რაც დააკელით საარჩევნო პროცესს, საარჩევნო ძალადობას, ის იყო, რომ პირველი ოქტომბრის ღამეს თქვენ შეგეძლოთ გესროლათ ტყვია და არ ისროლეთ, ამისთვის დიდი მადლობა“, –
თინა ხიდაშელი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი



„დათა და ბაჩო ახალაიები საჯარო მოხელეები აღარ არიან და ახლა ისვენებენ, ისვენებენ, ისვენებენ“, –
როლანდ ახალაია, პარლამენტარი



„საქართველოს ტერიტორიის 20% არის ოკუპირებული რუსეთის მიერ; რუსეთი არის საქართველოს ოკუპანტი ქვეყანა; მას გახსნილი აქვს ორი საელჩო – სოხუმსა და ცხინვალში და სანამ ეს არის ფაქტი, მანამდე დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან არ აღდგება“, –
მაია ფანჯიკიძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი



„პირველი ოქტომბრის არჩევნებმა დაამტკიცა, რომ ქართული დემოკრატია უფრო მეტია, ვიდრე სლოგანი და ხელისუფლების მიმდინარე გადაცემა ერთი პარტიიდან მეორეზე არის სტანდარტი ყველა ახალი დემოკრატიისთვის“, –
ერიკ რუბინი, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე



„არ გამიკვირდება, რომ უახლოეს მომავალში გაიგოთ ბევრი „გაუგონარი ამბავი“ ჩემ შესახებ. ვინც მიცნობს, არ დაიჯერებს, თუმცა ვინც არ მიცნობს, მინდა დავარწმუნო, რომ ყოველთვის ვიცავდი კანონს და პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი ჩემთვის დაკისრებულ მოვალეობებს“, –
დიმიტრი შაშკინი, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი.

KIA Sportage



iPhone 4



iPad 3G



MacBook Pro

MOBILE BANKING INTERNET BANKING

ისარგებლეთ და მოიგეთ მარტივად



თიბისი ბანკი
T B C B A N K

☎ 227 27 27 | 📠 * 27 27
www.tbconline.ge www.tbcmobile.ge

ღიას

მამა მიქაელ ბოტკოველი

საქართველოს პატრიარქის პრესმდივანი

სახელმწიფოსგან ეკლესიის დაფინანსება ძალიან ორაზროვნად უღერს და საქმეში ჩაუხედავი ადამიანებისთვის, შესაძლოა, აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი გახდეს. ეს განპირობებულია არა ხელისუფლების კეთილი ნებით, არამედ კონსტიტუციური შეთანხმებით. სადაც სახელმწიფო აღიარებულია იმ სახელმწიფოს სამართალმემკვიდრედ, რომელმაც ეკლესია პრაქტიკულად მინასთან გაასწორა, ბოლშევიკურ ხელისუფლებას ვგულისხმობ.

ეკლესიას ჰქონდა მინები, მატერიალური ქონება, ეს ყველაფერი კი მას ჩამოართვეს. სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, რომ ის დაეხმარება და მიყენებულ ზარალს აუნაზღაურებს ეკლესიას.

ამ თემასთან დაკავშირებით იმსჯელებს როგორც ეკლესიის, ასევე სახელმწიფოს წარმომადგენლებმა და განისაზღვრა თანხა, რომელიც გამოიყოფოდა.


აზრთა სხვადასხვაობის გამორიცხვის მიზნით, საქართველოს პატრიარქის, ილია II-ის ინიციატივით გადაწყდა, რომ გამოყოფილი თანხა მთლიანად დახარჯულიყო საგანმანათლებლო სფეროში. სწორედ ამ მიმართულებით იხარჯებოდა სახელმწიფოს გამოყოფილი თანხა.

ჩვენ ყოველთვის გვინდოდა ხაზი გაგვესვა, რომ სახელმწიფო თანხას იმის გამო კი არ გასცემდა, რომ ვიღაცას დაენახა, თუ როგორ ახლოსაა ეკლესიასთან. არამედ ამ ურთიერთობას რომ ჰქონოდა ლეგალური ფორმა – სახელმწიფოს აღებული აქვს ვალდებულება.

მოხარული ვიქნებით, თუ ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა განხორციელდება და ეს ჩვენი მხრიდანაც მხარდაჭერილი იქნება. გაიმართება კონსულტაციები ახალ ხელისუფლებასთან, რათა კონსტიტუციურ შეთანხმებას მიეცეს სამართლებრივად გამართული ფორმა.

რესპუბლიკური პარტიის მხრიდან გაუღერდა ამ თანხის ერთჯერადობის იდეაც. ესეც, რა თქმა უნდა, არ იქნება პრობლემა.

საუბარი იყო ასევე სხვა რელიგიური კონფესიების დაფინანსებაზე. კომისიების მუშაობის შემდეგ, თუკი სახელმწიფო დაადგენს და განისაზღვრება როგორც ამ კონფესიების წარმომადგენელთა პროცენტული რაოდენობა საქართველოში, ასევე მატერიალური ზარალი, რომელიც ამ კონფესიებმა განიცადეს ბოლშევიკური მმართველობის განმავლობაში და დადგინდება, რომ ამ დახმარებიდან გარკვეული ნაწილი შეიძლება სხვა რელიგიებმაც მიიღონ, ესეც მსჯელობის საგანი უნდა იყოს და აქაც ვერ ვხედავთ ტრაგედიას. თუმცა, როგორც იცით, განსაკუთრებული რეპრესიები მართლმადიდებელმა ეკლესიამ განიცადა. მე არ მახსოვს, სხვა რომელიმე კონფესიას, მით უმეტეს, საქართველოში, უმნიშვნელოდ წარმოდგენილ კონფესიებს განეცადათ ასეთი მასშტაბური ზარალი. 



უნდა აფინანსებდეს თუ

■ აზრთა სხვადასხვაობის გამორიცხვის მიზნით, საქართველოს პატრიარქის, ილია II-ის ინიციატივით გადაწყდა, რომ გამოყოფილი თანხა მთლიანად დახარჯულიყო საგანმანათლებლო სფეროში. სწორედ ამ მიმართულებით იხარჯებოდა სახელმწიფოს გამოყოფილი თანხა.



არა

დავით თინიკაშვილი
თეოლოგი

სახელმწიფო ქვეყანაში მხოლოდ ერთ რელიგიურ გაერთიანებას არ უნდა აფინანსებდეს, თუნდაც ეს სმე (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია) იყოს, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 20-25 მილიონი ლარით აფინანსებს, თუ არ ჩავთვლით სხვა სახის ძვირადღირებულ საჩუქრებს სახელმწიფო მოხელეების მხრიდან სასულიერო პირებისთვის. ჯერ ერთი, გაუგებარია, რა პრინციპით განსაზღვრა ხელისუფლებამ თანხის ასეთი ოდენობა და მეორეც, არ არის გამჭვირვალე და ცნობილი საქართველოს მოქალაქეებისთვის, კონკრეტულად რაში იხარჯება თანხები ეკლესიაში, რომელიც სწორედ ამ მოქალაქეების ჯიბიდან შევსებული ბიუჯეტიდან არის გადარიცხული!

ზოგადად, უსამართლობად მეჩვენება, როდესაც საერო ხელისუფლება მოქალაქეების მიერ საკუთარი შრომით გამომუშავებული თანხიდან მათ დაუკითხავად იღებს რაღაც პროცენტს (თან ამ პროცენტის ოდენობასაც თავად განსაზღვრავს) და ურიცხავს იმ რელიგიურ გაერთიანებას, რომელიც ასევე საკუთარი სურვილით აქვს შერჩეული. ეს უსამართლობაა, რადგან ქვეყანაში არსებობენ ადამიანები, რომელთაც შეიძლება სულაც არ სურდეთ მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსება (მაგ., კათოლიკეებს, პროტესტანტებს, მუსლიმებს, იუდეველებს, აგნოსტიკოსებს, ათეისტებსა და სხვებს). სახელმწიფო კი მათ აიძულებს სწორედ ასე მოიქცნენ.

ჩემი აზრით, სახელმწიფო არცერთ რელიგიურ გაერთიანებას არ უნდა ეხმარებოდეს ფინანსებით, მაგრამ თუ ამგვარი გადაწყვეტილება მაინც იქნება მიღებული, მაშინ ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ უნდა შეავსოს შესაბამისი ანკეტა, სადაც ის დააფიქსირებს საკუთარ სურვილს რომელი რელიგიური გაერთიანებისთვის სურს თავისი გადასახადის გადახდა, რა მოცულობის იქნება ეს თანხა და საერთოდ დააფინანსებდა თუ არა რომელიმე რელიგიურ გაერთიანებას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გვექნებოდა სამართლიანი სისტემა ამ კუთხით. 

ახა სახელმწიფო ხანდახან?

■ ზოგადად, უსამართლობად მეჩვენება, როდესაც საერო ხელისუფლება მოქალაქეების მიერ საკუთარი შრომით გამომუშავებული თანხიდან მათ დაუკითხავად იღებს რაღაც პროცენტს და ურიცხავს იმ რელიგიურ გაერთიანებას, რომელიც ასევე საკუთარი სურვილით აქვს შერჩეული.



ფოტო: ლევან სერაფიშვილი

ჯახი, ხობოხს სსოჰხეზის ნასი

ინტერვიუ

ნიკა ჯანჯლავასთან

საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი პოლკოვნიკი ნიკა ჯანჯლავა 19 აგვისტოს მოულოდნელად დააპატიმრეს, არმიიდან გარიცხეს და შემდეგ, ასევე მოულოდნელად გაათავისუფლეს. რა იყო მისი დაკავების მიზეზი? როგორ აფასებს ქართულ არმიის არსებულ მდგომარეობას? ლაფანყურის ოპერაციას? აგვისტოს ომს? გეგმავს თუ არა ჯარში დაბრუნებას? ამ და სხვა კითხვებზე პასუხების მისაღებად „ლიბერალი“ ნიკა ჯანჯლავას ესაუბრა.

როგორ დააპატიმრეს?

მრგვალ ბალთან დამაკავებს, პატრულის მანქანა გაჩერდა. გადმომიყვანეს, დამადეს ბორკილები, ამოიღეს ხელკეტები და თავისივე მანქანას უკანა ფარი ჩაუმიტვირთეს. იმიტომ, რომ შემდგარიყო ორი საქმე, ერთი ადმინისტრაციული, მეორე სისხლის სამართლის. დროებითი მოთავსების იზოლატორში წამიყვანეს. სასამართლო იყო მეორე დილით. ეს იყო სიურრეალისტური პროცესი. პატრულთან პრობლემები არასოდეს მქონია. საქმე შეთითხნეს.

ადვოკატი მოვიტხოვე. მითხრეს, რომ მის მისაყვანად ხუთი წუთი მქონდა. მეგონა, სადმე იქვე ჰყავდათ, საუბარი თურმე ჩემს ადვოკატზე იყო. თანაც ტელეფონის გამოყენების უფლებას არ მძლევდნენ.

ნებისმიერი ადამიანისთვის ეს მოკისმომგვრელი იქნებოდა. არავინ

მითხრა რატომ დამაპატიმრეს, იმ ხალხის გვარები ვინც მე დამაკავა, მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს გავიგე.

ავლანეთიდან თქვენ ამერიკაში წახვედით. როდის დაბრუნდით საქართველოში?

2010 წლის დეკემბერში ავლანეთში ჩვენი კონტინტეგენტის ხელმძღვანელად დავინიშნე. იქ 6 თვე ვიყავი, ავლანეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ამერიკაში, ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტში სასწავლებლად წავედი... ეს არის უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი პოლკოვნიკებისთვის. ბრწყინვალე სასწავლებელი, სადაც გასწავლიან, როგორ უნდა ჩამოაყალიბო და შექმნა სამხედრო სტრატეგია, სტრატეგიულ დონეზე როგორ შეაფასო შენი მოკავშირეები, მონინალმდეგეები

და შესაძლებლობები. ჩემთან ერთად იქ 32 ქვეყნის წარმომადგენელი იყო. ჩემთან ერთად ისხდნენ მაღალი რანგის ოფიცრები, რომლებიც ავლანეთსა და ერაყში ბრიგადებს და დივიზიებს ხელმძღვანელობდნენ.

როცა საუბარი სირიის პრობლემაზე გვექონდა, სირიის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მოდიოდნენ და ლექციებს გვიკითხავდნენ. ირანის ბირთვულ პრობლემაზე პირველი ხარისხის ექსპერტები გვესაუბრებოდნენ. იმ კლასში ამერიკის შეიარაღებული ძალების ის მომავალი ხელმძღვანელობა იჯდა, რომლებიც ადრე თუ გვიან სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკის შემსრულებლები იქნებიან.

იქ იყო საუბარი აგვისტოს ხუთ დღიან კატასტროფაზე, რატომ მოხდა, რისი გულისთვის, რა იქნება რუსეთის რეაქცია მომავალში,

რა ცვლილებები გამოიწვია ამ ომმა რუსეთში ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბებაში? ეს ომი მხოლოდ საქართველოსადმი არ იყო მიმართული. ეს იყო საჩვენებელი პროცესი იმისა, თუ რა მოუვით სატელიტ ქვეყნებს, ვინც ოდესღაც საბჭოთა კავშირში შედიოდნენ.

ამერიკიდან რომ ჩამოვედი, იქიდან თავდაცვის სამინისტროში ჩემი დახასიათება მოვიდა, სადაც წერია რა გავაკეთე, როგორ ვისწავლე და ა.შ. მთელი ჩემი საშუალებებით ვცდილობდი მეჩვენებინა არა მარტო ჩემი თავი, არამედ დამეცვა საქართველოს პრესტიჟი.

საქართველოში 1 ივლისს ჩამოხვედით. 19 აგვისტოს კი აგიყვანეს. ამ პერიოდში თავდაცვის სამინისტროში არ მისულხართ?

ოჯახური პრობლემების გამო შევბუღებაში გავედი. ამის მერე ჩემ ირგვლივ საინტერესო ქმედებები დაიწყო. მე დავინიშნე სამხედრო ატაშედ იტალიასა და სანმარინოში. არ ვიცი, ახალაიმ იცოდა თუ არა, რომ სანმარინოს ჯარი არ ჰყავს. ასეთი თანამდებობა საქართველოს შეირაღებულ ძალებში არ არსებობდა. ჩემთვის შექმნეს. ავლანეთისა და ამერიკის შემდეგ სანმარინოში მიშვებდნენ.

თქვენს თავიდან მოშორებას ცდილობდნენ? რა საფრთხეს ელოდნენ თქვენგან?

არჩვენების წინ დესტაბილიზაციის შექმნას აპირებდნენ. ალბათ, ვარაუდობდნენ, რომ ხელს შევუშლიდი. ლაფანყურის ოპერაცია პირველი ინციდენტი იყო. რუსეთის ტერიტორიაზე საქართველოს მხრიდან 20-კაციანი ჯგუფის შეჭრა ხუმრობა არ იქნებოდა, არც რუსეთის პასუხი იქნებოდა ნაზი. ძალიან ბევრი კითხვის დასმავა საჭირო, გამოიძიება ჩასატარებელი. ჩვენი სამი სამხედრო დაიღუპა ამ ოპერაციაში.

იზოლაციაში როგორ გექცეოდნენ? სხვა განზომილებაში ხვდები, რო-

დესაც არ იცი, რისთვის აღმოჩნდი საკანში, ციხის თანამშრომლებთან დიდი ურთიერთობა არ მქონია, გარდა იმისა, რომ მეკითხებოდნენ, საქმელი მინდოდა თუ არა. კვირაში ერთხელ მხოლოდ 5 წუთით შემეძლო მეუღლესთან დარეკვა.

იმ მუხლზე, რომლითაც დამიჭირეს, მაქსიმუმ 400 ლარიანი ჯარიმა იყო. ფალიაშვილზე, სადაც დამაკავეს, 5 თუ 6 ვიდეო კამერა დამონტაჟებული, ყველა კამერის ფირი ამოღებულია და შსს-ში ინახება. მის გადმოცემაზე უარი გვითხრეს, შუქნიშანთან რომ კამერაა, იმაზე თქვეს, რომ ფუტლიარია. ცხადია, ის ადამიანი, რომელმაც ჩემი აყვანის ოპერაცია დაგეგმა, ფირს არ მოგვცემდა. თუმცა, იმედი მაქვს, ახალი ხელისუფლების პირობებში ამ საქმეს გამოიძიებენ.

ჩემ შემთხვევაში, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს შორის ერთგვარი შეთანხმება იყო. თავდაცვის სამინისტროდან გამაგდეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამაკავა, იუსტიციის სამინისტრომ კი ჩემი გასამართლება უზრუნველყო. ჩემი პროცესი 10 წუთში დამთავრდა. ილონა თოდუამ, რომელიც შემდეგ დაანინაურეს, ათ წუთში გადაწყვიტა, რომ 80 დღით პატიმრობა მოესაჯა.

ჩამტვრეულ ფარებზე საუბრობდით...

როდესაც ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში გაძღვევნ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შენზე გამოიძიება შეწყდა, თეორიულად შესაძლებელია, რომ გამოიძიების დროს დამატებითი ფაქტები გამოიკვეთოს და სისხლის სამართლებრივ საქმეში გადაიზარდოს. მე არ ვიცი, ამას რისთვის ამზადებდნენ, მაგრამ 1 ოქტომბრის შემდეგ დიდად საინტერესო არ არის.

როგორ გაგათავისუფლეს?

ეს ძალიან საინტერესო პროცესი იყო. თბილისის პროკურორმა გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება. ამბობდა, რომ 80 დღე ჩემთვის ზედმეტია და საკმარისია 48 დღე, რომელიც უკვე მქონდა მოხდილი და შესაბამი-

სად, გამათავისუფლეს. რატომ მოხდა ეს, გაირკვევა. თუმცა, ვფიქრობ, მედიაში ატეხილმა ხმაურმა გამოიწვია.

საკმაოდ გვიან განხილეს თქვენი დაკავების ამბავი, რატომ?

ჩემზე, ჩემს მეუღლეზე და ჩემს ოჯახზე დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო. შემძლია რისკი ჩემს თავზე ავილო, მაგრამ ჩემს მეუღლეზე ამის უფლება არ მაქვს. არ მქონდა არავითარი გარანტია, რომ ჩემი საქმე სხვა მიმართულებით არ წავიდოდა. ამასთან, არ მინდოდა, ვინმეს პოლიტიკური თამაშებისთვის გამოვეყენებინე. ამიტომ არ ვახმაურებდი, თუმცა მერე ჟურნალისტებმა თავი გამოიჩინეს და გაახმაურეს.

ამერიკელებმა მე კარგი რეკომენდაცია მომცეს. თავდაცვის სამინისტროდან კი ჩემს სასწავლებელს გაუგზავნეს წერილი, სადაც ეწერა, რომ თქვენმა ნაქებმა პოლკოვნიკმა, მთვრალმა, პოლიციელებს შეურაცხყოფა მიაყენა და ციხეში გვიზისო. მათი რეაქცია დაახლოებით ასეთი იყო „ჩვენ რა შუაში ვართ? რა ჯანჯღავას სმა ვასწავლეთ თუ?“ ეს არის უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი, რომელსაც ასეთ წერილებს არ უგზავნიან, თუნდაც შენმა წარგზავნილმა პრეზიდენტი მოკლას. ეს დისკრედიტაციის მცდელობა იყო. ამაში მონაწილეობა მინისტრის მოადგილეებმა მიიღეს და ძალიან მდაბიო ხარისხის პროვოკაცია განახორციელეს. ამ სასწავლებელს 1899 წელს ჩაეყარა საფუძველი, 100 წელზე მეტია არსებობს და ამ ხნის მანძილზე ასეთი რამ არცერთ ქვეყანას არ უქნია. ეს შენივე ქვეყნის სირცხვილია. შენ თუ ამერიკაში გზავნი დებოშიორს და ლოთს, რა მათი პრობლემაა?

საქმის გასაჩივრებას გეგმავთ?

ამ საქმეს გაეასაჩივრებ. გამარჯვება იქ კი არაა, სადაც ძალაა, არამედ იქ, სადაც სიმართლეა, სიმართლე კი ჩემს მხარესაა. სახელის გარდა არაფერი გამაჩნია. ასე სიარული არ შემძლია, როდესაც დებოშიორის სახელი მაქვს.

რამდენად კარგადაა შედგენილი თავდაცვის კონცეფცია?

შაშკინის 3T ესაა ცისფერი მთები, ახალგაზრდას ეუბნები, რომ სავალდებულო ჯარში წამოდი და მერე 4-წლიან სწავლას დაგიფინანსებ უნივერსიტეტშიო, ჩვენ ამას პროფესიონალ ჯარისკაცსაც არ ვუკეთებთ. რა ხარჯებით, რა ფულით? ეს იყო უბრალოდ პიარაქცია.

შაშკინი ციხეების შემდეგ განათლებაში წავიდა, შემდეგ კი თავდაცვაში. ასეთი უნიკალური ტიპის ადამიანი, რომელსაც ამ სამივე რადიკალურად განსხვავებულ მიმართულებაზე შეუძლია მუშაობა, მხოლოდ საქართველოში თუ მოიძებნება.

ყოფილი მინისტრი, თავისი პიროვნებიდან გამომდინარე, ყოველთვის დედოფლის როლის შესრულებას იყო მიჩვეული, ყოველთვის მეორე კაცი იყო.

ბაჩანა ახალაიას პირადად იცნობთ?

ბოლო ორი წლის განმავლობაში მე მასთან კავშირი არ მქონია. სულ მივლინებაში ვიყავი, ან ავღანეთში, ან აშშ-ში. მე მქონდა გარკვეული თანამდებობა და ვასრულებდი იმ დავალებებს, რომელიც შტაბიდან მოდიოდა.

20 წელიწადია ქართულ შეიარაღებულ არმიამ ვარ. მთელი ჩემი არსებით შეიარაღებულ ჯარებს ვემსახურებოდი, ჩემი ბიბლიოთეკის 99% სამხედრო ლიტერატურისგან შედგება. ეს ჩემთვის მხოლოდ კარიერა არ არის, ეს ჩემი ცხოვრების წესია. ამერიკელებმა მასწავლეს როგორ უნდა შეხედო ჯარს. ჯარი იმისთვის არ არის შექმნილი, რომ ალუმუმში მიიღოს მონაწილეობა. ან შიდა პოლიტიკურ ოპერაციებში ჩაერთოს, როგორც ეს 2007 წლის ნოემბრის მოვლენებმა გვაჩვენეს. ნებისმიერი შეიარაღებული ძალების ამოცანა საქართველოს საზღვრების დაცვაა. საქართველოს ჯარი არ უნდა ემსახურებოდეს რომელიმე პარტიას ან როგორც ბოლო დროს იყო, ერთ პიროვნებას.

ქართულ ჯარში მნიშვნელოვანი პრობლემებია. პირველ რიგში, ეს არის

სულისკვეთების პრობლემა. სულისკვეთების ჩაბნობა არ შეიძლება. როცა გარკვეული სამხედრო ორგანიზაცია, მაგალითად სამხედრო პოლიცია პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებს, როცა დაწინაურება ხდება არა დამსახურების, არამედ იმის მიხედვით, ვინ ვის იცნობს და რა ურთიერთობები აქვს უფროსებთან – ეს პრობლემაა. ქართულ ჯარში განათლებამ, ფიზიკურმა და მორალურ-

■ ჩემს შემთხვევაში თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს შორის ერთგვარი შეთანხმება იყო. თავდაცვის სამინისტროდან გამაგდეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამაკავა, იუსტიციის სამინისტრომ კი ჩემი გასამართლება უზრუნველყო. ჩემი პროცესი 10 წუთში დამთავრდა. ილონა თოდუამ, რომელიც შემდეგ დაანინაურეს, ათ წუთში გადაწყვიტა, რომ 80 დღით პატიმრობა მოესაჯა.

მა პირობებმა უნდა ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი. ნეპოტიზმი ნებისმიერ ორგანიზაციას დალუპავს. მაგრამ ჯარისთვის პირდაპირ სასიკვდილო სენია.

ამბობთ, რომ ბაჩანა ახალაია ჯარში როგორც ეგზეკუტორი, ისე მოვიდა. ჯარი დახურული იყო, თუმცა, ინფორმაცია კონკრეტული შემთხვევების, მაგალითად, დამცირების, ცემის, ზეწოლის შესახებ მაინც ვრცელდებოდა, თქვენ

ფლობთ რაიმე ინფორმაციის კონკრეტული ფაქტების შესახებ?

ციხის სისტემის არქიტექტორი შემდეგ არმიას ხელმძღვანელობდა. და იმავე მეთოდებით მოქმედებდა, როგორც ციხეში, მას ჰქონდა სრული კარტლანში, არავინ ზღუდავდა.

დარწმუნებული ვარ, კონკრეტული დარღვევების შესახებ ახალი ხელისუფლება ღიად ისაუბრებს. საჭიროა ამ ხალხის რეაბილიტაცია. იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც გაუშვეს ანდა თვითონ წავიდნენ, ტრაგიკულია. მივესალმები ახალი მინისტრის განცხადებას იმის თაობაზე, რომ პროფესიონალები ჯარს უნდა დაუბრუნდნენ.

როგორ აფასებთ აგვისტოს ომს, როგორც სამხედრო ოპერაციას?

აგვისტოს 2008 წლის კატასტროფა სამხედრო, პოლიტიკური, სადაზვერვო, ნებისმიერი თვალსაზრისით საშინლად იყო დაგეგმილი. იყო ქართველი ჯარისკაცის გმირობა, მაგრამ ეს მაინც დიდი კატასტროფაა. პოლიტიკოსებმა, ვინც ბრძანებებს იძლეოდნენ, არასწორად განჭვრიტეს და შეაფასეს სიტუაცია.

გამოსაძიებელია ჩვენი ყველა ქმედება. ვინ გამოიყვანა კოდორიდან ჩვენი ბრიგადა ისე, რომ ტყვია არ გასროლილა? რატომ არ იყო როკის გვირაბის გასაკონტროლებელი ოპერაციები? რატომ გამოიყენეს გვარდია? მათ გმირობა გამოიჩინეს და 99% გამოცხადდა. მაგრამ ეს არ იყო ბრძოლის წინა ხაზზე გამოსაყვანი ქვედანაყოფი.

აქ იყო მართვის პრობლემა. არ შეიძლება, რომ ვიღაცამ შეიარაღებული ძალები ალიქვას როგორც პირადი ჯარი. ყოფილმა ხელისუფლებამ არ იცოდა არც ჯარის მართვა და არ იცოდა ქართველი ჯარისკაცის სულისკვეთება. ჯარის მართვის პრინციპი რა არის? ის, რომ ხელმძღვანელი წინ უნდა იყოს. ჯარი რომლის ხელმძღვანელი, ბრძოლას უკნიდან ხელმძღვანელობს, ყოველთვის დემორალიზებული იქნება. ჯარისკაცი ხელმძღვანელს მასთან ერთად უნდა ხედავდეს. ეს ელემენტარული პრინციპია, რომელიც

ალექსანდრე მაკედონელის დროიდან მოქმედებს.

უფრო კონკრეტულად, რა შეცდომები დაუშვა ჩვენმა სარდლობამ?

ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ აგვისტოს კატასტროფა თავიდან ვერ ავიცილეთ. ყურადღებას არ გავამახვილებ იმაზე, რომ გორისა თუ სხვა სოფლების დაცვაზე არავინ ფიქრობდა და თავდაცვითი ხაზები შექმნილი არ იყო. ეს ელემენტარულია. პოლიტიკური ხელმძღვანელობის დანაშაული ის არის, რომ დღეს დეფაქტო და დეიურე აფხაზეთის სახელმწიფო და ცხინვალის სახელმწიფო არსებობს. ამ მთავრობამ პასუხი უნდა აგოს როგორც 2008 წლის კატასტროფაზე, ისე 2004 წლის ფიასკოზე.

ამერიკელებმა ჩვენი თავდაცვითი პოტენციალის გაუმჯობესებაში დიდი თანხა ჩადეს...

დადებითი მხარეა ის, რომ აშენდა ე.წ. ნატოს სტანდარტის ყაზარმები, შედარებაც არ არის კვებასთან, აღჭურვასთან, საერთო დისციპლინის დონის ამაღლებასთან დაკავშირებით, მაგრამ მორალური დონე ქართულ ჯარში ახლა გაცილებით დაბალია, იმ დროსთან შედარებით, როცა ოფიცრის ხელფასი 80 ლარი იყო და იმასაც წელიწადში ორჯერ ან სამჯერ იღებდა.

ეს რამ გამოიწვია?

პოლიტიზაციამ – ჯარში ნებისმიერი ოფიცრის წინსვლა დამოკიდებული მის დამსახურებაზე არ იყო. ჩამოვთვალეთ თავდაცვის მინისტრები 2005 წლიდან, მითხარით რომელიმე, რომელიც ნორმალურად და კარგად წავიდა. ბაჩანა ახალაიას დანიშვნა იყო ეგზეკუტორის დანიშვნა ჯარში, ჩვენმა უმაღლესმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ჯარმა 2008 წელს არ იომა და უღალატა.

2008 წლის შემდეგ მოხდა ის, რაც საბჭოთა იმპერიაში წითელ ჯართან მიმართებაში 1937 წელს განხორციელდა. ბევრი ოფიცერი განიდევნა ჯარიდან.

ახალი ხელისუფლება გეგმავს სარეზერვო სამსახურის გადახედვას. თქვენ როგორ აფასებთ არსებულ სარეზერვო სისტემას?

ახლა სარეზერვო სისტემა არ არსებობს. რაც იყო, ის გახლდათ პოლიტიკური პარტიის აქტივის მომზადება სხვადასხვა არასახარბიელო ოპერაციების შესასრულებლად. ყველანიურ ლოგიკას იყო მოკლებული ის პროცესები, რაც 2008 წლის შემდეგ რეზერვის შექმნის დროს

პოლიტიკური ხელმძღვანელობის დანაშაული ის არის, რომ დღეს დეფაქტო და დეიურე აფხაზეთის სახელმწიფო და ცხინვალის სახელმწიფო არსებობს. ამ მთავრობამ პასუხი უნდა აგოს როგორც 2008 წლის კატასტროფაზე, ისე 2004 წლის ფიასკოზე.

მიმდინარეობდა. ომის შემდეგ ჩვენ ყველა სარეზერვო ბატალიონი ერთი მიზეზით გავაუქმეთ – ისინი არალოიალურებად ჩათვალნენ.

აგვისტოს კატასტროფამდე 22 000 მომზადებული რეზერვისტი გვყავდა.

თქვენ მოგწონდათ ეს რეზერვი?

ჩვენ, სამხედროები ტექნიკოსები ვართ, გვაძლევენ დავალებას, ვეუბნებოდით, რომ 18 დღეში ჯარისკაცს ვერ მოამზადებდნენ, რომ სტუდენტები კი არა, ისინი უნდა მოგვემზადებინა, ვინც ჯარი უკვე გაიარა, იმსახურა ორი წელიწადი, მათ არ სჭირდებათ ნულიდან დაწყება.

ჩვენ 18 დღე გვჭირდებოდა არა იმისთვის, რომ სტუდენტი უნივერსიტეტიდან გამოვიყვანოთ, რათა მან შემდეგ არ იმსახუროს. არამედ ის

ყოფილი ჯარისკაცები შევავროვოთ, რომლებიც მთელ ქვეყანაში არიან მოდებულნი. მაგალითად, ოზურგეთში არის ასეთი ჯარ და ომგამოვლილი 500 კაცი – ისინი შევავროვოთ. მათ მომზადებაზე გაცილებით ნაკლები დრო დაგვჭირდება.

ის თვრამეტი დღე იმისთვის გვჭირდებოდა, რომ ოფიცრებს და ჯარისკაცებს ერთმანეთი გაეცნოთ. მე ყველა დონეზე ვამბობდი, რომ ეს არ არის ის ქვედანაყოფები, რომელთა გამოყენებაც წინა ხაზზე შეიძლება.

ნებისმიერ რეზერვს სახელმწიფო დონის დახმარება სჭირდება. მხოლოდ იმის თქმა, რომ შენ რეზერვში უნდა წახვიდე, რადგან ეს შენი მოვალეობაა, საკმარისი არ არის. შენ თუ რეზერვში მიდიხარ, სახელმწიფომ გარკვეული ხელფასი უნდა მოგცეს, უნდა გქონდეს დაინტერესება, ეს ჩემი მოვლილი არ არის, ასეთია მსოფლიო პრაქტიკა. არ არსებობს ქვეყანა, სადაც რეზერვისტს მსახურობის პერიოდში ისევე არ უხდინდენ, როგორც ჯარისკაცს. არ შეიძლება ქვეყანაში კარგი და ცუდი ჯარი არსებობდეს. ბრძოლის დროს შენ ვერ განასხვავებ, რომ ესაა რეგულარული ნაწილი, ეს კი სარეზერვო ქვედანაყოფი. რა, რეზერვისტებს შეტევაზე არ გაუშვებ?

რას ფიქრობთ ავღანეთიდან ჯარის გამოყვანასთან დაკავშირებით?

გადაწყვეტილია, რომ 2014 წლამდე ავღანეთიდან ნატოს და პარტნიორების ქვედანაყოფები გამოვლენ. ვფიქრობ, ეს სასურველია. ამის შემდეგ რა სახით დავრჩებით ავღანეთში, ეს ჩემთვის ცნობილი არ არის.

ავღანეთში გაგზავნილ ჯარს პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ. იქ ჩვენი ჯარის რაოდენობის გაზრდა ჩვენს ნატოში ან ევროკავშირში მიღებას ავტომატურად არ ნიშნავს.

ავღანურ ოპერაციებში საკმაოდ ბევრი პრობლემაა. მაგალითად, ის, რომ იქ ერთი და იგივე ბატალიონები მიდიან. 32-ე ბატალიონი იქ უკვე მეორეჯერაა. ჩვენ ავღანეთი იმისთვის უნდა გამოგვეყენებინა, რომ ყველა ბა-

ტალიონი მონაცვლეობით გაგვეგზავნა. ბაჩანა ახალაიას გადანყვეტილებით კი მხოლოდ მესამე ბრიგადიდან მიდიოდნენ. ეს იყო ე.წ. სამშვიდობო ბრიგადა. თუმცა, რეალურად იქ სამშვიდობო კი არა, საბრძოლო ოპერაცია მიმდინარეობს. სამშვიდობო ოპერაციები იყო კოსოვოში, ბოსნიაში... ავღანეთს ჩვენ კოსოვოს და ბოსნიას ვერ შევადარებთ.

ერაყსა თუ ავღანეთში მიღებული გამოცდილება რამდენად გამოსადეგი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის?

ეს არის გამოცდილება ჩვენს პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობაში, ვსწავლობთ სამტაბო მუშაობას, ლოჯისტიკას, დაზვერვას, ვსწავლობთ, როგორ მუშაობს ტექნიკური საშუალებები. ეს 21-ე საუკუნის ტექნიკური საშუალებებია. ეს არის უზარმაზარი ნახტომი წინ. ჩვენ ჩვენს ნაჭუჭში არ უნდა ჩავიკეტოთ, ჩვენი მიზანი ნატოში ინტეგრაციაა. პირველ რიგში, ეს

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ჯარის ურთიერთობით გამოიხატება. ჩვენი ოფიცრები ამ ცოდნას იღებენ. რა თქმა უნდა, ჩვენ ის ტექნიკური საშუალებები არ გვაქვს, რაც ამერიკელებს ავღანეთში გააჩნიათ, მაგრამ ის გამოცდილება ნებისმიერ შემთხვევაში გამოგვადგება.

ნატოს სტანდარტებიდან გამომდინარე, ჩვენი ჯარი განვითარების რა ეტაპზეა?

ჯარის ხარისხს იარაღი არ განსაზღვრავს, ამის უამრავი მაგალითია ისტორიაშიც და ახლაც ძალიან ბევრია. სადამ ჰუსეინის საუკეთესო შეიარაღება ჰქონდა, მაგრამ ამან ამერიკას ხელი არ შეუშალა, რომ პირველი ომის დროს 100 საათში, მეორე ომის დროს კი სამ კვირაში გაენადგურებინათ. ჯარის ბრძოლისუნარიანობა არ განისზღვრება მხოლოდ შეიარაღებით, ხელფასით, ყაზარმებით – ეს არის საერთო კომპლექსი.

ჩვენ თუ ნატოში შესვლა გვინდა, მხოლოდ ჯარი კი არ უნდა გვყავდეს ე.წ. ნატოს სტანდარტებზე, არამედ ამისთვის საზოგადოებაც უნდა იყოს მზად. ეს გულისხმობს საკანონმდებლო რეფორმას, თავისუფალ მედიას, უმუშევრობის დაძლევას. ჩვენ თუ ნატოში ან ევროკავშირში შესვლა გვინდა, ეს ყველაფერი უნდა გადავლახოთ. და, რა თქმა უნდა, მეზობლებთან პრობლემები არ უნდა გვქონდეს.

ჯარში დაბრუნების იმედი გაქვთ?

თუ ახალი ხელმძღვანელობა საჭიროდ ჩათვლის, მე ჩემს საქმიანობას დიდი სიამოვნებით გავაგრძელებ. ამას მე 20 წელი მივუძღვენი და საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს. მიმაჩნია, რომ ჩემი მთელი რესურსი ჯერ ამონურული არ მაქვს. 

ესაუბრნენ ზურაბ ვარდიანიშვილი და ლიკა ზაკაშვილი.

Radio *Commersant*

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

ახალი ელჩი საქართველოში

იური მანველიანი



კორუფციის უქონლობა, სომხური ეკლესიების თემა, პატიოსანი პოლიციელები, აზერბაიჯანული ჩაი, იაფი საბურავები, ზღვაზე დასვენება, ჯავახეთი... აი, იმ საბაბთა არასრული ჩამონათვალი, რომელთა გამო სომხეთში საქართველო ხშირად ახსენდებათ. ეს მიახლოებითი რიგითობა საქართველოს ამასწინდელმა საპარლამენტო არჩევნებამაც კი ვერ შეცვალა. უახლოეს ჩრდილოეთში ოპოზიციის გამარჯვება ნომერი პირველი ახალი ამბავი მაინც არ გამხდარა. სომხეთის ხელისუფლება თავშეკავებულ მილოცვას დასჯერდა, ოპოზიციონერებმა ეს პრეცედენტი სამაგალითო, მისაბაძ მოვლენად შერაცხეს. ჭიპმოჭრილი ექსპერტები და ანალიტიკოსები „ნუ აჩქარდებით, ვნახოთ, დავაკვირდეთ“ მიდგომას ირჩევენ და სამხრეთ კავკასიისათვის ამ უპრეცედენტო არჩევნების (როცა ხელისუფლება ვერ იმარჯვებს) დროში გამოცდას ემზობიან.

სწორედ ამ ფონზე გამოიკვეთა ახალი ქართველი ლიდერის, ზიძინა ივანიშვილის ინტერვიუ, რომელიც მან მოსკოვურ ჟურ-

ნალ The New Times-ს მისცა და რომლის ცნობილი ფრაგმენტები სომხეთის მას-მედიამ დაუყოვნებლივ აიტაცა. მის განმანათქვამზე კომენტარის გაკეთება მხოლოდ სოციალური ქსელების სომხური სივრცის ყველაზე არხეინმა მომხმარებლებმა თუ დაიზარეს. იქ, სადაც ქართველი პოლიტიკოსი სამშობლოში დაბრუნების მიზეზებზე საუბრობს, თან დასძენს, რომ საკუთარი მინისადმი სიყვარული ქართველებს გენეტიკურად აქვთ დაყოლილი, და გაკვირვებას გამოთქვამს, რომ საქართველოში სომხები ცხოვრობენ. აქ კი დაიწყო: ადგილობრივი ფეისბუქელები (თანაც არა მხოლოდ ნაციონალისტურად განწყობილი ნაწილის) სტატუსს სტატუსზე დებდნენ: კარიერას არმენოფობიით კიდევ ერთი ქართველი პოლიტიკოსი იწყებს; აი, რა მოაქვს დემოკრატია; ივანიშვილი მეორე გამსახურდია (უფროსი თაობის ადამიანები); ივანიშვილმა ის თქვა, რასაც სხვები ფიქრობენ – და რომ ქართველების უმრავლესობა ასე ფიქრობს.

თუმცა, ინტერნეტმომხმარებლები ისევე სწრაფად დამშვიდნენ, როგორც წინა

დღეებში – ალელდნენ. ამ ამბის განსჯა-განხილვა მეორე დღესვე არააქტუალური გახდა, როგორც კი ივანიშვილმა განმარტა, რომ მას არასწორად გაუგეს, რომ ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, საქართველოს ყველა მოქალაქის მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება აქვს და რომ სომხების და ებრაელების გარკვეული თვისებებით ალფროთოვანებულია.

ინტერნეტს გარეთ ქართველი პოლიტიკოსის ოპუსს სომხების შესახებ ნაკლები გამოხმაურება ხვდა წილად. 60 წლის ტაქსის მძღოლს, სახელად ნერსესს, მათ შესახებ არაფერი გაეგო, მაგრამ მილიარდერის გამარჯვება გაუხარდა: „ეგ კაცი მდიდარია, ესე იგი, მაძღარიც იქნება და ჯიბის გასასქელებლად არაფერს გააკეთებს. ჰოდა, ვინ რას ამბობს სომხებზე – ეგ მე სულ არ მაინტერესებს, სომხების ცნობაში ვინმე მაჯობებს? მე უკეთ ვიცი, როგორები ვართ შინაგანად. სომეხი სომხეთში რომ ცხოვრობს, იმაზე უარესად ვერსად იცხოვრებს... ეგ გინდოდა ჩემგან მოგესმინა?“ – მომიბრუნდა ბოლოს.

სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, 30 წლის ელენა, მეზობლებთან მიმდინარე მოვლენებს თვალს ყოველთვის ყურადღებით ადევნებს, და ახალი ქართველი პრემიერი საეჭვო პიროვნებად ეჩვენება. „ივანიშვილს ჯერ იმის დამტკიცება მოუწევს, რომ რუსეთის ხელდასხმული ფიგურა არ არის. თუ ეგ სიმართლე გამოდგა, სომხეთისთვისაც ძალიან ცუდი იქნება. როგორც იქნა, მოვახერხეთ და საქართველოსთან ურთიერთობები გაცილებით მაღალ დონეზე ავიყვანეთ. თუ აქ მოსკოვის ხელია გარეული, მაშინ ჩვენს ქვეყნებს შორის უშუალო დიალოგს ბოლო მოელება. „მიმინოს“ ძეგლის არ იყოს, ქართველს და სომხს შორის რომ ლეონოვის ფიგურაა ჩაკვებებული, ჩვენი ურთიერთობაც ამას დამესგავსება“.

საგარეო უწყების ყოფილი (1996-1998) ხელმძღვანელი, დღეს – ოპოზიციონერი დეპუტატი ალექსანდრ არზუმანიანი ქარ-

თული არჩევნებით აღფრთოვანებას ვერ მალავს. მისი თქმით, ხმის მიცემის პროცესის გამჭვირვალობა და მმართველი ძალის მიერ საკუთარი მარცხის აღიარება მხოლოდ საქართველოსთვის კი არა, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისათვის იყო უპრეცედენტო. არჩევნების ამნაირ შედეგს, ბოლო ათ წელიწადში გატარებული რეფორმების გამო, ის ლოგიკურად თვლის. „ხელისუფლებამ შექმნა ისეთი გარემო, სადაც ოპოზიცია მხოლოდ დაუბრკოლებლად კი არ იმონანილევენდა არჩევნებში, არამედ გამარჯვებაც მოიპოვა და იზეიმა. საქართველოში, კორუფციის აღმოფხვრის და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, უზარმაზარი რეფორმები გატარდა, ნორმალური საარჩევნო გარემო ამის შედეგი იყო და სომხეთისთვის ეს გაკვეთილად უნდა იქცეს“, – განაცხადა არზუმა-ნიანმა.

მმართველი რესპუბლიკური პარტიის დეპუტატმა, სამცხე-ჯავახური წარმომავლის შირაქ ტოროსიანიმ, რომელიც სააკაშვილის მწვავე კრიტიკითაა ცნობილი, არჩევნების მსვლელობის შეფასება და სომხეთში მიმდინარე პროცესებთან მისი შედარება არ ისურვა. „ქართული ოცნების“ ლიდერზე ტოროსიანი დიდ იმედებს ამყარებს: „ივანიშვილის პოლიტიკა სომხეთისთვის უკეთესი იქნება. სააკაშვილი პროთურქულ და პროაზერბაიჯანულ პოლიტიკას ატარებდა, რომელსაც სარგებლის მოტანა საქართველოსთვის მარტო მოკლევადიან პერსპექტივაში შეუძლია, მაგრამ ქართველების ინტერესებს არ ითვალისწინებს. ასე რომ გაგრძელდეს, საქართველოში ხელისუფლებაში შეიძლება მუსლიმანებიც კი მოვიდნენ. „დეპუტატის აზრით, სააკაშვილის პარტიის მარცხის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მისი ლიდერის „პროთურქული“ პოლიტიკა იყო. ივანიშვილის წინასაარჩევნო გამოსვლები, ტოროსიანის აზრით, იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ახალი პრემიერი სააკაშვილის პოლიტიკას არ გააგრძელებს. ოფიციალურ თბილისს დეპუტატმა შესთავაზა, სომხეთის ხელისუფლებას მადლობა უთხრას იმის გამო, რომ საქართველოს სამხრეთ რეგიონებში 90-იან წლებში სეპარატისტულ მოძრაობას მხარი არ დაუჭირა და ყარაბაღის პრეცედენტი არ დაუშვა.


ნაციონალისტურად განწყობილი პოლი-

ტიკოსისგან დატოვებული დანალექი მხატვარმა აბგარმა გამინეიტრალა. აბგარი 50-ს მიტანებული კაცია. თეატრში მუშაობს, სამსახურის გადაღმა მდებარე კაფეში საათობით ზის, უზომოდ ბევრს ენევა და ასე მსჯელობს: „საკაშვილი იქნება, თუ ვინმე სხვა, ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ჩვენი უდღეური პოლიტიკოსების ფონზე რეგიონის ლიდერობა არ გაუჭირდება. სანამ სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს ჭამენ და ადამიანებს ადამიანურად ცხოვრების საშუალებას არ აძლევენ, საქართველო ყოველთვის გამორჩეული იქნება ამნაირი მეზობლების ფონზე, და ამისთვის დიდი მცდელობები არ დასჭირდება. საქართველოში ადამიანებს იგივე უნდათ, რაც ჩვენ: რომ ნაკლები იმუშაონ, კარგი ჭამა-სმა, დასვენება და გართობა არ მოაკლდეთ. ივანიშვილი ხალხს ამას დაპირდა, მაგრამ ფული რომ დაუმთავრდება, ისევე სააკაშვილს მიადგებიან და ხელისუფლებაში დაბრუნებას სთხოვენ. მილიარდერისგან პოლიტიკოსი ვერ დადგება, სააკაშვილმა ლაპარაკი მაინც იცოდა“.

სანამ ჩვენი მეზობლები ახალ სიტუაციასთან ადაპტირებას ცდილობენ, სომხეთი 2013 წლის თებერვალში ჩასატარებელი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება. გასული წლების გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, ამ არჩევნების შემდეგ მათი სამაგალითოდ შერაცხვის სურვილი რეგიონში, ალბათ, არავის გაუჩნდება. ოპოზიცია ცოტას იხმაურებს, მაგრამ ადამიანები მალევე და მშვიდდებიან და ისევე დაიწყებენ იმაზე ფიქრს, როგორ შეაკონინონ ფული უახლოეს ზღვაზე დასასვენებლად. შინ დაბრუნებულები კი ისევე მოჰყვებიან ურეკის პლაჟების და ბათუმის ბულვარის, სომხებით გადაჭედული ქობულეთის, ბაქოელ დამსვენებლებთან ურთიერთობის და თავაზიანი, განკეპილი პოლიციელების შესახებ. **■**



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამომხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.



გალაცხაა

ლიბერალი



საქონი
შოქინალი
98.5 FM

ყოველ სამუშაო დღეს
სალამო 7 საათზე
რადიო „ცხელი შოქოლადის“
ეთერი

www.facebook.com/TalkShowLiberali



ფოტო: რუსუზან ფანოზიშვილი

ბანათლება

ბინა დვანი - "ხონსაფსია - ახადეშიხი თაჰისაფდეზა"

ბიძინა ივანიშვილიმა მინისტრობის ახალი კანდიდატების დასახელებისას განაცხადა, რომ ცნობილი ფიზიკოსი, გია დვალი განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიას უხელმძღვანელებს. გთავაზობთ ინტერვიუს გია დვალთან, რომელიც რუსუდან ფანოზიშვილიმა ნიუ-იორკში ჩანერა.

რუსუდან ფანოზიშვილი

ბატონო გია, რა იქნება ახლად შექმნილი განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიის მოვალეობა?

ეს კომისია არის ორგანო, რომელიც დაკომპლექტებულია დამოუკიდებელი პროფესიონალებით, ვისაც ამ პოზიციასთან ინტერესთა კონფლიქტი არ აქვს. ყოველ შემთხვევაში, კომისიის წევრების უდიდესი ნაწილი არ იქნება ხალხი, ვინც სახელმწიფო სტრუქტურებშია დასაქმე-

ბული. ფუნქციას რაც შეეხება – ფაქტობრივად, ამ კომისიას მრჩევლის ფუნქცია აქვს. ჩვენი ამოცანაა, რეფორმები შემუშავდეს, მთავარი პრინციპები ჩაიდოს და დასაბუთდეს. მთლიანად ეს პროცესი უნდა იყოს დაცული და დასაბუთებული. კითხვები ექნება პარლამენტს, პრემიერ-მინისტრს. ფაქტობრივად, ოთხი როლია: პარლამენტი, პრემიერ-მინისტრი, სამინისტრო და ეს კომისია.

ანუ რეალურად ეს არის „სახელმწიფო“, თუ „სახელმწიფოსთან არსებული“ კომისია?

სახელმწიფო კომისია სწორად ჰქვია, რადგან ინიციატივა სახელმწიფოსგან მოდის. სახელმწიფოს ვემსახურებით. მაგრამ არ ვართ სახელმწიფო სტრუქტურა. დამოუკიდებელი სტრუქტურაა.

რა თქმა უნდა, ჩვენი მუშაობა პრემიერ-მინისტრთან მჭიდრო კავშირში

უნდა იყოს, რადგან რასაც შევექმნით, იმას საკანონმდებლო ბაზა დასჭირდება. სანამ პარლამენტი არ დაამტკიცებს, სამინისტრო ცვლილებებს ვერ გაატარებს. პრემიერ-მინისტრმა უნდა იშუამდგომლოს პარლამენტთან და, როგორც არის რეფორმების შემუშავების მექანიზმი, ისე წარიმართოს.

ამ პროცესში მნიშვნელოვანი ორი საკითხია: პირველი, ამოსავალი და საბაზისო – ის პრინციპები უნდა ჩაიდოს, რაც დემოკრატიულ სისტემასთან წონასწორობაში მყოფი საგანმანათლებლო სისტემისთვის აუცილებელია, მეორე საკითხი – გადასვლის პერიოდია. ყველაზე რთული ეს იქნება. თვითონ პრინციპები და პროექტი სხალზე შეგვიძლია წარვადგინოთ, ველოსიპედის გამოგონება არ გვჭირდება. ყველაფერი ცნობილია, ვიცით, როგორ მუშაობს, გამოცდილება გვაქვს. ყველაზე რთულია, ეს დავენერგოთ საქართველოში, რომელიც დემოკრატიისკენ, იმედია, ახლა წავა, მერე ეკონომიკურად გაძლიერდება და ა.შ. ახლა გარდამავალი პერიოდია. ეს სამინისტროსთან კონსულტაციების და მუშაობის გარეშე ვერ გამოვა, უამრავი ნიუანსია. აუცილებლად სამინისტროსთან ერთად უნდა გაკეთდეს.

თქვენი აზრით, ამ გადასვლის პერიოდს რა დრო დასჭირდება?

წინასწარ ვერ ვიტყვი, არ ვიცი. ამისთვის მონაცემებია საჭირო. პროცესი ასე მესახება: მას მერე, რაც ჩვენ პროექტს წარვუდგენთ პრემიერ-მინისტრს და სამინისტროს, მათ უნდა აგვიხსნან, რა პარამეტრებით შეუძლიათ ამ პროექტში ასახული სისტემა დააკმაყოფილონ და ამაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად სწრაფად გავივლით გარდამავალ პერიოდს. ძნელია ერთი ხელის მოსმით თქვა, რომ დავენერტო და ერთ თვეში იფუნქციონირებს. ეს მონაცემები ჩვენ კი არა, მთავრობასაც არ აქვს, ახლა მიდის იმის შესწავლა, რა მდგომარეობაშია საერთოდ ქვეყნის ეკონომიკა.

რამდენად გავლენიანი იქნება კომისიის მოსაზრებები და გადაწყვეტილებები?

თანამშრომლობას იმიტომ დავთანხმდი, სხვათა შორის, დიდი ენთუზიაზმით, რომ

ვხედავ, ცვლილებების რეალური შანსი არის. ჩანს, ახალ მთავრობას, ივანიშვილის გუნდს ეს ცვლილებები რეალურად უნდა და სურთ, ქვეყანა დემოკრატიისკენ წაიყვანონ, თან რაც შეიძლება – სწრაფად. ამაზე კომისიის გავლენიანობა დამოკიდებული.

გავლენა რომ გვერდით გადავდოთ, ამ კომისიას სხვა მიზანიც აქვს: არსებობს საგანმანათლებლო სისტემის კონცეფციები, რომლებიც საქართველოში არასდროს გაცხადებულა. უბრალოდ ნაფიქრიც კი არ არის ამ მიმართულებით. ვიღაცას ალბათ უფიქრია, მაგრამ სტრუქტურ-

■ ყველა სფეროში ვი-

მუშავენ. ყველა სფეროს

სჭრიდება მიხედვა და რე-

ფორმა. ამ ეტაპზე კომისიის

ძირითადი მიზანია, ეს ამო-

სავალი პრინციპები ჩაიდოს.

რულად – არ არის ნაფიქრი. მთავარი ამოსავალი რაც არის – აკადემიური თავისუფლების ცნება – საქართველოში ეს კონცეფციაც არ არსებობს. არის სხვა კონცეფციებიც, რომლებიც არ მსმენია, რომ საქართველოში განხილულიყოს. ჩვენ მიერ შეთავაზებული პროექტები უკვე ინფორმაციულად არის სასარგებლო. ჩვენს აზრს დაიჯერებენ თუ არა, ცალკე ამბავია, მაგრამ უკვე ის, რომ რაღაცას მოისმენენ ჩვენგან, რაც მერე შეიძლება გაითვალისწინონ, უკვე სასარგებლოა.

როდის დაინყებს კომისია მუშაობას?

კომისია უკვე მუშაობს. არ არის აუცილებელი, ყველა წევრი იყოს შეკრებილი. განსაკუთრებულ რეჟიმში გვინევს მუშაობა. საუბრები უკვე მიდის. თანდათან შემოგვიერთდება ხალხი.

საზღვარგარეთ მოღვაწე მეცნიერებიც არიან ჩართული? და რა არის კრიტერიუმები ამ კომისიის წევრობის?

იმის გამო, რომ ამ კომისიის ფუნქცია რჩევების მიცემაა, ვერჯერობით კრიტიკური შემოწმების მკვეთრი ჩარჩო არ გადაგვინყვეტია. მაგალითად, ჩვენ გვყავს უამრავი კოლეგა და ძალიან წარმატებული მეცნიერი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც, რომელთა რჩევების იმედი გვაქვს. ასეთი კომიტეტები ძალიან მიღებულია და როდესაც გვჭირდება ერთმანეთის დახმარება და რჩევა, ამას ყოველთვის ვცდილობთ. უცხოელმა კოლეგებმა, მთავარია, აზრი მოგვანოდონ, კომისიის ფორმალური წევრობის აუცილებლობა პრინციპული არ არის. ასეთი რეფერები გვეყოლება მსოფლიოს ბევრი წამყვანი უნივერსიტეტიდან (სტენფორდის უნივერსიტეტი, ნიუ იორკის უნივერსიტეტი, გერმანიის უნივერსიტეტები და ა. შ.) რომლებთანაც არაფორმალური კონსულტაციები გვექნება.

განათლების სისტემის ყველა სფეროზე იმუშავენ ეს კომისია თუ კონცენტრირდება უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებაზე?

ყველა სფეროში ვიმუშავენ. ყველა სფეროს სჭრიდება მიხედვა და რეფორმა. ამ ეტაპზე კომისიის ძირითადი მიზანია ეს ამოსავალი პრინციპები ჩაიდოს. დემოკრატიული სისტემის თვისებაა, ამოსავალ პრინციპებს თუ ჩადებ, მერე ის თავის თავს წმენდს.

კონკრეტულად რა ახალი კონცეფციების დანერგვაზე საუბრობთ? დაინყით „აკადემიური თავისუფლების“ ცნებით, რომელიც არაერთხელ აღნიშნეთ. რას გულისხმობს და რა ნაბიჯები მოიაზრება?

თანამედროვე განათლების და განსაკუთრებით, საუნივერსიტეტო განათლების სისტემის ამოსავალი წერტილი აკადემიური თავისუფლებაა. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს ხარისხის კონტროლს ძალიან მაღალ დონეზე და, მეორე მხრივ იმას, რომ პროფესორი და მასწავლებელი დისკრიმინაციისგან დაცულია. არანაირი პოლიტიკური სტრუქტურა არ უნდა ჩაერიოს მათი სწავლების და მათი კვლევის თავისუფლებაში. რა თქმა უნდა, თავისუფლება კანონიერ და ეთიკურ ჩარჩოებში იგულისხმება. იმისთვის, რომ აკადემიური თავისუფლება იყოს დაცული

– აუცილებელი პირობაა, პროფესორს და მასწავლებლებს ჰქონდეთ დაცულობის და სტაბილურობის შეგრძნება, რომ მათი ბედი და ხვალისდელი დღე არ არის ცაში გამოკიდული და რაღაც გაურკვეველი პოლიტიკური ძალის გადასაწყვეტი, რომელმაც შეიძლება პოლიტიკური, რელიგიური ან სხვა მოსაზრებით ისარგებლოს და ამაზე იყოს დამოკიდებული კონტრაქტის გაგრძელება. ჯერ ერთი, ამ დაცულობის გარეშე პროფესორი და მასწავლებელი სტრესშია – იმაზე იფიქროს, რომ ორი წლის შემდეგ, შეიძლება, კონტრაქტი აღარ გაუგრძელონ, თუ იმაზე, რომ პროფესიონალიზმი და თავისუფალი აზროვნების უნარი ჩაუნერგოს სტუდენტებს და იმას მოახმაროს დრო? დაცულობა სახელმწიფოსგან უნდა იყოს გარანტირებული და ისეთ გარდამავალ ქვეყნებში, როგორც საქართველოა, კანონმდებლობით. რა მექანიზმებია ამ გარანტიის? არსებობს ე.წ. „ტენუარის (tenure) ინსტიტუტი“ – ეს ნიშნავს, რომ გარკვეული დროის შემდეგ პროფესორის თანამდებობა მუდმივი ხდება. ამ დროზე მოლაპარაკება შეიძლება.

ასეთ სისტემაში საწყისი პოზიცია არის ასისტენტ პროფესორი (და არა პროფესორის ასისტენტი). ასეთ თანამდებობას როგორც წესი, აქვს საცდელი ვადა, მაგალითად, 5 წელი. მერე მისი სტატუსის გადახედვა ხდება უფროსი კოლეგა-პროფესორების მიერ. ამისთვის იქმნება აბსოლუტურად მიუკერძოებელი კომიტეტი, რომელიც გარეშე რეფერირებაზე დაყრდნობით შეაჯამებს მეცნიერის მიღწევებს და მის შესაბამისობას ტენუირებულ პროფესორობაზე გადასვლასთან. ამას ჰქვია „tenure track“ – ტენუარის გზა. ვარიანტები არსებობს – ზოგ უნივერსიტეტს, მაგალითად, ასისტენტ პროფესორის შემდეგ აქვს დროებითი ვადით ასოცირებული პროფესორის რანგი და მერე გადადის სრულზე. ზოგ უნივერსიტეტში ასოცირებულს აქვს უკვე „ტენუარის“ სტატუსი. „მუდმივი პროფესორი“ ნიშნავს იმას, რომ მისი პოზიცია ხდება მუდმივი. ეს ვადა ზემოდან იჭრება იმის მიხედვით, ქვეყანას გააჩნია საპენსიო ასაკი თუ არა. ამერიკაში მაგალითად,

პროფესორს უფლება აქვს იქამდე იმუშაოს, სანამ შეუძლია.

თქვენი აზრით, რომელი პრაქტიკა სჯობს – მუდმივი პროფესორობა თუ საპენსიო ასაკით ამ დროის შემცირება?

გააჩნია ქვეყნის სპეციფიკას და კომპენსაციის მექანიზმებს. როდესაც ხარისხის კონტროლი მაღალია, იქ სჯობია, არ იყოს ზღვარი, რადგან ზღვარი ზოგ ქვეყანაში არის 65, 68 წელი. თანამედროვე პრაქტიკა აჩვენებს, რომ 65 წელი, შეიძლება შემოქმედებითი პიკი არ არის, მაგრამ ბევრისთვის ნაყოფიერი ხანაა. ამ ასაკში პროფესორების უმეტესობა კარგ ფორმაშია და წარმატებით ახორციელებს კვლევებს. თუ ადამიანს აქვს მოღვაწეობის ენერჯია და სურვილი, 65 წლის ადამიანის პენსიაში გაშვება დანაკარგია.

საქართველოს კონტექსტში თუ განვიხილავთ – ჩვენთან რამდენად იმუშავენ ეს პრაქტიკა?

ეს კარგი კითხვაა. ზოგადად, სადაც ზედა ზღვარი არ არის, რა თქმა უნდა, პროფესორები მაინც გადიან პენსიაში, რადგან პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ. რადგან ძალიან მაღალი ხარისხის ადგილზე ვლაპარაკობთ, ეს ხალხი იმდენად პროფესიონალია, რომ ხვდება, როდის არის დრო, რომ გვერდზე გავიდეს და ახალ თაობას დაუთმოს გზა.

საქართველოს ახლანდელ სისტემაში რა ხდება: სახელები იგივე ჰქვიათ: „ასისტენტ პროფესორი“, „ასოცირებული“, „სრული“, მაგრამ შინაარსთან შესაბამისობაში ეს სახელები არ არის. ყველა რამდენიმეწლიან კონტრაქტზეა, ახლა, მგონი, ცოტა მოუმატეს წლები. სამწლიანი კონტრაქტი იყო. სრული პროფესორი სამწლიან კონტრაქტზე – ასეთი ცნება არ არსებობს, მთელი იდეა ისაა, რომ სრული პროფესორი ზუსტად ის პირია, რომელიც დააფასა ფაკულტეტმა და მუდმივი კონტრაქტი მისცა.

მოკლევადიანი კონტრაქტი, ერთი მხრივ, ასევე ხარისხის კონტროლად არ მოიაზრება? – ივლისხმება, რომ მოღვაწეობის საშუალებას არ აძლევ პროფესორს, მასწავლებელს...

ამით ხარისხს კი არ გააკონტროლებ, გააუარესებ. მოვიყვანოთ მაგალითი: ვთქვათ, მოცემულ უნივერსიტეტს ხარისხის ამაღლების მიზნით სურს, მოიზიდოს პროფესორი სამწლიან პოზიციაზე. რომელი პროფესორი დატოვებს პოზიციას. რომელიც არის მუდმივი და გადმოვა სამწლიან ხელშეკრულებიან კონკურსში სამონაწილოდ პოზიციაზე, რომლის შემდეგაც საერთოდ არ იცის, რა ბედი ელის? აბსურდია. ეს პოზიცია კონკურენციას დამწყებ პოსტდოქტორანტებსაც ვერ გაუწევს. ადამიანს, რომელიც არის პოსტდოქტორანტი, თუნდაც სამწლიან კვლევით პოზიციაზე ნამყვან უნივერსიტეტში, შემდეგში პერსპექტივით, არ დატოვებს ამ პოზიციას და თუნდაც სრულ პროფესორად არ წამოვა საქართველოში 3 წლით და გაურკვეველი მომავლით. ამით ხარისხს ძირს დაეცემა.

ხარისხის კონტროლის კიდევ რა მექანიზმები შეიძლება დაინერგოს?

მსოფლიოს ნამყვან აკადემიურ სისტემაში ამას მაღალი ხარისხის პროფესორა განსაზღვრავს. თუ დეპარტამენტს დააკომპლექტებთ მე-2 ხარისხის პროფესორს, ის სამსახურში მიიღებს მე-3 ხარისხისას და ა. შ. მთავარია, თავიდან მოახერხო, რომ დაინტერესო და მოიზიდო მაღალი ხარისხის პროფესორები. ეს შეიძლება მიღწეულ იქნას რამდენიმე ფაქტორის კომბინაციით, რომლებშიც შედის: კარგი პირობების შექმნა, პატრიოტული მოსაზრება, ენთუზიაზმი, და მეცნიერული კვლევებისთვის ასპარეზის მიცემა. აუცილებელია, რომ მოიზიდო საწყისი პირველხარისხოვანი კონტინგენტი, შემდეგ ის გააკონტროლებს დანარჩენს.

ასეთი რესურსი რამდენად არის საქართველოში?

ადვილი არ არის, მაგრამ ამ ამოცანის გადაჭრის გარეშე არაფერი არ გამოვა. ამის შესრულების გარეშე ქვეყანა ვერ შედგება. ის ქვეყანა, სადაც განათლების სისტემა არ არის, ვერ იარსებებს. რადგან ეს ქვეყნის მთავარი პრიორიტეტია, რესურსი უნდა გამოინახოს.

მოიაზრებთ საზღვარგარეთ მყოფი პროფესორების დაბრუნებასაც?

ეს აუცილებელი არ არის. საქართველოში მაღალი ხარისხის პროფესიონალების კონტინგენცია. უნდა იყოს ხელშეწყობა, რომ უცხოეთიდან იყოს შეთავსებით, ნაწილობრივი კონტრაქტები... გლობალიზაცია ამას უწყობს ხელს. განათლების სისტემა ძალიან გლობალური ხდება. არის მექანიზმები, რომ ადამიანმა, რომელიც უცხოეთის სხვა უნივერსიტეტში მოღვაწეობს, წელიწადში რამდენიმე თვე თავის ქვეყანაში გაატაროს და რეგულარულად იკითხოს ლექციები. ბევრი უცხოეთში მოღვაწე პროფესორი რეგულარულ თანამშრომლობაზე წამსვლელია და, სხვათა შორის, ასეთ წინადადებებს უდიდესი გაგებით ეკიდებიან წამყვან უნივერსიტეტებში: ყველას მიაჩნია, რომ ძალიან კარგია შენ ქვეყანას დაეხმარო. ეს ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს. მაგრამ მაინც მთავარი ადგილობრივი კონტინგენტის შექმნაა. ადგილობრივი პროფესურა უნივერსიტეტის მთელი ჩონჩხია. დროებით მონვეული კონტინგენტის ხარჯზე უნივერსიტეტი ვერ იმუშავებს.

მაგალითად, იმ პროფესორებს, ვინც ჯერ გაუშვეს და მერე მიიღეს დროებითი კონტრაქტებით, შეიძლება კვლევის საშუალებები არ ჰქონდათ, მაგრამ ყველა საშუალება აქვთ, რომ სტუდენტები ბაკალავრამდე მოამზადონ.

არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში დღევანდელი პროფესორის თუ მასწავლებლების ნაწილი შეიძლება კვალიფიციურია, მაგრამ იმის გამო, რომ მიჩვეულია ცენტრალიზებულ, ან საბჭოთა სისტემაში მუშაობას და სხვაგვარ სტანდარტებს, თანამედროვე მოთხოვნებს ვერ ან ალარ ერგებიან. თქვენი აზრით, არის ეს დღევანდელი აკადემიური პერსონალის ერთ-ერთი პრობლემა?

ეგ სისულელეა. პრობლემა ის კი არ არის, ადამიანი რა გარემოში გაიზარდა, პრობლემა ხარისხი. იმ სისტემაში გაზრდილი უფროსი თაობის ბევრი ადამიანი ახლა მსოფლიოს წამყვან ცენტრებში პროფესორია. რა თქმა უნდა, სისტემა თავისებურ დაღს ასვამს, მაგრამ ეს არ არის მთავარი ფაქტორი. რას ჰქვია, სის-

ტემას ვერ მოერგო, მერე კიდევ, რომელ სისტემაზეა ლაპარაკი, დღევანდელზე, რომელიც ძველზე უარესია?

რა ხარისხით უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტს ავტონომია და რექტორი არჩევით უნდა იყოს თუ უნდა დანიშნონ?

ეს „ტენუარის ინსტიტუტი“ და აკადემიური თავისუფლების კონცეფცია ფაქტურად ავტომატურად გაძლევს სურათს, სადაც უნივერსიტეტის მთავარი ხერხემალი პროფესურაა. მთავარი მმართველი ორგანო არის მათი კრება. უნივერსიტეტი დაყოფილია ფაკულტეტებად,

■ ბევრი უცხოეთში მოღვაწე პროფესორი რეგულარულ თანამშრომლობაზე წამსვლელია და, სხვათა შორის, ასეთ წინადადებებს უდიდესი გაგებით ეკიდებიან წამყვან უნივერსიტეტებში: ყველას მიაჩნია, რომ ძალიან კარგია შენ ქვეყანას დაეხმარო.

დეპარტემენტებად. თითოეულ დეპარტამენტში მთავარი ორგანო არის ფაკულტეტის კრება, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება დისკუსიების და კენჭისყრის შედეგად. შემდეგ ეს გადაწყვეტილება მიდის დეკანის ოფისში და, თუ საჭიროა, უნივერსიტეტის პრეზიდენტამდე. ასეთი სისტემა ავტონომიას ავტომატურად ამყარებს. ავტონომია არის თვითმმართველობა.

თუ ასეთი სისტემა მუშაობს, რექტორების დანიშვნა-არდანიშვნა პრინციპული აღარაა. ავტომატურად, რექტორი პროფესორის სამსახურში დგას და მისი ფუნქციაა, პროფესორებს თანხა მოუპოვოს, სტიმული მისცეს... ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღება, რაღაც რატიფიკაციები არის საჭირო რექტორის მხრიდან, მაგრამ, ვინ აიყვანოს სამსა-

ხურში და ამგვარი ფუნქციები რექტორს მოხსნილი აქვს.

ოპტიმალური იქნებოდა, რომ უნივერსიტეტს ჰყავდეს ასეთი ორგანო „Trusties“ – რწმუნებულები, რომელიც გამოირიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. რაღაც გაგებით უმაღლესი ძალაუფლების მქონე ორგანოა. ეს საბჭო ყოველდღიურ საკითხებს არ წყვეტს, განსაკუთრებული საქმე თუ არის, მაგალითად, წარმოიშვა კონფლიქტი ვილაციის სამსახურიდან დათხოვნაზე. Board of Trustees მაშინ ერთვება. ასეთი საბჭოს არსებობა ალბათ აუცილებელია, მედიატორიც არის, დამცველიც და ა. შ.

უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობების კავშირი მმართველ პარტიასთან დღემდე პრობლემატურია და რჩებოდა ქართულ სისტემაში. არ არის გამოირიცხული, რომ მომავალშიც იქნებოდა სტუდენტები, ვისაც რომელიმე, ან მმართველ პარტიასთან კავშირის სურვილი გაუჩნდება, მმართველმა პარტიამ კი, შეიძლება, სტუდენტების გავლით უმაღლეს სასწავლებლებში საკუთარი გავლენის გამყარება სცადოს. რა მექანიზმით შეიძლება ამ პროცესის თავიდან აცილება?

ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ უზურპაცია მოხდეს და დემოკრატიული სისტემა ისევ საშიშროების წინაშე დადგეს. აკადემიური თავისუფლების და ტენუარის ინსტიტუტის იდეა და ის, რომ პროფესიონალებს ექნებათ ძალაუფლება და რომ მთავარი უნივერსიტეტში არის ფაკულტეტის სხდომა, დამცავი მექანიზმებია ამ რისკის წინააღმდეგ.

თუ რომელიმე სტუდენტს უნდა, რომ იყოს პარტიასთან ასოცირებული, ეს მისი უფლებაა და არ არის პრობლემა. პარტიული ხაზის უნივერსიტეტში გატარება კი შეუთავსებელია. უნივერსიტეტი თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი პარტიული, რელიგიური ან სხვა ტიპის გავლენისგან. სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იყოს სეკულარული.

ერთი მხარის აზრით, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასური არის ძალიან მაღალი, საპირისპირო მოსაზრებით – უფრო მეტი უნდა იყოს. თქვენ რა გეგმები გაქვთ საფასურთან დაკავშირებით?

აქ ერთი მთავარი პრინციპია გასატარებელი. ნებისმიერ ბავშვს, ვისაც სწავლა უნდა, ამის შანსი უნდა მიეცეს. პრინციპი მარტივია, გატარება – რთული. ამის გადაჭრა შეიძლება სხვადასხვა მეთოდით. შეგიძლია თქვა, რომ როგორც სოციალისტურ სისტემაში, სწავლა უფასოა ყველასთვის, ან რაღაც პატარა თანხაზე ლაპარაკი. თუ ასეთი ვარიანტი ნავიდა, განსაკუთრებით აუცილებელია ხარისხის კონტროლი.

მეორე ვარიანტი არის ის, რომ სისტემა იყოს უფრო მოქნილი, ანუ სახელმწიფო იღებს თავის თავზე დაფინანსებას და ღარიბი ოჯახებიდან წამოსულ ბავშვს ისეთივე შანსი აქვს განათლება მიიღოს, როგორც შეძლებული ოჯახებიდან.

ანუ უფასო უნდა იყოს უმაღლესი განათლება?

ეგ სქემა გადაჯაჭვულია ეკონომიკურ სიტუაციასთან. საქართველოს უსასრულო რესურსი რომ ჰქონდეს, შეიძლება, მაგრამ რეალობაში, სისტემა უნდა იყოს უფრო მოქნილი იმის მიხედვით, როგორი შემოსავლის მქონე ოჯახებიდან მოდის ბავშვი. შესაბამისად, აქედან უნდა გამოიყვანო გადასახადი. ამავე დროს, რა თქმა უნდა, ბავშვმა სტანდარტები უნდა დააკმაყოფილოს.

სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის საფასური უნდა იყოს გაცილებით ნაკლები, ანუ რაღაც სტანდარტს არ უნდა აღემატებოდეს. როცა რაღაცას ვიხდით, შესაბამისად, ეს უნდა უბრუნდებოდეს მოქალაქეს. კერძო უნივერსიტეტებში უკვე სხვა სიტუაციაა, მაგრამ მათაც აქვთ იმის მოქნილობა, რომ დააფინანსონ ღარიბი ოჯახებიდან წამოსული ბავშვები – მაგალითად, სტიპენდიები მისცენ.

მისაღებ გამოცდებსა და მათ ცვლილებებზე დიდი ვნებათაღელვაა. არსებობს სხვადასხვანაირი სისტემა, გამოსაშვები, მისაღები ტესტირებების, გამოცდების, უგამოცდოდ მიღების და ა. შ. კომისია რომელ ვარიანტს განიხილავს?

ამ საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომაა საჭირო. ამ საკითხს უფრო დეტალურად სჭირდება ჩახედვა. მისაღები გამოცდების სტანდარტიზაცია

თავისთავად კარგ ფუნქციას ასრულებს იმ მხრივ, რომ ადგილობრივი კორუფციის წინააღმდეგ არის მიმართული. ეს მომენტი კარგია, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მისაღები გამოცდების იდეა ხომ საუკეთესოს შერჩევაა. მთავარია, რამდენად არჩევს მოცემული ტესტი საუკეთესოს. მოსაფიქრებელია, უნდა გავითვალისწინოთ თუ არა სხვა ფაქტორებიც – ოლიმპიადებში გამარჯვებები, სკოლის მოსწრება – უფრო კომპლექსური ინფორმაცია რომ იყოს ბავშვზე და არა მინცდამინც, ერთი გამოცდით გადაწყდეს მისი ბედი.

სხვა სფეროებში რა ახალი კონცეფციების დანერგვაზე ფიქრობთ, მაგალითად, ზოგად განათლებაში?

ზოგადი განათლება უფრო მეტად დაკავშირებულია ტექნიკურ საკითხებთან. თუ შეგიძლია რაღაც ძალებით შექმნა ერთი-ორი ელიტარული უნივერსიტეტი, ზოგადი განათლება გაცილებით უფრო მასობრივია. ტექნიკური მომენტები უფრო მეტია იქ, თუ როგორ განვითარდება, თორემ კონცეფცია იგივეა – აკადემიური თავისუფლება მასწავლებელსაც უნდა ჰქონდეს.

როგორ შეაფასებთ ზოგადად საქართველოში მეცნიერების, კვლევითი ინსტიტუტების ფუნქციონირებას და მათ მდგომარეობას?

ერთი სიტყვით, მთლიანად შეფასება ძნელია, რადგან არაერთგვაროვნებას აქვს ადგილი. ეს სისტემა შესაბამისობაში არადემოკრატიული ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასთან, ამიტომაც – ბევრი ხარვეზია. კონკრეტულად ბევრ რამეზე შეიძლება საუბარი. მაგალითად, რატომღაც გამიგია მოსაზრება, რომ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, მეცნიერება ყოველთვის უნივერსიტეტთანაა მიბმული. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი რომელსაც სადოქტორო პროგრამა აქვს, კვლევის ცენტრია. მაგრამ არსებობს კვლევითი ცენტრებიც, რომლებიც უნივერსიტეტებთან არ არის მიბმული: ნაციონალური ლაბორატორიები, Advanced Studies ინსტიტუტები და ა.შ. მე წინააღმდეგი ვიყავი რომ, ერთი ხელის მოსმით, ყველა კვლევითი ინსტიტუტი, განურჩე-

ვლად წარმატებისა და ისტორიისა, ასევე განურჩევლად მიერთებინათ უნივერსიტეტისთვის. დარწმუნებული ვარ, ანალოგიური სიტუაცია იყო ბევრ ინსტიტუტში, მაგრამ, მაგალითად, ფიზიკის ინსტიტუტს მოვიყვან: გადახედეთ, ფიზიკის ინსტიტუტიდან რამდენი კადრია დღეს მსოფლიოს წამყვან ცენტრებში დასაქმებული, ძალიან დიდ კოეფიციენტს მიიღებთ. ეს ხომ ობიექტური მაჩვენებელია. ეს გვეუბნება, რომ არსებობს ბრენდი, რომელსაც მსოფლიოში იცნობენ და ეს მაჩვენებელი მის მაღალ ხარისხს ნიშნავს.

დაფინანსება როცა შეწყდა, ფიზიკის ინსტიტუტი სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ მარტო შენობა ხომ არ არის. ინსტიტუტში იგულისხმება ხალხიც. სახელის შექმნა ხომ ძალიან ძნელია. ამას სჭირდება ათეულობით წლები. ფიზიკის ინსტიტუტმა ეს სახელი მოიპოვა. ფიზიკის ინსტიტუტი შეუერთეს უნივერსიტეტს. მოსაზრება ხომ უნდა იყოს, რომელიც ამ შეერთებას დაასაბუთებს?

უმაღლეს სასწავლებელთან მიერთება კვლევითი ინსტიტუტების განვითარებას ხელს შეუშლის?

გაერთიანების იდეა შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც, მაგრამ მანტრურებს, რა მიზეზით მოხდა, მე რეალურ მიზეზს ვერ ვხედავ. მიერთებისას ინსტიტუტი ავტონომიას კარგავს. მას აქვს სპეციფიკური ტრადიციები, კვლევის ისტორია. ასეთმა მექანიკურმა მიერთებამ ყოველგვარი წინასწარი გააზრების და პროექტების გარეშე, რა უნდა გააუმჯობესოს? ავტონომიის დაკარგვის შედეგი, ვერ ერთი, არის ის, რომ მკვლევარებს სტრესში და გაურკვეველობაში აყენებს. მერე იბადება კითხვები? რატომ, შენობის გაყიდვა უნდათ და ა. შ. დადებითი ის იქნებოდა, თუ ვიტყვით, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი გაცილებით დიდია და უნივერსიტეტი დააფინანსებს კვლევებს. ასეთ შემთხვევაში შეერთებას აზრი აქვს. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ გაცილებით უფრო მეტი მოლაპარაკების შემდეგ უნდა გადაწყდეს?

შეერთების ერთ-ერთი მიზეზი კვლევითი ცენტრებისთვის რესურსების ნაკლებობა არ არის?

მესმის, რომ რესურსები არ არის. ჯერ ერთი, იქაც შეიძლება კამათი, ის რესურსი შადრევანზე სჯობს დახარჯო თუ ასეთ პროგრამებზე. ბევრი რესურსი, რაც ჰაერში გაფრინდა, შეიძლება სხვა რამეს მოხმარებოდა, მაგრამ ამას დავანებოთ თავი. გეთანხმებით, რომ ეკონომიკური სიტუაცია რთულია. პრობლემაა, რომ ეს მოხდა მეცნიერებთან შეუთანხმებლად, პირიქით – მათი სურვილის წინააღმდეგ. მე მაგალითად განვაცხადე კიდევ ინტერვიუში, რომ სწორი კონცეფცია იქნებოდა ფუნდამენტური კვლევების ნაციონალური ცენტრის შექმნა.

ჩემი ხედვა არის ასეთი: ნებისმიერი ასეთი ტიპის გადამწყვეტილების შემთხვევაში მეცნიერები უნდა იყვნენ ჩართულები. უნდა შეიკრიბოს სამეცნიერო საბჭო, ფიზიკის ინსტიტუტიდან და უნივერსიტეტიდან და მოიფიქრონ, რით შეიძლება ფიზიკის ინსტიტუტს დავეხმაროთ. ჩემი კონცეფცია იყო ის, რომ ფიზიკის ინსტიტუტს აქვს საშუალება (საქართველოს ეკონომიკურად რთული სიტუაციის შესაძლებლობებში) რომ მის საფუძველზე შეიქმნას თანამედროვე ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ტიპის ინსტიტუტი. ეს ამ ინსტიტუტის ძალიან ბუნებრივი განვითარება იქნებოდა, რადგან ასეთი ტიპის ცენტრები ყველა ქვეყანაშია.

როგორ უნდა შეენყოს ხელი კვლევითი ცენტრების და მეცნიერების განვითარებას საქართველოში, დღევანდელი ეკონომიკური სიტუაციის პირობებში?

მეცნიერება უნდა გახდეს პრიორიტეტი. საერთოდ, მარტო მეცნიერება კი არა, კვლევები, განათლება, მათ შორის, ჰუმანიტარულიც. ეს არის ისეთი ინვესტიცია, რომლის ფულადი გაზომვა შეუძლებელია. ეს არის ყველაზე დიდი ინვესტიცია, რაც შეიძლება ქვეყანამ გააკეთოს. ფულის ჩადება განათლებასა და კვლევაში ასმაგად და ათასმაგად გიბრუნდება. ეს ინვესტიცია იმიტომაც არის ასეთი ფაქიზი, რომ იმ მომენტში ვერ ხედავ. ამას დებ შვილების ინტელექტში და მომავალში. რაც უფრო მეტი ინტელექტუალი ადამიანი ეყოლება ქვეყანას, მით უფრო წარმატებული იქნება. პოლიტიკურადაც, როცა მეტი მოაზროვნე ჰყავს ქვეყანას, შეუძლებელია

მისი მოქალაქეები გააბრიყვო, პროპაგანდით ტვინი გამოურევსო. თავისუფალი აზროვნება და ინტელექტი თვითდაცვის მექანიზმი და დემოკრატიის გარანტია.

ევროპაში არსებობს უზარმაზარი გრანტების სისტემა. როცა კვლევის დონეს გაზრდით, უნდა მოხდეს ევროპასთან მოლაპარაკება. ამ გრანტების ბაზარზე შეიძლება გასვლა, რომ დაფინანსება გარედან შემოვიდეს. მაგრამ ხალხი ხომ უნდა მოამზადო, ვინც მერე ამ გრანტს მოიგებს, ეს ვერ იქნება, თუ თავიდან სისტემაში ფული არ ჩადე. უსუსური ლაპარაკია, რომ მეცნიერებას ფული არ აქვს. თუ ქვეყანა

■ უნივერსიტეტი თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი პარტიული, რელიგიური ან სხვა ტიპის გავლენისგან. სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იყოს სეკულარული.

ხარ, ეს უნდა იყოს პრიორიტეტი.

ბოლო პერიოდში სახელმწიფომ შემოიღო ასეთი სტრატეგია: მეცნიერულ და ტექნიკურ მიმართულებებზე, ჰუმანიტარულთან შედარებით, გაზარდეს დაფინანსების მოპოვების შანსები. შედეგად უფრო მეტმა სტუდენტმა ჩააბარა ამ მიმართულებებზე, თუმცა, რეალურად, ბევრი, მაგალითად საბუნებისმეტყველო მიმართულებაზე უფრო დაფინანსების გამო სწავლობდა, ვიდრე მოტივაციით. ასევე, ვერ ხედავდნენ, სად დასაქმდებოდნენ დამთავრების შემდეგ, რაც, თავის მხრივ, ერთ-ერთი დემოტივატორია. თქვენი აზრით, ამ ცვლილებით უნდა დანერგულიყო მეცნიერების გაძლიერება, თუ ჯერ სამეცნიერო ბაზის შექმნით და ეს ავტომატურად მოიხიდავს სტუდენტებსაც?

ეს პარალელური პროცესია. სწორედ ამიტომ არის რეფორმა საჭირო. ახალი სისხლისა და იდეების ინექცია ყველა დონეზე უნდა მოხდეს. ასე, ერთი სფეროდან რომ დავიწყოთ, ყოველთვის ჩაკეტილი

ნრე იქნება. რა თქმა უნდა, იქნებიან ბავშვები, ვინც იქ იმიტომ ჩააბარებენ, რომ ადვილად ხვდებიან. მაგრამ ხარისხის კონტროლიც უნდა გაზარდო. ამას ვერ გაზრდი, თუ შენ ხარისხიანი პროფესურა არ გყავს. შესაბამისად, ეს გადაჯაჭვულია პროფესორის ხარისხის გაზრდასთან, რომელსაც თავის მხრივ ვერ გაზრდი, თუ პროფესორი ორწლიან კონტრაქტზე 200 ლარად გყავს. ამიტომ ამ პრობლემის ფორსირებულად გადაჭრა საჭირო ყველა დონეზე.

მეცნიერების რომელიმე სფერო უნდა იყოს თუ არა პრიორიტეტული?

ასე არ არის. რა თქმა უნდა, ის მიღწევები რაც გვაქვს, ის სფეროები უნდა შევინარჩუნოთ. არის სფეროები, სადაც მსოფლიო სახელია მიღწეული. არ მინდა ვინმე გამომჩინოს. ფიზიკის ინსტიტუტი რომ ვახსენებ, იქიდან ბევრი მეცნიერია წასული CERN-ში. ასეთივე მიმართულებაა ბიოლოგიაში, მედიცინის დარგში. ზეზავზე და მზიაზე აღარ ვლაპარაკობ, უდიდესი მნიშვნელობის ადგილობრივი აღმოჩენაა. ამკარაა, რომ ეს ანთროპოლოგიის სკოლის დიდი წარმატებაა. მიღწევები უნდა შევინარჩუნოთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ რაღაც დარგში მიღწევა არ გვქონდა, არ უნდა გავაძლიეროთ. ჰუმანიტარულ დარგებს უნდა მიენიჭოს ასევე მნიშვნელობა, რადგან ჰუმანიტარულის სწორად სწავლება თავისუფალი აზროვნების გარანტიაა. ამ დარგებმა პირდაპირ უნდა ითამამონ გადამწყვეტი როლი ბავშვებში დემოკრატიული აზროვნების ჩამოყალიბებაში.

ჰუმანიტარული მიმართულებები მაინც უფრო პოპულარულია საქართველოში. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება სკოლაშივე იყოს და იმ მეთოდებში, რომლებითაც იქ ასწავლიდნენ. რა მეთოდებით უნდა მოხდეს სკოლაში მოსწავლის მეცნიერებით და საბუნებისმეტყველო საგნებით დაინტერესება?

ზოგად განათლებაში მეცნიერების პოპულარიზაციის ცნობილი მექანიზმები არსებობს. ჯერ ერთი, მასწავლებელი უნდა მოვამზადოთ, მეორეც, მასწავლებლის პოზიცია უნდა გახდეს პრესტიჟული და სტაბილური. შეიძლება, მასწავლებელს იმდენი ხელფასი ვერ მისცე, რამ-

დენიც სხვას, მაგრამ ეს უნდა დააკომ-
პენსირო, მაგალითად, სტაბილურობით,
ჯანდაცვით. ამავე დროს, მასწავლებლის
სტატუსი უნდა ამაღლდეს. ეს გამოიწვე-
ვს მასწავლებლებად ნიჭიერი კადრების
მოსვლას. ამავედროულად, უნდა იყოს
პროგრამები მასწავლებლების გადამზა-
დებაზე, მოტივირებაზე. მაგალითად, მე
CERN-ში ნოემბერში კიდევ ერთხელ მო-
მინევს ქართველ პედაგოგებთან შეხვე-
დრა. ვერ წარმოიდგენთ, მათთვის ეს რა
დიდი სტიმულია. ფაქტობრივად, ხელი
მსოფლიო მეცნიერების პულსზე აქვთ.
დღეს იქ კაცობრიობის მეცნიერების
ისტორია იქმნება. ჯერ კიდევ არ გვაქვს
გააზრებული, რამხელა აღმოჩენასთან
გვკონდა საქმე ცერნში ამ ზაფხულს. ეს
სტიმული და ენთუზიაზმი ბავშვებსაც
გადაედებათ. ასეთი პროგრამები არის
გასაკეთებელი მეცნიერებაში, ბიოლო-
გიაში... დიდი ხელშეწყობა გვექნება
უცხოეთიდან, გამოინახება თანხები და,
რა თქმა უნდა, ადგილობრივმა მთავრო-
ბამაც უნდა დააფინანსოს. ეს პატარა
რგოლია მთელ სისტემაში. უამრავი
ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ეს
კომპლექსურად უნდა მოხდეს და შედეგი
იქნება.

**ნაწილობრივ უკვე განვიხილეთ, მაგრამ
თქვენი აზრით, წინა ხელისუფლების მთავა-
რი შეცდომა განათლების სისტემაში რა იყო?**

ბოლო წლებში განათლების სისტემის
მიზანი იყო ორნაირი: ერთი მხრივ, ყოფი-
ლიყო შესაბამისობაში არსებულ პოლიტი-
კურ სისტემასთან, მეორე მხრივ, თითქოს
დასავლური დემოკრატიული სისტემური
რეფორმირება გაეკეთებინა. თავი დავა-
ნებოთ იმას, თუ რამდენად კომპეტენტურ-
ად კეთდებოდა ეს რეფორმა. ეს ორი
უბრალოდ შეუსაბამობაშია ერთმანეთთან.
შეუძლებელია, რომ ერთი მხრივ, სისტემა
მოერგოს იმ სახელმწიფოებრივ სტრუქტურ-
რას, რაც საქართველოში იყო და მეორე
მხრივ – დემოკრატიული სტანდარტების
შესაბამისი განათლების სისტემა გქონდეს.

**როგორი რეფორმის წამოწყება უფრო
ეფექტურია დღევანდელ სიტუაციაში,
გრძელვადიან შედეგებზე გათვლა თუ მოკ-
ლევადიანზე?**

ქვეყანას ახლავ სჭირდება რეფორმე-
ბის გატარება. ამ რეფორმის მოცდა არა-
მიზანშეწონილია. პრინციპები ახლა უნდა
ჩაიდოს და ამ პრინციპებზე თუ გადავე-
დით, გრძელვადიანი კი არა, უსასრულო
ვადიანი გამოვა, რადგან სულ უფრო და
უფრო კარგ შედეგებს მოიტანს.

**ახალი სისტემის დანერგვისა და განვი-
თარებისას, რა რისკები იქნება, რასაც გან-
საკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს
და გაკონტროლდეს?**

რისკების მეტი რა არის, უამრავია,
განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში.

**■ შეიძლება, მასწავლებელს
იმდენი ხელფასი ვერ მისცე,
რამდენიც სხვას, მაგრამ ეს
უნდა დააკომპენსირო, მაგალ-
ითად, სტაბილურობით, ჯან-
დაცვით. ამავე დროს, მას-
წავლებლის სტატუსი უნდა
ამაღლდეს. ეს გამოიწვევს
მასწავლებლებად ნიჭიერი
კადრების მოსვლას.**

ნებისმიერი სისტემის ბოროტად გამოყენე-
ბა ყოველთვის შეიძლება.

მაგალითად, უნივერსიტეტებში არის
ხარისხის დაცემის რისკი. თუ შენ საწყისი
კონტინგენტი არასწორად აირჩიე, ხა-
რისხს ქვემოთ დასწევ. ყველაზე ფაქიზი
მომენტი ეგ არის. ხარისხის თვითკონ-
ტროლის დამცავი მექანიზმია Board of
Trustees.

**ამის მსგავსი ორგანოები სკოლებშიც
იყო – სამეურვეო საბჭოები. ასეთი ფორმით
უნდა შენარჩუნდეს ზოგადი განათლების
სისტემაშიც?**

სკოლებსაც აქვთ ხოლმე მსგავსი მაგა-
ლითები. სახელები შეგვიძლია სხვადასხვა

დავარქვათ. მაგრამ ეს ნამდვილად დამ-
ცავი მექანიზმი და ურთიერთკონტროლის
სისტემაა.

**განათლების მინისტრობის კანდიდატს
თუ ელაპარაკეთ და რას ფიქრობთ?**

მინისტრობის კანდიდატს ვესაუბრე,
ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გაგვაცნო
ერთმანეთი. ძალიან სასიამოვნო შთა-
ბეჭდილება დატოვა. მგონი, ძირითადად
ერთნაირ ტალღაზე ვართ, რამდენადაც
დრომ საშუალება მოგვცა, გამერკვია.
თუმცა, ჩვენი კომისიის მთელი იდეაც ეგ
არის, განსხვავებული აზრები იქნება და
საბოლოოდ სისტემას დაეხვეწთ.

**განათლების სამინისტროს სტრატე-
გიულ გადაწყვეტილებებში შეგძლება
ჩაერიოთ?**

ჩვენ შეგვიძლია ჩვენი მოსაზრება ვუ-
თხრათ, მაგრამ დემოკრატიის იდეა ისაა,
რომ ძალაუფლების სფეროს გაყოფა
ხდება. თუ გინდათ, ისე მოგვიპირეთ,
რომ ჩვენ ვართ ძალაუფლების ერთ-ერთი
შტო, რომელსაც აბარია დამოუკიდებე-
ლი მრჩევლის როლი. აღმასრულებელი
ძალაუფლება ჩვენ არ გვაქვს.

**კომისიის ერთ-ერთი წევრი, დავით
ზურაბიშვილი კონკრეტულ პოლიტიკურ
ძალასთან ასოცირდება. ეს კომისიის პო-
ლიტიკურ საფრთხეს ხომ არ შექმნის?**


ეს არ არის პრობლემა, ჩვენ ხომ არ
ვართ აღმასრულებელი შტო. ასევე, რას
ნიშნავს არაპოლიტიკური? საქართვე-
ლო დღეს ისეთ სიტუაციაშია, გინდა არ
გინდა, ასეთი ტიპის კომისია პოლი-
ტიკურ როლს თამაშობს. დემოკრატია
პოლიტიკაა, აბა, რა არის.

**კონკრეტულ პარტიასთან ასოცირებაც
არ იქნება პრობლემა?**

პარტია სხვა რამეა. რა თქმა უნდა,
არანაირ ერთ კონკრეტულ პარტიასთან
კავშირი არ გვაქვს. ნებისმიერი პარტიის
წარმომადგენელი, რომელიც იზიარებს
დემოკრატიულ ღირებულებებს და აქვს
კომპეტენცია ან ტექნიკური შესაძლე-
ბლობები, შეიძლება ჩვენთან იყოს და
დაგვეხმაროს. ამაში პრობლემას ვერ
ვხედავ. 

ოპერატიულად განახლებადი ახალი ამბები,
სიუჟეტები, გადაცემები და ანონსები.

[tv9.ge/facebook](https://www.facebook.com/tv9.ge)



ესადაე დაინახო გეტი

აქვე შეგიძლია უყურო პირდაპირ ეთერს, დაათვალიერო ფოტო და ვიდეო არქივი და გაეცნო ჩვენს ორგანიზაციაში არსებულ ვაკანსიებს.

სკოლა

სახატებიანი უნახიობობა

ქართულმა სკოლამ 2003 წლის შემდეგ საკმაოდ რთული, მაგრამ საინტერესო გზა გაიარა. ჩვენ ორი მოდერნიზაციის მონმენი გავხდით, რომელთაც შეიძლება პირობითად „ლომაიას“ და „შაშკინის“ მოდერნიზაცია ეწოდოს.

დიმიტრი მეჭურჭლიშვილი, 116-ე საჯარო სკოლის დირექტორი



ფოტო გარანა მორიავიშვილი

პირველი მოდერნიზაცია მიმართული იყო სკოლების დეცენტრალიზაციისაკენ და ემთხვეოდა საზოგადოების ისტორიული განვითარების დიალექტიკას.

მეორე მოდერნიზაცია პირველი მოდერნიზაციის აბსოლუტური ანტაგონი გახლდათ. ის ძირშივე მცდარი და ისტორიული პროცესების სანინაღმდეგო მოვლენა იყო. მეორე მოდერნიზაციას პირობითად შეიძლება პოლიტიკური და ისტორიული სიბეცე ეწოდოს. საბოლოოდ, მივიღეთ ის, რაც გვაქვს. ამ მდგომარეობას „სტრატეგიული უწესრიგობა“ ჰქვია.

პირველი მოდერნიზაციის ისტორიული შედეგები

I. ეროვნული გამოცდების შემოღება, რომელმაც დაანგრია უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის კორუფციული სისტემა, გაზარდა ცოდნაზე მოთხოვნილება, ამაღლ-

და სკოლის როლი და საჭიროება, რომელიც მანამდე მეორეხარისხოვანი ინსტიტუციის მდგომარეობაში იმყოფებოდა. გაიზარდა მოთხოვნა საგანმანათლებლო ბაზარზე, რეპეტიტორების მიმართულებითაც, რამაც კვალიფიციურ პედაგოგებს დასაქმების და დამატებითი შემოსავლის მიღების მეტი შესაძლებლობა გაუწინა. უამრავი მათგანი სამშობლოში დარჩა და გადაიფიქრა უცხოეთში საშოვარზე გადახვეწა. სოციალური თვალსაზრისით, მრავალი ოჯახი გადაურჩა დაშლას. მრავალი მოსწავლე ასცდა ქუჩაში უღედამამოდ გაზრდას.

II. საგანმანათლებლო სისტემაში „პატრონაჟის“ გაუქმება – სასკოლო საზოგადოების მიერ საჯარო სკოლის დირექტორების არჩევით სისტემაზე გადასვლა. რაც რეალურ სასწავლო პროცესში ნიშნავდა სკოლაზე მზრუნველი მენეჯერების გაჩენას, მათ მიერ სასკოლო საზოგადოების მოთხო-

ვნილებების შესწავლა-გათვალისწინებას, საგანმანათლებლო ბაზრის შეკვეთის შესრულებას და ა.შ. ანუ ეს გახლდათ აქტი, რომელსაც უნდა შეემზადებინა ნიადაგი საზოგადოების დემოკრატიზაციის დონის ასამაღლებლად და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, მეორე მხრივ – როდესაც ქვეყნის მოქალაქე საკუთარი უნარებისა და ცოდნის მეშვეობით სასურველ მიზანს ჯანსაღი კონკურენციის გზით აღწევს, ეს ღია საზოგადოების შექმნის წინაპირობაა. არჩევითი დირექტორების ინსტიტუტის შემოღება ნიშნავდა დეცენტრალიზაციის დაწყებას, სკოლების ავტონომიას, თავისუფალი ბაზრის აღიარებას, კორუფციული და პროტექციული დანიშნებითი საბჭოთა სისტემის გაუქმებას. ყოველივე ეს მინისტრის პრინციპულობისა და კეთილსინდისიერების გამო მოხერხდა. მან „ფეხი არ ჩააყოფინა“ დირექტორების კონკურსში პროტექციის მოსურნე პარტიულ თუ ბიუროკრატიულ ინტერესთა ჯგუფებს. სწორედ ამ გადაგვარებული ბიუროკრატიის გაღიზიანების შედეგი იყო ის ნეგატიური პიარი, რაც კახა ლომიას და მის გუნდს დაატყდა თავს. სამწუხაროდ, ჯანსაღი ქართული საზოგადოება არ აღმოჩნდა მზად, დაეცვა პროგრესისთვის მებრძოლი გუნდი. საბოლოოდ, მინისტრი გადაგვარებულ ბიუროკრატის ემსხვერპლა. მისი წასვლა მოდერნიზაციის პირველი ეტაპის დასამარებას ნიშნავდა!

III. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მიღება, რომელიც იმ დროის რეალობებსა და შესაძლებლობებს ასახავდა.

IV. „ეროვნული სასწავლო გეგმის შემოღება“. გეგმის შემოღებით, სასწავლო პროცესში არსებული ქაოსი და არასტაბილურობა შეცვალა გეგმიურმა მუშაობამ და სტაბილურობამ. „ეროვნული სასწავლო გეგმის“

„ხარვეზები“ და შეუსაბამოები ჩვენს მენტალობასთან ვერანაირად ვერ დაჩრდილავს მის ისტორიულ მნიშვნელობას. ეს ყველაფერი გასწორებადი იყო.

V. განათლების ეროვნული მიზნები, – სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელმაც სიცხადე შეიტანა სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკაში.

VI. ვაუჩერული დაფინანსების შემოღება, – რომელმაც უზრუნველყო საგანმანათლებლო ბაზრის ფორმირება.

VII. სკოლების ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

მორა მოღერინზაციის ისტორიული შედეგები

/პოლიტიური/

▶ საატესტატო გამოცდების შემოღება, რომელმაც დააღაგა ვითარება სკოლაში, გაზარდა მოსწავლეთა სწრაფვა ცოდნისაკენ.

▶ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების აღდგენა.

▶ პრეტესტების /გამოფრული სახით/ ნაწილობრივი შემოღება, რომელიც უდიდესი დახმარება სკოლებისთვის.

▶ ბრენდირების შემოღების მცდელობა.

▶ დაფინანსების ფორმულის შექმნის მცდელობა.

/ნეგატიური/

▶ უმკაცრესი ცენტრალიზაცია /ტოტალიტარიზმის ნიშნებით/.

▶ სკოლების მანდატურიზაცია.

▶ საკანონმდებლო ინტერვენცია, /კანონის გაუარესების მიმართულებით/.

▶ მორალურ-სამართლებრივი კრიზისის შექმნა.

▶ სამინისტროპოლიის შექმნის მცდელობა.

▶ ძალადობა სასკოლო საზოგადოებაზე.

▶ ზღვარგადასული პიარნიაღვარი.

▶ სამოქალაქო სტრუქტურის სამხედრო ყაიდაზე გადაყვანის მცდელობები.

ნინა ორი მოღერინზაციის გათვალისწინებით, დღეს ქართული სკოლის ნინსელისთვის აუცილებელია მინიმუმ შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

I. მრავალვარიანტულობის აღიარება – განსხვავებული მიდგომები

ეს გულისხმობს იმას, რომ ჩვენი ქვეყნის სკოლები ერთმანეთისგან განსხვავდებიან

მნიშვნელოვნად და მათ მიმართ სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა განსხვავებული მიდგომები, ასევე, განსხვავებული საკანონმდებლო ბაზა. მათი განვითარების ხელშესაწყობად საჭიროა ისინი დავაჯგუფოთ პრობლემების, შესაძლებლობების და სხვა განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით, რაც საშუალებას მოგვცემს სწრაფად და ზუსტად აღმოვუჩინოთ მათ დახმარება:

ა) ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მიხედვით; კარგ მდგომარეობაში მყოფნი, საშუალო მდგომარეობაში მყოფნი, ცუდ მდგომარეობაში მყოფნი და ა.შ. აქ შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ქვეკატეგორია; შენობის მდგომარეობა, ინვენტარის მდგომარეობა კომუნიკაციების მდგომარეობა და სხვა.

ბ) მენეჯმენტისა და პერსონალის ხარისხის მიხედვით: აქაც შესაძლებელია სხვადასხვა ქვეკატეგორიების დალაგება – მენეჯმენტის სიდიერე, პერსონალის კვალიფიკაციის დონე, თვითმმართველი და არათვითმმართველი სკოლები, სამუშაო ატმოსფერო, კონკურენტუნარიანობის ინდექსი, დატვირთულობის /მოთხოვნადობის ინდექსი/ საატესტატო გამოცდების შედეგების მიხედვით, უმაღლესში ჩარიცხულთა მიხედვით, ოლიმპიადაში გამარჯვებულთა მიხედვით და სხვ.

გ) მაღალმთიანობის მიხედვით. სკოლები, რომლებიც მდებარეობს ასეთ ზონებში, მომსახურების სიძვირის გამო საჭიროებს რეფინანსირებას, და გარკვეული სახელფასო კოეფიციენტების შემოღებას თანამშრომლებისთვის. რაც, ჩვენი აზრით, უნდა გააკეთოს ადგილობრივმა თვითმმართველობამ: მან უნდა გადასცეს სკოლას დამატებითი ე.წ. „განვითარების ვაუჩერი“.

დ) მცირეკონტიგენტისანობა – პრობლემა, რომელიც გამოწვეულია ძირითადად მოსახლეობის დიდი მიგრაციით, შობადობის დაცემით და მძიმე სოციალური ფონით. აქაც შესაძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მათი „განვითარების ვაუჩერის“ ოდენობა, ცენტრალური დაფინანსების პარალელურად.

ე) საბაზრო და არასაბაზრო ზონის სკოლები. ვაუჩერიზაციის პროცესმა დააჩქარა სასკოლო საგანმანათლებლო ბაზრის შექმნა. ეს ბაზარი, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება ვერშემჩნე-

ვის პოლიტიკა, მინც არსებობს და ირიბად თუ პირდაპირ გავლენას ახდენს სისტემაზე. სახელმწიფო ვალდებული გახდება ადრე თუ გვიან აღიაროს იგი და იმოქმედოს თავისუფალი ბაზრის პრინციპების შესაბამისად. ასეთი ბაზარი რეალობაა დედაქალაქში, დიდ ქალაქებში, რეგიონულ ცენტრებში და სხვაგან. საბაზრო პირობებში მომუშავე სკოლის მენეჯმენტი საჭიროებს მოქმედების მეტ თავისუფლებას ანუ ნაკლებ მეურვეობას, ნაკლებ ეტატიზმს სახელმწიფოს მხრიდან. /მაგ., სამტატო განრიგის დამოუკიდებლად შექმნა და სხვა მრავალი/.

არის მეორე – არასაბაზრო ზონა, სადაც ხდება ეკონომისტების ენაზე ე.წ. „საბაზრო ჩავარდნა“: აქ ჯერ ალტერნატიული არჩევანის შესაძლებლობა მომხმარებელს არ გააჩნია. თუმცა, საბაზრო ზონები მინც ახდენენ ირიბ გავლენას არასაბაზრო ზონებზე. არასაბაზრო ზონების სკოლების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან შესაძლებელია მიზნშენილი იყოს უფრო მეტი მეურვეობის დაშვება /მაგ., სამტატო განრიგის საკითხი და ასე შემდეგ/.

II. საკანონმდებლო ბაზის ლიბერალიზაცია /დერეგულაცია/

ქართული საზოგადოება საგანმანათლებლო სისტემასთან მიმართებაში უშვებს ორ მთავარ შეცდომას. 1. რატომღაც ითვლება, რომ სასკოლო განათლება არ არის საბაზრო ეკონომიკის ნაწილი და ის საბაზრო ეკონომიკის კანონებით არ უნდა იმართებოდეს. 2. ითვლება, რომ საგანმანათლებლო სისტემაში ბაზარი არ მოქმედებს. ანუ სასკოლო-საგანმანათლებლო ბაზარი არ არსებობს. 3. სამოქალაქო სამინისტროს ძალოვანი სამინისტროს ყაიდაზე მონყობის უაზრო მცდელობა /ნეობოლშევიკური ტენდენციები/. ეს სამი შეცდომა განპირობებულია კომუნისტური წარსულის ისტორიული მექსიერებით და ეკონომიკური განათლების დაბალი დონით, დღევანდელი რეალობების იგნორირებით.

დღეის მდგომარეობით „დაჩეხილი“ „შინაარსწარმთეული“ და გადაგვარებული ბიუროკრატის თარგზე მორგებული „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი აცდენილია განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს, რომლისთვისაც ეტყობა, „ვერ მოიცალეს“. ის საჭიროებს

აღდგენა-გაკეთილშობილებას ოცდამეერთე საუკუნის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის რეალობების შესაბამისად. ასევე დასახვედრია და ცვლილებებს საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმა. საშინელი უნესრიგობაა კანონქვემდებარე აქტებში. რომლებიც ზოგჯერ აბსურდამდე მიდის, ზოგჯერ კი ურთიერთგამომრიცხავ რეგულაციებს ქადაგებს. მოგიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს. ჩვენი კანონმდებლობით სერტიფიცირებული მასწავლებელი, მით უფრო 1000 ლარიანი ან დამრიგებელი, არ შეიძლება ავად გახდეს! თუ გახდა, მას კანონი დანამატს არ აუნაზღაურებს!

ჩვენი კანონმდებლობა არ ცნობს ლექტორის პედაგოგიურ სტატუსს თუ მან, მაგ., მასწავლებელი აღზარდა და შემდგომ თვითონ გადაწყვიტა სკოლაში მუშაობა, ის ამ სტატუსის დანამატს ვერ მიიღებს! ექნება რომელიმე ლექტორს ასეთ ვითარებაში სკოლაში დამატებით მუშაობის მოტივაცია?!

დრაკონულია მასწავლებლის ეთიკის კოდექსიც, მასწავლებელს ეკრძალება მოაზრდოს მოსწავლე და აილოს თავის შრომაში გასამრჯელო, იმავე მასწავლებელს შეუძლია აილოს კერძო სკოლაში თანხა, რომელიც მისი მოსწავლის მშობელმა გადაიხდა! სად არის აქ ლოგიკა?!

გაეროს ბავშვთა უფლებების დეკლარაცია წინააღმდეგობაშია პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვასთან არსებულ საკანონმდებლო ბაზასთან, რაც ზოგიერთ მოსწავლეს განათლების მიღების უფლებას ართმევს.

მთლიანად შესაცვლელია მასწავლებლის ანაზღაურების სისტემა /კვირული დატვირთვის საათობრივ დატვირთვაზე გადასვლა/: საბაზრო ფასსა და სახელმწიფო ფასს შორის დიდი სხვაობა დერეგულირების აუცილებლობაზე მიუთითებს. მასწავლებლის შრომა უნდა დაუკავშირდეს საბოლოო შედეგებს. შემოღებული უნდა იქნეს ბონუს სისტემები. დღევანდელი ანაზღაურების სისტემა ახალისებს ე.წ. „ხალტურის“ მოყვარულებს. სკოლის ყველაზე დიდი ტრაგედია მოტივაციის სისტემის არარსებობაა.

ზოგადად, პრაგმატულობის დეფიციტი. ეს ქართული საგანმანათლებლო კანონის მთავარი სენია. საკითხები, რომლებიც სრულიად მშვიდად და წყნარად გადაწყვე-

ბა სკოლის დონეზე, სამინისტროს მიერ წყდება! საინტერესოა 3000 სკოლის პრობლემას როგორ გადაწყვეტს სკოლაზე უკეთ სამინისტროს ათიოდე ჩინოვნიკი!

III. სკოლების დეცენტრალიზაცია, რეალური ავტონომიის მინიჭება.

სკოლების დეცენტრალიზაციის გარეშე, წარმოუდგენელია თავისუფალი ბაზრის არსებობა. კონკურენციის არდაშვება, მის წინააღმდეგ ბრძოლა ცივილიზაციის განვითარების ისტორიული პროცესის წინააღმდეგ სვლაა, რაც გარდაუვალი კრახით დამთავრდება.

ზოგადი განათლების კანონში არსებული „მორცხვი“ ჩანაწერი „სკოლები სარგებლობენ ფინანსური და ადმინისტრაციული ავტონომიით“ უნდა შეივსოს რეალური საქმით. კერძოდ:

საკუთარი წესდების შექმნა; სკოლებმა თვითონ უნდა შეადგინონ თავისი წესდება არსებული კანონის შესაბამისად, რომელიც დღემდე მკვდარ ნორმად აქციეს დეცენტრალიზაციის მოძულებმა! სადაც თვითონ უნდა განსაზღვროს სკოლის რაობა, სკოლის სტრუქტურა და უამრავი სხვა რამ. მაგალითად, როგორ ირჩევენ საკუთარ დირექტორს. ვინაიდან სკოლის დირექტორი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა სასკოლო საზოგადოებაში, მისი საკითხი ინვესტ ბევრ ვნებათაღელვას და ინტერესს. ამიტომ ორიოდ სიტყვით უნდა განვაცხადოთ:

სკოლების მენეჯერიალიზაცია წარმატების ერთადერთი უალტერნატივო გზაა. დასავლეთის სამყაროს სიდილიერე, სიუხვე და სიკეთე განაპირობა უპირველესად მენეჯერთა თავდაუზოგავმა შრომამ. სამსუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში კვლავ გაბატონებულია პრიმიტიული წარმოდგენები მენეჯერების, მათ შორის, სკოლის დირექტორის როლისა და შრომის შესახებ. ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით „საბაზრო ზონებში“ გაკოტრებული და გაყიდული სკოლები, ცარიელი სასკოლო კორპუსები ადასტურებს, რომ კონკურენციის „მოლტი“ ბევრ სკოლას ხვდება, ბევრ სკოლას უმცირებს სამუშაო ადგილს და უშუშუვარს ტოვებს პედაგოგებს! ამიტომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში უაღრესად აქტუალურია დირექტორი-მენეჯერის როლი. აქვე უნდა

ითქვას ერთიც: სასკოლო განათლების პროცესი ოთხი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმემავსებელი პერსონალური ელემენტისგან შედგება. მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, ადმინისტრაცია.

ვინ არის ყველაზე მეტად დაინტერესებული იმით, რომ სკოლაში იყოს უსაფრთხო და მოტივირებული სასწავლო ატმოსფერო? უპირველეს ყოვლისა – მშობელი. ე.ი. მშობლის ხმა დირექტორის არჩევნებში ძალიან მნიშვნელოვანია! ვინ არის დაინტერესებული, რომ არ დაკარგოს სამუშაო ადგილი და ჰქონდეს კარგი სამუშაო გარემო სკოლაში? – მასწავლებელი. ე.ი. მასწავლებლის ხმაც აუცილებელია. ვინ არის დაინტერესებული, რომ სკოლაში იყოს ისეთი გარემო, რომ იქ წასვლა მიუხაროდეს? – მოსწავლე, მიუხედავად ასაკისა!

ამდენად, უფროს მოსწავლეთა ხმის გამოთიშვაც, მაშინ, როდესაც მათ აქვთ ვებერთელა ინფორმაცია და ისინი არიან არაერთი საზოგადოების აქტივობის შემოქმედნი და მონაწილენი, არ შეიძლება. მაშ, ვინ უნდა აირჩიოს საკუთარი დირექტორი? სასკოლო საზოგადოების სამივე მონაწილემ!! ან პირდაპირი არჩევნების გზით ან წარმომადგენლების მეშვეობით. ეს საკითხი უნდა განსაზღვროს სკოლის წესდებამ. ჩვენი აზრით, აქ შეიძლება დაფუძვთ ორი ვარიანტი, როდესაც დირექტორი არჩეულია და დგება ვადის გაგრძელების საკითხი, ის ვალდებულია გავიდეს პირდაპირ სასკოლო რეფერენდუმზე. მხარდაჭერის შემთხვევაში, ის მოიპოვებს უფრო მაღალ ლეგიტიმაციას და გააგრძელებს მუშაობას, „არას“ შემთხვევაში ინიშნება ახალი არჩევნები სამეურვეო საბჭოს მიერ. კანდიდატი, რომელიც მიდის დირექტორობის არჩევნებზე, უნდა იყოს სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოცდებით სერტიფიცირებული. სხვა კანდიდატის დაშვება დაუშვებელია და არჩევნების ჩაშლაც დაუშვებელია.

რა მოხდება, თუ დირექტორი აირჩია მხოლოდ პედსაბჭომ?! ასეთ შემთხვევაში მივიღებთ მუდმივ შიდა დაპირისპირებას, პედსაბჭოს ფრაქციებად დაშლას და სასწავლო პროცესის უკანა პლანზე გადაწევას. დირექტორი იქცევა პედაგოგთა ხელში მძევლად, შეიზღუდება მენეჯმენტის თავისუფლება, რაც საბაზრო კონკურენციის პირობებში იქნება სრულიად დამლუპველი.

„პედაგოგთა დიქტატს“ მოჰყვება მშობელთა მასობრივი უკმაყოფილება და საჯარო სკოლების დაცარიელება /ხელოვნური გაკოტრება/.

რა მოხდება, თუ მას აირჩევს მხოლოდ მშობელთა სათათბირო, ასეთ შემთხვევაში იქნება მშობელთა „გადაჭარბებული“ დიქტატი სკოლაზე და პედაგოგთა უკმაყოფილება და სხვა ნეგატივი. ოქროს შუაღმადმამთავროს სამეურვეო საბჭოა, რომელიც უნდა აღდგეს, დაიხვეწოს და განვითარდეს. ის გადაგვარებულმა, ავტოკრატმა ჩინოვნიკებმა მიზანმიმართულად დააკნინეს, სახელი შეუბღალეს, რადგან განუსაზღვრელი ძალაუფლების მიღების გზაზე მეტოქეს და წინააღმდეგობას ხედავდნენ. წარმოიდგინეთ პარლამენტი, რომელიც არ ამტკიცებს ბიუჯეტს. სკოლებს აძლევდნენ მხოლოდ იმ თანხას, რაც დაცული მუხლებისთვის იყო განსაზღვრული. არავითარი განვითარების ვაუჩერი! რაზე ემსჯელა სამეურვეო საბჭოს?! მიუხედავად ამისა, სამეურვეო საბჭოების არსებობამ ბევრი სიკეთე მოიტანა, მაგ., მნიშვნელოვნად შეამცირა საჩივრები და ე.ი. უკმაყოფილო მოქალაქეთა რაოდენობა /მაშინის დროს ცენტრალიზაციის თანმდევი, პირიქითა პროცესი იყო/.

არჩევითი თუ დანიშნული დირექტორების ინსტიტუტი? ეს საკითხი პერიოდულად წამოიჭრება ხოლმე საგანმანათლებლო სისტემით დაინტერესებულ პირებში.

დანიშნის მომხრეები ამას ორი ძირითადი არგუმენტით ხსნიან. შინაარსობრივი არგუმენტი: დირექტორი არ უნდა იყოს ანგარიშვალდებული სამართავი ობიექტის მიმართ, რათა მეტი მოქმედების თავისუფლება და ქმედითობა ჰქონდეს. იურიდიული არგუმენტი კი ასეთია: დამფუძნებელმა /ე.ი. სამინისტრომ/ უნდა დანიშნოს ის. ვინც მას უნდა, რადგან ქონება მისია.

პირველ არგუმენტს რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ არის ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ დანიშნულობას იმდენი ნეგატიური მომენტი ახლავს /პროტექციონიზმი, კორუფცია/, რომ ამ პოზიტივს ასჯერ ფარავს. რაც შეეხება არჩევითობას, საზოგადოების მონიჭებულობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ისეთი პროცედურები იქნას შემუშავებული, რომელიც შეამცირებს ამრჩევისა და ასარჩევის „სიახლოვეს“ და ამ ნეგატივს გაანეიტრალებს. /მაგ., პირდაპირი

არჩევნები, ყველა დაინტერესებული შტოს მონაწილეობა/ ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ძალაუფლების ამრჩევი „დავაშროთ“ ძალაუფლებას, რათა დირექტორი ქმედითი და თავისუფალი იყოს გადაწყვეტილების მიღების დროს!

მეორე არგუმენტის მომხრეებს ვუსვამთ კითხვას: მოცემულ ადგილას რომ არ ყოფილიყო სასკოლო საზოგადოება, სახელმწიფო დააფუძნებდა სკოლას? არა ე.ი. სკოლის რეალური დამფუძნებელი არის სასკოლო საზოგადოება, რომელმაც უნდა აირჩიოს კიდეც დირექტორი.

■ ოქროს შუაღმადმამთავრო საბჭოა, რომელიც უნდა აღდგეს, დაიხვეწოს და განვითარდეს. ის გადაგვარებულმა, ავტოკრატმა ჩინოვნიკებმა მიზანმიმართულად დააკნინეს, სახელი შეუბღალეს, რადგან განუსაზღვრელი ძალაუფლების მიღების გზაზე მეტოქეს და წინააღმდეგობას ხედავდნენ.

სკოლების დეპოლიტიზაცია – სამეურვეო საბჭოდან უნდა გამოვიდნენ ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც იქ მივლინებული იქნენ მასზე ზემოქმედების მოსახდენად. სკოლის პერსონალი უნდა შეარჩიოს სკოლამ. მუდამ უნდა გვახსოვდეს, /თუ გვინდა კარგი განათლება/, რომ სკოლა არის საბაზრო სუბიექტი და კვალიფიციური კადრები წყვეტენ ყველაფერს.

დემოკრატიის განვითარება – საჭიროა სასკოლო ცხოვრების დემოკრატიულ რეალობაზე გადაყვანა. სასკოლო რეფერენდუმების შემოღება და მისი აქტიური გამოყენება. მაგალითად: მანდატურის ყოფნა-არყოფნის საკითხი მოცემულ სკოლაში. ზოგს შეიძლება სჭირდებოდეს, ზოგან სრულიად ზედმეტია. ზოგი საკუთარ კონტროლის სამსახურს ამჯობინებს. სასკოლო საზოგადოებამ რეფერენდუმით შეიძლება გადაწყვიტოს.

საკუთარი სტატუსი /გაძლიერებული, ჩვეულებრივი, სპეციალიზირებული/, ასევე რეფერენდუმზე შეიძლება დადგეს სკოლის წესდების მხარდაჭერის საკითხი, სექტორიანობის საკითხი, დირექტორის ნდობის მანდატი და სხვა. სასკოლო რეფერენდუმების შემოღება დემოკრატიული ცხოვრების მაღალ ხარისხს ნიშნავს და სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინაპირობაა.

სკოლის ლიკვიდაციის კანონის შემოღება – საგანმანათლებლო ბაზარზე ფუნქციონირების დროს თითოეულმა სკოლამ უნდა იცოდეს, რა შემთხვევაში მოელის მას ლიკვიდაცია /მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმები, ბაზარზე თამაშის წესები/, კრიზისული მართვა – სამინისტროს მიერ მენეჯმენტის განხორციელების მკაცრად განსაზღვრული შემთხვევების ჩამონათვალი.

მშობელზე ზემოქმედების ბერკეტების შემოღება – საკანონმდებლო ბაზის შექმნა, შინაგანანესის სისტემატიური და უხეში დარღვევის შემთხვევაში მშობლის პასუხისმგებლობის მიმართულებით /გაფრთხილება, ჯარიმა, ადმინისტრაციული იძულება/, ეს გაზრდის წესრიგს ყველა სკოლაში და გაუიოლებს სკოლებს წარმატებულ ფუნქციონირებას.

მოტივაცია – სკოლების დაფინანსების ფორმულაში აუცილებელია მოტივაციის კომპონენტის შემოყვანა. სკოლები, რომლებიც კარგად მუშაობენ, უნდა განსხვავდებოდნენ იმათგან, ვინც ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნილებებს.

დაფინანსების დღევანდელი დონე არ იძლევა ამის საშუალებას. საკანონმდებლო და ფინანსური დისკრიმინაციის აღმოფხვრა კერძო და საჯარო სკოლებს შორის გადაუდებელი ამოცანაა, რომელიც უზრუნველყოფს ბაზარზე თანასწორუფლებიანი სუბიექტების გაჩენას.

დაფინანსების სისტემის შეცვლა. – დაფინანსებაში მოტივაციის კომპონენტის გაჩენა. მაგ., ერთი რაიონის დონეზე ყველაზე საუკეთესო შედეგების /სხვადასხვა კრიტერიუმებით/ მქონე სკოლისათვის მინიმუმ ორჯერ დაფინანსების გაზრდა /მასწავლებლების, ადმინისტრაციის, ორჯერ ხელფასების ზრდა/, გამოიწვევს არნახულ ნახტომს უკეთესობისაკენ სკოლების მუშაობაში! 

ახალი მთავრობის ახალი ტახიფები

საქართველოს ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნების“, ახლა კი, უკვე საქართველოს მთავრობის, ეკონომიკურ გუნდში აცხადებენ, რომ ტარიფებთან დაკავშირებით ზუსტი გაანგარიშება უკვე არსებობს. მთავრობის დამტკიცების შემდეგ ამ საკითხის განხილვა ერთ-ერთი პირველი იქნება და, შესაძლოა, ზამთარს ქვეყანა ელექტროენერჯის 10-თეთრიანი და გაზის 43-თეთრიანი ახალი ტარიფებით შეხვდეს.

თათია ხალიანი



„უმოკლეს ვადებში განვახორციელებთ ტარიფების ხელახალ და სამართლიან გადაანგარიშებას, ტარიფების მნიშვნელოვანი შემცირების მიმართულებით“, ეს დაპირება კოალიცია „ქართული ოცნების“ ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პროგრამაში ჩაინერა.

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, კოალიციის წევრების, თუ მინისტრობის კანდიდატების მხრიდან ტარიფების შემცირებაზე არაერთი განცხადება გაკეთდა. თუმცა კონკრეტულ ციფრებსა და ვადებზე არავინ საუბრობდა.

„რეზერვი არსებობს იმისთვის, რომ ტარიფებმა სწრაფად დაიკლოს. ამისთვის მართვის ოპტიმიზაცია და ეკო-

ნომიკური რეფორმები მოხდება. უნდა მოვახერხოთ, რომ ჰესების მეპატრონე ქვეყანაში ელექტროენერჯია უფრო იაფი იყოს“, – განაცხადა 24 ოქტომბერს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა.

კომუნალურ ტარიფებთან დაკავშირებით გაჩენილ კითხვებს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიაც გამოეხმაურა.

კომისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნერია, რომ დღეისათვის მოქმედი ტარიფები კანონმდებლობის შესაბამისადაა დადგენილი და მისი გადახედა შესაძლებელია, თუკი შესაბამისი კანონმდებლობით გათვალსწინებული

საფუძვლები იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ ენერჯეტიკის და წყალმომარაგების სექტორებში დადგენილია ზღვრული სამომხმარებლო ტარიფები, კომისია მზად არის ექსპერტებთან და დაინტერესებულ პირებთან ერთად დეტალურად განიხილოს და იმსჯელოს როგორც არსებულ სატარიფო მეთოდოლოგიაზე, ასევე, ზღვრული სამომხმარებლო ტარიფების გადახედვაზე.

როგორ ითვლება ელექტროენერჯის ტარიფი?

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ფონდის ექსპერტის, შოთა მურღულიას თქმით, ტარიფებს რამდენიმე კომპონენტისგან ადგენენ. მაგალითად, ელექტროენერჯის შეთხვევაში ესაა გენერაცია, ანუ წარმოება, გადაცემა და განაწილება. თითოეულ ამ კომპონენტს თავისი ფასი აქვს განსაზღვრული, რომლის შეკრების შედეგად ვიღებთ იმ ტარიფს, რასაც მომხმარებელი ელექტროენერჯიაზე იხდის.

მირღულია აღნიშნავს, რომ ამ კომპონენტების დაშლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც დადგინდება სად რა თანხები მიდის, შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ სხვაობა გასაყიდ და რეალურ ფასს შორის დიდია. თუ ასე მოხდა, შესაძლებელია, რომ ტარიფმა დაინიოს.

„ზუსტი დაანგარიშების შემდეგ, დიდი შანსია, ვნახოთ, რომ თითოეულ ამ კომპონენტზე თანხა ხელოვნურად არის წამატებული, რამაც ტარიფის გაზრდა გამოიწვია“, – ამბობს მურღულია.

დღეს არსებული მდგომარეობით, საქართველოში ელექტროენერჯის ტარიფი საფუძვრებადაა დაყოფილი. ის აბონენტი რომელიც თვეში 100 კვტ/სთ ელექტროენერჯის მოიხმარს, 1 კვტ/სთ-ში 3,5 თეთრს იხდის. თუ აბონენტი თვეში 101-დან 300 კვტ/სთ-მდე ელექტროენერჯის მოიხმარს, მაშინ 16 თეთრის გადახდა უნევს, ხოლო მესამე კატეგორიის აბონენტს, რომელიც თვეში 301 კვტ/სთ-ზე მეტს ხარჯავს, 1 კვტ ელექტროენერჯია 17,7 თეთრი უჯდება.

როგორც მურლულია ამბობს, არსებულ ტარიფში ელექტროენერჯის გამოთქმვა დაახლოებით 0.5 თეთრია, დისკეტჩერიზაცია, ანუ აღრიცხვა – 0,019 თეთრი, ხოლო განაწილებაზე – 8.08 თეთრი მოდის. ამ კომპონენტების შეკრების შედეგად ვლუბულობთ ციფრს 13,41. აქედანაც ყველაზე მეტი განაწილებაზე იხარჯება. მისივე თქმით, შეიძლება მოხდეს სწორედ ამ კომპონენტების რევიზირება, ანუ გადაიხედოს, თუ რამდენად სამართლიანად არის გამანაწილებელი კომპანიების მომსახურებაზე ფასები განერილი.

„ქართული ოცნების“ ეკონომიკურ გუნდში დარწმუნებულები არიან, რომ ხარჯების რაციონალიზაციის, მეთოდის გადახედვის და ყველა არსებული დოკუმენტაციის ხელახალი განხილვის შემდეგ ელექტროენერჯის ტარიფის განაწილების არსებული სისტემა შეიცვლება, ანუ მომხმარებლებისთვის საერთო ტარიფი დადგინდება. ელექტროენერჯიაზე მიმული დასუფთავების გადასახადი მოიხსნება. ელექტროენერჯის ფასი კი, 10 თეთრამდე დაიკლებს.

ფასების „გონივრული“ განაწილება, რის შესახებაც მურლულია საუბრობდა, მარეგულირებელმა კომისიამ უნდა უზრუნველყოს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ტარიფებზე ფასებს კანონმდებლობით და კომპანიების მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე ადგენს. სემეკი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი სპეციალური უფლებამოსილების ორგანოა, რომელიც სახელმწიფო ორგანოებისგან დამოუკი-

დებელია. კომისია 5 წევრისგან შედგება, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს. ერთ-ერთ წევრს კი, პრეზიდენტი კომისიის თავმჯდომარედ 6 წლის ვადით ამტკიცებს.

სემეკის დაფინანსების ძირითად წყაროს ლიცენზიების მქონე კომპანიების მიერ გადახდილი რეგულირების საფასური წარმოადგენს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მარეგულირებელი კომისიის დაფინანსება იმ კომპანიებისგან, რომლის ზედამხედველობასაც იგი ახორციელებს, არც ისე მისაღები პრაქტიკაა.

2012 წლის 5 აპრილის მონაცემებით, ლიცენზიის მქონე კომპანიები, რომლებიც ელექტროენერჯის განაწილებას უზრუნველყოფენ, არიან სს „თელასი“ – 1998 წლიდან, სს „კახეთის ენერჯის-ტრიბუცია“ – 2003 წლიდან და სს „ენერგო პრო-ჯორჯია“ – 2007 წლიდან.

მურლულია აღნიშნავს, რომ დაფინანსების 90% სწორედ ისეთ მსხვილ კომპანიებზე მოდის, როგორცაა, მაგალითად, „თელასი“.

„მარეგულირებლის მთავარი დამფინანსებელი მსხვილი კომპანიებია, ამიტომ დიდი შანსია, რომ კომისია მათ წინააღმდეგ გადაწყვეტილების მიღებისას სუბიექტური იყოს. ვფიქრობ, რომ ინსტიტუციურად გადალაგება დასჭირდება მარეგულირებელს. ვერ ვხედავ არსებით განსხვავებას, თუ ამ ორგანოს სახელმწიფოზე დამოკიდებულება ცუდი, ბიზნესზე დამოკიდებულება რატომ შეიძლება იყოს კარგი“.

**გაორგანოებული ტარიფი
ბუნებრივ აირზე**

ბუნებრივი გაზის მოხმარების ტარიფი განისაზღვრება მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიის მიერ მოხმარებული გაზის ღირებულებით, ანუ ის შეიცავს მიწოდების, განაწილების და ტრანსპორტირების ტარიფებს ჯამურად. ბუნებრივი გაზის შესასყიდ ღირებულებას საქართველოს საზღვარზე სწორედ ეს ფასები ემატება.

ამ ეტაპისთვის საქართველოს 1 კბ/მ ბუნებრივი აირი 50,6 თეთრად მიწოდდება. 2006 წლამდე 1 კბ/მ აირი – 26,55 თეთრი იყო, 2007 წელს კი, ის თითქმის გაორმაგ-

და. ექსპერტების თქმით, ამის მთავარი მიზეზი რუსეთის მიერ ბუნებრივ აირზე ფასის გაძვირება გახდა. თუმცა ერთ წელიწადში, ხელისუფლების განცხადებით, გაზს უკვე რუსეთიდან აღარ ვყიდულობდით, საქართველოსათვის ბუნებრივი აირის მოწოდებას მთლიანად აზერბაიჯანული მხარე უზრუნველყოფდა. ამის მიუხედავად, გაზზე ტარიფი იგივე დარჩა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რუსეთიდან სომხეთში ტრანსპორტირებული გაზის 10% ქვეყანას ეკუთვნის, რადგან ეს აირი საქართველოს ტერიტორიას გადის.

ბაქო-თბილისი-ერზერუმის – თურქეთში (სამხრეთ-კავკასიის მილსადენი) განხორციელებული ტრანზიტის 5%-ს კი, საქართველო შეღავათიან ფასში, ანუ 55 დოლარად ყიდულობს. კოალიციის ანალიზით, 2010, 2011 და 2012 წლებში ენერგეტიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ქვეყნისთვის საჭირო გაზის ბალანსში არ ჩანს სამხრეთ-კავკასიური მილსადენით ტრანსპორტირებული გაზის მოცულობიდან, საქართველოსთვის კუთვნილი გაზის მოცულობა. მათი თქმით, ამ 5%-იანი აირის მოხმარების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია არ არსებობს. უცნობია, სად და როგორ იყენებდა ქვეყანა კუთვნილ უფასო და შეღავათიან გაზს, მაშინ როდესაც 2007 წლიდან ბუნებრივ აირზე გაორმაგებული ტარიფი დღესაც მოქმედებს.

როგორც ახალი მთავრობის ეკონომიკურ გუნდში ამბობენ, მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობისთვის მიწოდებული ბუნებრივი აირის გონივრულ საზღვრებში მოქცევა. მათი თქმით, აირზე არსებული ტარიფები არასწორად, გადიდებული ოდენობითაა დამტკიცებული. კერძოდ, გაზის გამანაწილებელი კომპანიების სახელფასო ფონდები მთლიან საქსპლუტაციო ხარჯებში 44%-ია, არადა იგი არ უნდა აღემატებოდეს საყოველთაოდ მიღებულ 20-25%-ს. ახალ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ამ ფონდის პრაქტიკაში მიღებულ ზღვრამდე შემცირება, ასევე, სხვა ხარჯების კორექტირება და გაზის დანაკარგის 5%-ამდე დაყვანა, გაზის ტარიფს 43 თეთრამდე შეამცირებს. 

თავისუფლების მოლოდინში

ციხიდან თავის დასაღწევად რამდენიმე კანონიერი გზა არსებობს: საქმის გადასინჯვა, პირობით ვადამდე გათავისუფლება, შეწყალება, ამნისტია, აქტირება...

ზურაბ ვარდიაშვილი



ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები პატიმრების საქმეების გადახედვაზე ხშირად საუბრობენ. პარლამენტისა და მთავრობის უფლებამოსილება ჯერ დამტკიცებული არ იყო, როდესაც გამარჯვებული კოალიციის დეპუტატობისა და მინისტრობის კანდიდატები ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ.

საზოგადოების ნაწილმა თემა სწრაფად აიტაცა. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ადვოკატები თუ უფლებადამცველები

ინიციატივას მყისიერად გამოეხმაურნენ.

როგორც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა ზაზა ხატიაშვილმა „ლიბერალთან“ ინტერვიუში განაცხადა, სასწრაფოდ მასშტაბური ამნისტიაა გამოსაცხადებელი – „ყველა პატიმარს სასჯელი უნდა გაუნახვერდეს. არანაირი აქცენტი სხვადასხვა მუხლებზე! საქმეების გადახედვის დაწყება მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება“, – მიიჩნევს ადვოკატების პრეზიდენტი.

იურისტ ლია მუხაშაერიას აზრით კი,

„პატიმრების 90% უნდა გათავისუფლდეს“.

„კვალიფიციური იურისტები ისეთ განცხადებებს არ უნდა აკეთებდნენ, რამაც ხვალ შეიძლება დაძაბულობა წარმოშვას – ამბობს იურიდიული დახმარების, პრობაციისა და სასჯელსრულების მინისტრი სოზარ სუბარი – მე ლია მუხაშაერიას ამ განცხადების შესახებ ვესაუბრე და ვუთხარი, რომ მისი იდეა არასერიოზული და განუხორციელებელია. როდესაც პატიმრებს ამგვარ მოლოდინს უქმნი, ამას შეიძლება მღელ-

ვარება მოჰყვეს და ხელისუფლებას ძალის გამოყენება აიძულოს. შემდეგ კი იმ განცხადების ავტორი, რომელმაც მღელვარება და, შესაბამისად, სახელმწიფოს რეაქცია გამოიწვია, გამოვა და ხელისუფლების კრიტიკას მოჰყვეს, თან არ დაზოგავს ისეთ ტერმინებს, როგორცაა პირსისხლიანი და ა.შ. როდეს-

მოკვეთისთვის შეეფარდა, მეორე კი – ნარკოტიკის ტარებისთვის.

„რეალურად ეს ერთი დანაშაულია, მძიმე, მაგრამ ერთი“, – ამბობს სუბარი.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნებისმიერ ცვლილებას, რომელიც მსჯავრდებულის მდგომარეობას ამსუბუქებს, უკუგების ძალა გააჩნია. ანუ

დანარჩენი სასჯელები კი, შესაძლოა, განახევრდეს და ისე შეიკრიბოს. ამით სასჯელთა უპირობო შეკრებითობა მაინც ძალაში დარჩა.

სოზარ სუბარი „სხვადასხვა ლონისძიებაში“ შეკრებითობის პრინციპის გაუქმების გარდა, ისეთ საშუალებებს გულისხმობს, როგორებიცაა, პირობით ვადამდე გათავისუფლება, შეწყობა, ამნისტია, აქტირება...

როდესაც პატიმრებს ამგვარ მოლოდინს უქმნი, ამას

შეიძლება მღელვარება მოჰყვეს და ხელისუფლებას ძალის გამოყენება აიძულოს.

საც ადამიანი ასეთ მნიშვნელოვან საკითხს ეხება, პასუხისმგებლობაზეც უნდა იფიქროს“.

მინისტრი მიზანშეწონილად არც სასჯელთა განახევრებას მიიჩნევს. „ამნისტია ვერ იქნება მასშტაბური – ამბობს სუბარი – მაგრამ მასშტაბური იქნება იმ ლონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა გატარებასაც ვგეგმავთ.“

შეკრებითობის პრინციპი

სოზარ სუბარი, უპირველეს ყოვლისა, სასჯელის შეკრებითობის პრინციპის გადახედვას გულისხმობს. ამ მიზნით კანონმდებლობა შეიცვლება. დღეს მოსამართლე დანაშაულის სიმძიმის, პატიმრის წარსულის თუ პიროვნების გათვალისწინებლად ვალდებულია სასჯელები შეკრიბოს. კანონი მას შემდეგ გამკაცრდა, რაც 2006 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა გამოაცხადა.

„ზოგჯერ ეს შეკრება ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა“, – ამბობს სუბარი და გვიყვება, ბრალდებული ორი მუხლით როგორ გაასამართლეს. ეს ამბავი, მინისტრის თქმით, მან რამდენიმე დღის წინ შეიტყო:

სუბარის მონათხრობის მიხედვით, მოქალაქემ თურქეთიდან ნარკოტიკული ნივთიერება გადმოიტანა. მას ერთი სასჯელი ნარკოტიკით საზღვრის გადა-

ცვლილებამდე მიღებულ განაჩენზეც მოქმედებს, თუმცა, ეს ავტომატური პროცესი არ არის. უკუგების ძალა პატიმრებს, რომლებსაც სასჯელები შეუკრიბეს, სასამართლოსადმი მიმართვის და საქმის გადახედვის საშუალებას აძლევს. „ამ ლონისძიებით, ზოგიერთ პატიმარს სასჯელი არათუ გაუნახევრდება, არამედ, შეიძლება მესამედიც აღარ დარჩეს, ეს უფრო სამართლიანია, რადგან თითოეული საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომას გულისხმობს“, – ამბობს სუბარი.

ეს პროცესი სასამართლოებს ხომ არ გადატვირთავს, რაც საქმეთა გადახედვას დროში შეაფერხებს? – მინისტრი ამ საფრთხეს ვერ ხედავს, ის ვარაუდობს, რომ ამგვარ საქმეთა გადახედვა მარტივია და შესაძლოა ერთი საათი, ან თხუთმეტი წუთი საკმარისი აღმოჩნდეს – „როდესაც სასამართლოში მიდის პატიმარი და ამბობს, რომ ხუთი ერთგვარი სასჯელი აქვს ჩადენილი, შეიძლება მოსამართლემ გადაწყვიტოს, რომ ხუთიდან სამი უქმდება და ორი ან მხოლოდ უდიდესი სასჯელი რჩება, ამას დიდი დრო არ უნდა“.

აღსანიშნავია, რომ სასჯელთა შეკრებითობის პრინციპი 2010 წელს ნაწილობრივ შეიცვალა. დანაშაულთა ერთობლიობის დროს თავისუფლების აღკვეთის ვადა სრულად ყველაზე მძიმე სასჯელის მიხედვით განისაზღვრება,

პირობით ვადამდე გათავისუფლება

სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროში მუშაობს სამი ადგილობრივი საბჭო, ე.წ. მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხებს განიხილავს.

პატიმრობის კოდექსის 41-ე მუხლის საფუძველზე სასჯელალსრულების, მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ 2010 წლის 28 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება N151. ამ ბრძანების მიხედვით, დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქუთაისის, ზუგდიდის, წყალტუბოს და ხონის სასჯელალსრულების დაწესებულებებში განთავსებული პატიმრების ვადამდელი გათავისუფლების საკითხებს.

აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო თბილისის, რუსთავის, გარდაბნისა და მცხეთის ტერიტორიებზე არსებულ სასჯელალსრულებით დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრების ვადამდელი გათავისუფლების საკითხებს განიხილავს.

არასრულწლოვანთა ვადამდელი გათავისუფლების საკითხები კი მესამე, ცალკე არსებული საბჭოს პრეროგატივაა.

ვადაზე ადრე გასათავისუფლებელთა სიაში რომ მოხვდეს, პატიმარი გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ, სასჯელის კანონით დადგენილი ვადა უნდა მოიხადოს. ეს ვადა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით იცვლება. არსებობს სამი კატეგორიის დანაშაული: ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე. დანაშაული

ნაკლებად მძიმედ მიიჩნევა, თუ მასზე დანესებული სასჯელის მაქსიმალური ვადა 5 წელს არ აღემატება, მძიმე დანაშაულისთვის – 10 წელს. თუ სასჯელი ათ წელზე მეტია, საქმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან გვაქვს.

ადგილობრივ საბჭოს ვადამდელი გათავისუფლების თხოვნით რომ მიმართოს, პატიმარს ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში – დანიშნული სასჯელის ნახევარი, მძიმე დანაშაულის შემთხვევაში – ორი მესამედი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში კი სამი მეოთხედი უნდა ჰქონდეს მოხდელი.

■ „ამ ღონისძიებით, ზოგიერთ პატიმარს სასჯელი არათუ გაუნახვერდება, არამედ, შეიძლება მესამედიც აღარ დარჩეს, ეს უფრო სამართლიანია, რადგან თითოეული საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომას გულისხმობს“, – ამბობს სუბარი.

პროცედურა ასეთია: კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ პატიმრის ადვოკატი, ოჯახის წერი, ან თავად მსჯავრდადებული ადგილობრივ საბჭოს განცხადებით მიმართავს და მისი საქმის განხილვას ითხოვს.

პირველ ეტაპზე კომისია საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს, ანუ მხოლოდ დოკუმენტებს, ამა თუ იმ პატიმრის ე.წ. საქმის მასალებს სწავლობს. თითოეულ პატიმარს კომისიის წევრები ქულებს უწერენ. 6,5 ქულაზე მეტის მოგროვება პატიმრის ვადაზე ადრე გათავისუფლებას ავტომატურად გამოიწვევს. 6,5 ქულის, ან ნაკლების დაგროვების შემთხვევაში, შესაძლოა ზეპირი მოსმენა დაინიშნოს. მოსმენაზე მსჯავრდადებულს, ან მის ადვოკატს ინვევენ.

45 წლის ლევან კვირიკაშვილი 2009 წლის 23 ივნისს დააკავეს, 11 ნოემბერს გაასამართლეს და 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. კვირიკაშვილმა სასჯელის ნახევარი 2010 წლის 23 სექტემბერს მოიხადა და სა-

ბჭოს პირობით ვადამდე გათავისუფლების თხოვნით მიმართა.

პატიმარი, რომელიც ფინანსთა სამინისტროს აუდიტორად მუშაობდა, სასჯელს ეკონომიკური დანაშაულისთვის იხდიდა. ბრალდების თანახმად, მან ერთ-ერთ ინდემწარმეს კანონით გათვალისწინებული გადასახადები და ჯარიმა არ დაარიცხა. დახასიათების მიხედვით, მსჯავრდადებულს სისტემატური ურთიერთობა აქვს თავის ექვსსულიან ოჯახთან. სასჯელის მოხდის პერიოდში ნახალისებული, ან დასჯილი არ ყოფილა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისე

არ მოქცეულა, რომ ციხის ადმინისტრაციისგან შეღავათები მიეღო, თუმცა არც სასჯელი დაუმსახურებია.

ადგილობრივმა საბჭომ კვირიკაშვილის საქმე განიხილა. მისი გადაწყვეტილებით, პატიმარმა 7,5 ქულა მიიღო და შესაბამისად, მისი ვადაზე ადრე გათავისუფლების თხოვნა არ დააკმაყოფილეს.

„კვირიკაშვილის საქმე შეფასების კრიტერიუმებში არსებულ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა, მაგრამ მაინც 7,5 ქულა დაუწერეს“, – ამბობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი გაგი მოსიაშვილი, მისივე თქმით, „ძნელია დაადგინო, რის მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებებს საბჭოს წევრები“.

სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა დღეს არაეფექტიანად მოქმედებს. „მაგალითად, ამ დღეებში, კომისიის სხდომა ტარდება. მათ რამდენიმე ასეული, 700 თუ 800 საქმე აქვთ განსახილველი. ზეპირი მითითების მიხედვით, მათ ადრე მაქსიმუმ 10%-ს გათავისუფლების უფლება ჰქონდათ“.

ახალი მინისტრი პირობას დებს, რომ „არავითარი ხელოვნურად დადგენილი კოტეჯი აღარ იქნება. ერთ შემთხვევაში შესაძლოა 5 %, მეორეში კი 90% გათავისუფლდეს, – იმის მიხედვით, კონკრეტულ კომისიაზე რა ტიპის საქმეებია წარდგენილი. ვინ არიან ეს პატიმრები? რა დახასიათებას აძლევს მათ სასჯელალსრულების დანესებულება? რამდენად საშიშნი არიან ისინი საზოგადოებისთვის? – პატიმართა გათავისუფლება-არგათავისუფლების საკითხს ეს კრიტერიუმები უნდა განსაზღვრავდეს“.

მინისტრი არც კომისიის დებულების გადახედვას გამოიციხავს, ვთქვათ, წევრების შეკრების სიხშირის გასაზრდელად. ამ დროისთვის კომისია თვეში ერთხელ იკრიბება.

შენწყალება

შენწყალების აქტს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლი არეგულირებს. პატიმრის შეწყალება პრეზიდენტის პრეროგატივაა. შეწყალების შედეგად მსჯავრდებული შესაძლოა სრულად გათავისუფლდეს, შეუმცირდეს ან შეეცვალოს სასჯელი, სასჯელმოხდის მოქსნას ნასამართლეობა...

შენწყალებას ხშირად „კერძო ამნისტიასაც“ უწოდებენ. კანონი მხოლოდ იმ პირთა შეწყალების შესაძლებლობას ითვალისწინებს, რომლებიც თავს დამნაშავედ ცნობენ, ინანიებენ და შეწყალებას პირადად ითხოვენ.

თუ მსჯავრდებული შეწყალებას პირადად არ ითხოვს, მაშინ, მისი ოჯახის წევრების, პარლამენტარების, საზოგადოების გამოჩენილი მოღვაწეების, თუ ორგანიზაციების მიერ აღძრული შუამდგომლობების მიუხედავად, შეწყალების საკითხთა განყოფილებას მომზადებისა და კომისიაზე განსახილველად წარდგენის საფუძველი არ გააჩნია. მსჯავრდებულის შეწყალების თხოვნის განხილვისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხასიათი და ხარისხი, ადრინდელი ნასამართლეობა, სასჯელის მოხდის ვადა, ციხეში მისი ქცევა, ოჯახური პირობები და სხვა.



www.radiotavisupleba.ge



რადიო თავისუფლება

იპოვე თავისუფლება



09:00 - 10:00

FM 107.4

18:00 - 19:00

15:00 - 15:45

FM 105.9

00:00 - 00:45



როგორც წესი, საქართველოს პრეზიდენტი მსჯავრდებულებს გარკვეულ დღესასწაულებთან დაკავშირებით ინწყალებს. ასეთი შეიძლება იყოს ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე, ახალი წელი, ან რომელიმე რელიგიური დღესასწაული.

ბოლო წლებში საქართველოს პრეზიდენტმა რამდენიმე ისეთი პატიმარი შეინწყალა, რამაც, საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, მათ შორის იყვნენ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ბრალდებით დაპატიმრებული პოლიციელები. პრეზიდენტმა მათ სასჯელები გაუნახვერა.

რაკილა ამნისტიის გამოცხადებას საგანგებო კანონის მიღება სჭირდება, თეორიულად ჩნდება შესაძლებლობა, რომ პრეზიდენტმა კანონპროექტს ვეტო დაადოს და ახალი ხელისუფლების მიერ დანაპირების შესრულება შეაფერხოს.

საკურობილე შეწყალების შედეგად დატოვებს ებრაელმა ბიზნესმენებმა, რონი ფუქსმა და ზევე ფრენკელმა, „ელიტელექტრონიკის“ დამფუძნებელმა, ბიზნესმენმა ანზორ ქოქოლაძემ, აგრეთვე, ენერგეტიკის ყოფილმა მინისტრმა დავით მირცხულავამ და კონტროლის პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ, სულხან მოლაშვილმა. (ეს უკანასკნელნი 2008 წელს პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ შეინწყალა).

აქტირება

არსებობს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება N72, რომელიც იმ დაავადებათა ჩამონათვალს განსაზღვრავს, რომელიც პატიმრობიდან გათავისუფლების, ან სასჯელის გადავადების საფუძველია. ავადმყოფობის გამო პატიმრის გათავისუფლებას ან სასჯელის გადავადებას აქტირებას უწოდებენ. უფლებადამცველები მიიჩნევენ, რომ აქტირების პროცედურა შეზღუდულად მოქმედებს.

2012 წლის 22 თებერვალს 41 წლის პატიმარი გოჩა არჩაია გლდანის N18 სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა. მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. ის ფილტვების კეროვანი ტუბერკულოზის, აივ ინფექცია შიდსის, განღვების სინდრომის, გახანგრძლივებული დიარეის და ქრონიკული C ვირუსული ჰეპატიტის დიაგნოზით მკურნალობდა.

ადვოკატმა ნინო ანდრიაშვილმა სასჯელალსრულებისა და ჯანდაცვის სამინისტროების ერთობლივ კომისიას 2011 წლის 22 სექტემბერს მიმართა. ად-

ვოკატი კომისიისგან პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას და მის გათავისუფლებას ითხოვდა. კომისიას გადანყვეტილების მიღება ერთი თვის ვადაში ევალეზოდა, მაგრამ პროცესი გაიწელა.

„გოჩა არჩაია ითხოვდა უკანასკნელი დღეები მეუღლესთან და შვილებთან ერთად გაეტარებინა“, – განუცხადა „ლიბერალს“ ადვოკატმა.

პატიმარი მისი საქმის განხილვამდე გარდაიცვალა.

სუბარი ამნისტიასთან ერთად ამ პროცედურის გააქტიურებასაც გეგმავს.

ამნისტია

ამნისტია სიტყვა-სიტყვით პატიებას ნიშნავს. იმისთვის, რომ ამნისტია განხორციელდეს, სპეციალური კანონის მიღება სჭირდება. თუ რა დანაშაულებზე იქნება ამნისტია, ამაზე მინისტრს საუბარი ჯერ არ სურს, რადგან „არასასურველ აჟიოტაჟს გამოიწვევს“.

სუბარი ფიქრობს, რომ ამნისტია თა-

ვისი ბუნებით უსამართლოა, რადგან ყველა კატეგორიის პატიმარს ერთნაირად ეხება და არ ანსხვავებს, სამართლიანადაა პირი დაკავებული თუ უსამართლოდ, სასჯელის რა ნაწილი აქვს მოხდილი და ა.შ. მაგრამ „ასეთ სიტუაციაში ამნისტია სიტუაციის განმუხტვის ერთ-ერთი საშუალებაა“.

რაკილა ამნისტიის გამოცხადებას საგანგებო კანონის მიღება სჭირდება, თეორიულად ჩნდება შესაძლებლობა, რომ პრეზიდენტმა კანონპროექტს ვეტო დაადოს და ახალი ხელისუფლების მიერ დანაპირების შესრულება შეაფერხოს. თუმცა, სოზარ სუბარი ამ საფრხეს ვერ ხედავს, რადგან „ვეტოს გადალახვის საშუალებები არსებობს“.

ვეტოს გადასალახად უმრავლესობას ხმათა 60% ანუ 90 მანდატი სჭირდება. „ქართულ ოცნებას“ კი მხოლოდ 85 აქვს. თუმცა, „ჩვენ 90 ხმის მოგროვება შეგვიძლია, ამას ადასტურებს დეპუტატთა ის რაოდენობა, რომელთაც არაერთ მაღალი თანამდებობის პირს კენჭი უკვე უყარეს“.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი, ნაციონალური მოძრაობის წევრი, და ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჩიორა თაქთაქიშვილი ფიქრობს, რომ პატიმრების გათავისუფლების საკითხზე ახალ ხელისუფლებას მკაფიო გეგმა არ გააჩნია. „საკომიტეტო მოსმენებზე მათი პასუხები ნათელი არ არის, ჩვენ კითხვებს ვუსვამთ, მაგრამ ისინი კონკრეტულ მექანიზმებზე არ საუბრობენ“.

ფაქტი ისაა, პატიმრების საკითხისთვის ახალ ხელისუფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება მოუწევს. ეს იმაშიც გამოიხატა, რომ სასჯელალსრულების მინისტრად პოპულარული ექსპრემიერის დანიშნა. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ მარცხი დიდწილად სწორედ საპატიმროებში არსებული მდგომარეობის გამოაშკარავებამ განსაზღვრა. როგორც ჩანს, პატიმრების თემა საზოგადოების მუდმივი ყურადღების ქვეშ დარჩება. **□**



საპ
306

THE 13th
TBILISI INTERNATIONAL
FILM FESTIVAL

თბილისის
საერთაშორისო
კინოფესტივალი

03 - 09. 12. 2012

www.tbilisifilmfestival.ge



"ALBATROS" - დანაშაუნი ბიზნესი

ამჟამად ძეგნილი ბიზნესმენი დავით ბეგიაშვილი, რომელსაც შვეიცარიამ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა, 15 წლის განმავლობაში ცნობილი საათებისა და საიუველირო ბრენდების წარმომადგენელი იყო საქართველოში. სახელმწიფომ მას ჯერ ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე სავაჭრო ფართი ჩამოართვა, შემდეგ სისხლის სამართლის საქმე აღუძრა თაღლითობის ბრალდებით, შემდეგ სამ მილიონ ლარამდე ჯარიმა დააკისრა მის ფირმას, ბოლოს კი, მთელი ქონება დაუყადალა. არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები ასაბუთებენ, რომ ბეგიაშვილი უდანაშაულოა და სახელმწიფო მას უსამართლოდ დევნის.

გიორგი მგელაძე, სტუდია „მონიტორი“



თითქმის ერთი წელია, რაც თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის № 44 და №46 მდებარე ორი მაღაზია „ალბატროს პრეზენტი“ და „ალბატროს დელუქსი“ სახელმწიფო სტრუქტურების გადაწყვეტილებით დაკეტილია. ორივე მაღაზია ჰოლდინგურ კომპანია „ვაკე 5“-ში შედიოდა. მაღაზიებში, ძირითადად, საიუველირო საქონელი და საათები იყიდებოდა.

„ალბატროს პრეზენტი“ 1991 წელს ბიზნესმენმა დავით ბეგიაშვილმა დააფუძნა, კომპანია მსოფლიოში ცნობილი საათებისა და საიუველირო ფირმების პროდუქციას უწევდა რეალიზაციას. „მომბლანი“, „შოპარი“, „ფრანკ მიულერი“, „ომეგა“, „ლონჯინი“, „დიუპონი“, „ვერტუ“ – ეს იმ კომპანიების არასრული ჩამონათვალია, რომელთა პროდუქციაც ვაკეში მდებარე მაღაზიებში იყიდებოდა. 2003 წელს ნიუ-იორკის ხარისხის სამიტზე კომპანია „ალბატროს პრეზენტი“ ოქროს პრიზით დაჯილდოვდა „საუცხოო და პრესტიჟული“ ბიზნესისთვის.

„ვაკე-5“-სა და „ალბატროს პრეზენტში“ დაახლოებით 25 ადამიანი იყო დასაქმებული. ყოველწლიურად ბიუჯეტში შეტანილი გადასახადები კი, ასეულობით ათას ლარს შეადგენდა.

დღეს კომპანიის და მისი მფლობელის მთელი ქონება დაყადაღებულია, დამფუძნებელი დავით ბეგიაშვილი

ფოტო: ლევან სერცხელიძე

ქვეყნიდან გაიქცა და შვეიცარიას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა, ბეგიაშვილს პროკურატურა თაღლითობაში სდებს ბრალს, შემოსავლების სამსახური კი დაახლოებით 2 მილიონი ლარის გადასახადების დამალვას ედავება.

კულ-ში მოხვედრილი ბიზნესმენი

ბეგიაშვილი ამბობს, რომ 2011 წლის 23 მაისს, დაახლოებით დღის 12 საათზე ჭავჭავაძის გამზირზე დააკავეს და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში, ე.წ. მოდულის შენობაში, მიიყვანეს. მისი თქმით, კულ-ში ძვირადღირებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის დათმობა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, პრობლემების შექმნით დაემუქრნენ.

„ჩამტენეს მანქანაში და ამოვყავი თავი კულ-ის უფროსის მოადგილის, სოსო თოფურაძის კაბინეტში. იქ დამხვდა გიორგი უდესიანი, ამ ადამიანს კი ვიცნობდი, მაგრამ რას საქმიანობდა, არ ვიცოდი და ჩავთვალე, რომ იქ მუშაობდა, ეცვა კამუფლაჟი და ჰქონდა იარაღი. მან განმიცხადა, რომ მე მქონდა პრობლემები და რაღაცნაირად უნდა გადაეწყვიტა. მითხრა, რომ „პოლიტიკური გადაწყვეტილება“ მიღებული იყო (ზუსტად ეს სიტყვა გამოიყენა), რომ ჩემი ქონება უნდა წაეღოთ. მეუბნებოდა, რომ არ არის ესხა შენთვის საჭირო ადვოკატი, მოგიგვარებთ მაგ პრობლემებს და ყველგან მწვანე შუქი გექნება. მხოლოდ ამის საპირწონედ უნდა დათმოთ მალაზია ჭავჭავაძის პროსპექტის 44-ში. ანუ, არც უნდა გამხსენებოდა ეს მალაზია. იქვე იარაღითაც დამემუქრა, გადამიტენა ის იარაღი, მითხრა, რომ გაისვრიდა, მე უარი ვუთხარი, რომ არ გამოუვიდოდა ჩემთან ეს ნომერი“, – განაცხადა ბეგიაშვილმა სტუდია „მონიტორთან“ საუბრისას.

ჭავჭავაძის 44-ში მდებარე მალაზიის დათმობაზე უარის თქმის შემდეგ, ბეგიაშვილს ბრალი დასდეს, რომ აღნიშნული ქონება 16 წლის წინ თაღლითურად მიითვისა, მოდულში მიყვანიდან 2 დღეში ბეგიაშვილი სასამართლოს

წარუდგინეს, პროკურატურამ უკვე თაღლითობაში ბრალდებულისთვის 100 ათას ლარიანი გირაოს შეფარდება მოითხოვა.

არსებობს დოკუმენტური მტკიცებულება, რომ 23 მაისს მოქალაქე დავით ბეგიაშვილი მოდულის შენობაში, ერთ-ერთ კაბინეტში მართლაც შეიყვანეს, ამის დასამტკიცებლად მან შინაგან საქმეთა სამინისტროდან ინფორმაცია გამოითხოვა. სამინისტროდან მოწერილი პასუხით დასტურდება, რომ 23 მაისს დავით ბეგიაშვილი მოდულის შენობის საშეთა ბიუროში დაარეგისტრირეს, როგორც მოქალაქე. მისი შესვლის დროდ 16 სთ 33 წუთი, გა-

დღეს კომპანიის და მისი მფლობელის მთელი ქონება დაყადაღებულია, დამფუძნებელი დავით ბეგიაშვილი ქვეყნიდან გაიქცა და შვეიცარიას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა, ბეგიაშვილს პროკურატურა თაღლითობაში სდებს ბრალს, შემოსავლების სამსახური კი დაახლოებით 2 მილიონი ლარის გადასახადების დამალვას ედავება.

მოსვლის დროდ კი – 18.45 წთ ფიქსირდება. ანუ, ამ წერილის მიხედვით მოქალაქე ბეგიაშვილი მოდულის შენობაში 2 საათისა და 12 წუთის განმავლობაში იმყოფებოდა, შემდეგ კი, შენობა დატოვა.

არადა, ეს ორ საათიანი პერიოდი იმ დროს ემთხვევა, რა დროსაც სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით ბიზნესმენი დაკავებულია და №1 იზოლაციაში ზის.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოგვიანებით აღძრული სისხლის სამარ-

თლის საქმის მასალების მიხედვით, დავით ბეგიაშვილი ამ დროს უკვე თაღლითობის ბრალდებითაა დაკავებული და იზოლაციაში იმყოფება, მაგრამ ზემოთ მოყვანილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ ის ამ დროს, როგორც „მოქალაქე“ კულ-ის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის კაბინეტში ჰყავდათ, და, მისი მტკიცებით, ქონების დათმობას სთხოვდნენ. ეს შეუსაბამობა ბეგიაშვილის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში ერთადერთი არ არის.

ბევრი საეჭვო დეტალია ბეგიაშვილის სისხლის სამართლის საქმის მასალებში, სადაც აღწერილია, თუ როგორ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, როგორ დაიწყო გამოძიება და როგორ მოხდა ბიზნესმენის დაპატიმრება.

საქმის მასალების მიხედვით, გამოძიებამ არარეალურად მოკლე დროში, ანუ 5 წუთში, განახორციელა 5 საპროცესო მოქმედება. ოფიციალური ვერსიით, 2011 წლის 23 მაისს:

1. ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსს წერილი გაუგზავნა და ბეგიაშვილის მიერ თაღლითობის ფაქტის ჩადენის შესახებ შეატყობინა. „თაღლითობა“ გულისხმობდა 1992 წელს ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე შენობების დაუფლებას;

2. ამ წერილის საფუძველზე იმავე დღეს დაწყდა გამოძიება;

3. იმავე დღეს მთავარი პროკურორის მოადგილემ გამოსცა დადგენილება;

4. იმავე დღეს მოხდა სადავო ფართის ზუსტი იდენტიფიცირება;

5. იმავე დღეს გადაწყდა საჯარო რეესტრში ჩხრეკის ჩატარება და ჩხრეკაც ჩატარდა. ჩხრეკის დროს შედგენილ ოქმში დაფიქსირებულია, რომ ჩხრეკა 23 მაისს 10 საათსა 05 წუთზე დაიწყო.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილე 23 მაისს დილის 10 საათამდე ვერ გააგზავნიდა ამ წერილს, ვინაიდან ეკონომიკის სამინისტროს კანცელარია მუშაობას დილის 10 საათზე იწყებს, რაც სატელეფონო საუბრისას დაგვი-

ქურნალისტური გამოძიება

დასტურეს კიდევ. დანარჩენი ოთხი ლონისძიება, საქმის მასალების მიხედვით, 10 საათსა 05 წუთამდე განხორციელებული. ანუ, ხუთივე ლონისძიება 10-დან 10 სთ-სა და 05 წუთამდე განხორციელდა.

ბრალი

პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალის მიხედვით, დავით ბეგიაშვილმა ქონების დაუფლების მიზნით, 1992 წელს ჩამოაყალიბა კომერციული მალაზია „ვაკე 5“, რომელმაც ტრესტ „კავკას ელექტროქსელმშენთან“ გააფორმა იჯარის ხელშეკრულება ჭავჭავაძის 44-ში მდებარე ფართზე. ხელშეკრულების მიხედვით, თუ აღნიშნული ფართი იჯარის ვადის გასვლამდე გაიყიდებოდა, უპირატესი შესყიდვის უფლება „ვაკე 5“-ს მიეცემოდა.

პროკურატურის ვერსიით, ბეგიაშვილმა ისარგებლა ამ ხელშეკრულებით და 1995 წელს თბილისის ქონების მართვის სამმართველოსგან უკანონოდ შეიძინა აღნიშნული ფართი. პროკურატურა ბეგიაშვილს ორ რამეს ედავება: პირველი ის, რომ პრივატიზაციის მომენტისთვის არ არსებობდა „კავკას ელექტროქსელმშენის“ თანხმობა (პროკურატურის ინფორმაციით, პრივატიზაციის დროს ფართი კავკასელექტროქსელმშენის ბალანსზე იყო) და მეორე, საპრივატიზაციო თანხის გადახდა 27 დღის დაგვიანებით მოხდა.

ჰქონდა თუ არა ბეგიაშვილს ჭავჭავაძის 44-ში მდებარე ფართი კანონიერად პრივატიზებული და მოხდა თუ არა ფართის დაუფლება თაღლითური, დანაშაულებრივი გზით? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩვენ სრული დოკუმენტაცია შევისწავლეთ.

დოკუმენტაციის მიხედვით, 1994 წლის 18 აგვისტოს მინისტრთა კაბინეტის № 570 დადგენილებით საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა დამტკიცდა, ნუსხაში შეტანილი იყო სახელმწიფო საწარმო „ვაკე-5“-ც

1994 წლის 22 ნოემბერს მალაზია „ვაკე-5“-ის შრომით კოლექტივს გადაეზღვა შეტყობინება, რომლის მიხედვითაც, თანამშრომლებს უფლება

მიეცათ პირდაპირი მიყიდვის წესით შეესყიდათ საწარმოს ქონება. იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მალაზია „ვაკე-5“-ის თანამშრომლებმა შექმნეს ამხანაგობა, რომელმაც 1994 წლის 12 დეკემბერს ჭავჭავაძის გამზირ № 44-ში მდებარე კომერციული ფართი 12 ათას 800 დოლარად შეისყიდა.

1995 წლის მაისში კოლექტივმა თანხა სრულად გადაუხადა სახელმწიფოს, რაზეც შესაბამისი აქტი შედგა და ივნისში „ვაკე 5“-ზე საკუთრების მონაბა გაიცა.

ერთი წლის შემდეგ „ვაკე 5“-ის თანამშრომელთა მიერ ფართის შესყიდვა სასამართლოში გაასაჩივრა „კავკას ელექტროქსელმშენმა“. მისი წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ აღნიშნული ფართი მათ ეკუთვნოდათ და სახელმწიფოს მისი გასხვისების უფლება არ ჰქონდა, დავა უზენაეს სასამართლომდე მივიდა. უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით „ვაკე-5“-ს საკუთრების მონაბა გაუუქმეს, აღნიშნული გადაწყვეტილება „ვაკე 5“-მა ახლად აღმოჩენილ გარემოებებზე დაყრდნობით ისევ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, ამჯერად პროცესი „ვაკე 5“-მა მოიგო და მასზე გაცემული საკუთრების მონაბა ისევ აღდგა. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ ქონება არცერთ მხარეს არ მიაკუთვნა და საქმე საბოლოოდ გადასაწყვეტად თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს გადაუგზავნა. ვინაიდან „ვაკე 5“-ს ძალაში მყოფი საკუთრების მონაბა ჰქონდა, ფართიც მის მფლობელობაში დარჩა მანამდე, ვიდრე დავა საბოლოოდ არ გადაწყდებოდა.

დავა 2007 წელს სახელმწიფოს გამარჯვებით დასრულდა, სასამართლომ დაადგინა, რომ „კავკასელექტროქსელმშენის“ მთელი ქონება 1991 წლის მდგომარეობით სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. ანუ, მრავალწლიანი სასამართლო დავების შემდეგ საბოლოოდ დადგინდა, რომ ეკონომიკის სამინისტროს (სახელმწიფოს) ჰქონდა უფლება, რომ ჭავჭავაძის №44-ში მდებარე ფართი მიეყიდა

მალაზია „ვაკე-5“-ის თანამშრომელთაგან შემდგარი ამხანაგობისათვის.

„თითქოსდა ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის გადაწყვეტილებით მთელი ქონება, 1991 წლის მდგომარეობით, სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა. გამოდის, რომ 1995 წელს „ვაკე 5“-სთვის მიყიდული ქონება სახელმწიფოს ეკუთვნოდა და მისი გასხვისების უფლება ჰქონდა, ანუ უსაფუძვლო აღმოჩნდა მოსაზრება, რომ ბეგიაშვილის კომპანიამ სახელმწიფოსგან ფართი უკანონოდ იყიდა“, – ამბობს ბეგიაშვილის ადვოკატი მერაბ ჩიქოვანი.

ადვოკატების ვარაუდი არ გამართლდა, სასამართლოს მიერ მიღებული სწორედ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფომ მთელი ქონება, მათ შორის, „ვაკე 5“-ის საკუთრებაში არსებული ჭავჭავაძეზე მდებარე ფართიც საკუთარ თავზე დაირეგისტრირა. „ვაკე 5“-ს შერჩა ძალაში მყოფი საკუთრების მონაბა, რომლის მიხედვითაც, ფართი მას ეკუთვნოდა, თუმცა უძრავი ქონება უკვე სახელმწიფოს უკან ჰქონდა წაღებული. უკან გადაფორმება ბეგიაშვილის დაპატიმრებიდან ორ დღეში განხორციელდა.

ეკონომიკის სამინისტრომ სასამართლოს მხოლოდ ქონების დასაკუთრების შემდეგ მოსთხოვა „ვაკე 5“-ზე გაცემული საკუთრების მონაბის გაუქმება, სასამართლომ სამინისტროს მოსთხოვნა დააკმაყოფილა, მოსამართლემ აღნიშნა, რომ „ვაკე 5“-ს ქონება უკანონოდ ჰქონდა შეძენილი, ვინაიდან გაყიდვის დროს არ არსებობდა „კავკასელექტროქსელმშენის“ თანხმობა. სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, იმ დროს, როცა „ვაკე-5“-მა ქონება იყიდა, ის „კავკასელექტროქსელმშენის“ ბალანსზე იყო და მისი ნებართვა იყო საჭირო.

მკუთხნის, მბრამ არ მკუთხნის

– შრთიირთბამორიცხაპი

ბაღანწყვიტილუბაპი

სისხლის სამართლის საქმეში სასამართლოს მიერ მიღებული ორი ურ-

თიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილება. 2007 წლის გადაწყვეტილებით, „კავკასელექტროქსელმშენის“ მთელი ქონება 1991 წლის მდგომარეობით სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, 2011 წლის გადაწყვეტილებაში კი აღნიშნულია, რომ ეს ქონება 1995 წელს „კავკასელექტროქსელმშენს“ ეკუთვნოდა და თბილისის მერიას „ვაკე-5“-სთვის მისი მიყიდვა არ შეეძლო.

ამ გარემოებას ადასტურებს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ იურისტი ეკა ბოკუჩავა, რომელიც დავით ბეგიაშვილსა და ეკონომიკის სამინისტროს შორის დავის განხილვას სასამართლოში აკვირდებოდა.

„2007 წელს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ იმ დროისათვის, როცა მოხდა გასხვისება, სახელმწიფო იყო უფლებამოსილი, რომ ეს ქონება დავით ბეგიაშვილისთვის გადაეცა. 2011 წლის გადაწყვეტილებით კი, სასამართლო ამბობს, რომ სახელმწიფომ უკანონოდ გაასხვისა ეს ფართი და, შესაბამისად, ჩამოართვეს კიდევ ბეგიაშვილს ქონება. ანუ, სახეზეა ორი გადაწყვეტილება, ერთგან სასამართლო ამბობს, რომ სახელმწიფომ თავის დროზე კანონიერად გაასხვისა, ხოლო, მეორეგან ამბობს, რომ უკანონოდ გაასხვისა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პოზიცია დავით ბეგიაშვილის საქმესთან დაკავშირებით არის ცალსახად ასეთი – ის არის აღნიშნული უძრავი ქონების კანონიერი მესაკუთრე და სახელმწიფო როცა ასხვისებდა ბეგიაშვილზე ქონებას, იყო ამ საკუთრების გასხვისების უფლებამოსილი ორგანო, მას შეეძლო პრივატიზების გზით გასხვისება“, – ამბობს ბოკუჩავა.

მიუხედავად იურისტების ასეთი პოზიციისა, დავით ბეგიაშვილის მიერ ქონების თაღლითურად დაუფლების შესახებ სისხლის სამართლის საქმის განხილვა სასამართლოში მიმდინარეობს. მას თაღლითობის მუხლი აქვს წაყენებული.

■ სისხლის სამართლის საქმეში სასამართლოს მიერ მიღებული ორი ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილება. 2007 წლის გადაწყვეტილებით, „კავკასელექტროქსელმშენის“ მთელი ქონება 1991 წლის მდგომარეობით სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, 2011 წლის გადაწყვეტილებაში კი აღნიშნულია, რომ ეს ქონება 1995 წელს „კავკასელექტროქსელმშენს“ ეკუთვნოდა და თბილისის მერიას „ვაკე-5“-სთვის მისი მიყიდვა არ შეეძლო.

30 წლის ბიოგრაფია

გიორგი უდესიანი, ყოფილი სპორტსმენი და თბილისის მერიის ყოფილი თანამშრომელი საზოგადოებას 2005 წლის დეკემბერში თბილისის საკრებულოში მომხდარი დაპირისპირებიდან ახსოვს. ნაციონალურ მოძრაობასა და ოპოზიციას შორის საკრებულოს შენობაში მომხდარი ფიზიკური დაპირისპირებისას უდესიანი და მისი რამდენიმე თანმხლები ნაციონალების მხარდამჭერები იყვნენ და მაშინ გამართულ ჩხუბში ფიზიკურად გაუსწორდნენ ოპოზიციის წევრებს კახა კუკავას, ზვიად ძიძიგურსა და სხვებს. გიორგი უდესიანთან დაკავშირებას ჩვენ სამ სხვადასხვა სატელეფონო ნომერზე უშედეგოდ ვცდილობდით. ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ შოთა ხიზანიშვილმა ჩვენთან სატელეფონო საუბრისას უდესიანის შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობის ფაქტი კატეგორიულად უარყო.

„სასამართლოს მიზობრის“ პოზიცია ადვოკატებმა კანონის ნოვაციით ისარგებლეს და სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი გამოიყენეს. ბეგიაშვილის საქმეში სასამართლოს ორი მეგობრის წერილობითი მოსაზრებაა. პირველი მოსაზრება პრივატიზაციის საკითხების სპეციალისტს გელა ჩარკვიანს ეკუთვნის. ჩარკვიანმა ჩვენთან ინტერვიუზე უარი თქვა.

გელა ჩარკვიანს საჯარო სამსახურში მუშაობის 24-წლიანი სტაჟი აქვს, პროფესიით ეკონომისტი ჩარკვიანი 1994-2004 წლებში ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა (პრივატიზაციის განხრით), 2004-2008 წლებში კი – კონტროლის პალატაში დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. გელა ჩარკვიანმა „ვაკე-5“-ის ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტი შეისწავლა და დასკვნაც მოამზადა. ჩარკვიანის დასკვნის მიხედვით, „ვაკე-5“-მა ქონება კანონიერად შეიძინა და მისი ღირებულებაც კანონით დადგენილ ვადაში გადაიხადა. „წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ვერ იქნა აღმოჩენილი ბატონი დავით ბეგიაშვილის და ქ. თბილისის ქონების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების გადაჭარბების ფაქტები“, – წერს გელა ჩარკვიანი.

სასამართლოს მეგობრის მეორე მოსაზრება ოთარ გამყრელიძეს ეკუთვნის. გამყრელიძე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორია, 14 წლის განმავლობაში უზენაესი სასამართლოს მეცნიერ-კონსულტანტად მუშაობდა, გამოქვეყნებული აქვს 230 სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომი. ბეგიაშვილის მიმართ წარმოებული თაღლითობის საქმის მასალები მან სრულად შეისწავლა.

„საქმეს რომ გავეცანი, მასალების მიხედვით, არ ჩანს 180-ე მუხლის ძირითადი ელემენტი – მოტყუება. თაღლითობა მოტყუების გარეშე არ არსებობს. სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა არ ჩანს აქ. ეს არის სამოქალაქო დავა და არ ჩანს საქმეში ამ კაცმა რა ჩაიდინა სისხლის სამართლის კუთხით“, – ამბობს ოთარ გამყრელიძე.

გამყრელიძე ერთ დეტალზე ამახვილებს ყურადღებას. ბეგიაშვილს ბრალი ჯგუფურად თაღლითობაში აქვს წარდგენილი, დანაშაულის ჯგუფურობა სასჯელს ამძიმებს, მაგრამ საქმის მასალებში არსად ჩანან ჯგუფის სხვა წევრები.

„არ ჩანს საქმეში თაღლითების ჯგუფი. უნდა იყოს ჯგუფი, უნდა იყოს დადგენილი, რომ ჯგუფიდან ეს ადამიანი, კიდევ ეს ადამიანი და კიდევ ეს ხელს უწყობდა ბეგიაშვილს მოტყუებაში და თაღლითობაში. საქმეში კი ეს არ ჩანს“, – განაცხადა გამყრელიძემ ჩვენთან საუბრისას.

საქმის მასალებში არის დოკუმენტაცია, საიდანაც ირკვევა, რომ 1995 წელს, როდესაც ფართი ამხანაგობამ შეიძინა, ბეგიაშვილის გარდა აქ კიდევ 10 პიროვნება შედიოდა. მათ ფართი ერთობლივად შეისყიდეს, მოგვიანებით, დაახლოებით 10 წლის შემდეგ ბეგიაშვილმა მალაზიის წილები დანარჩენი მესაკუთრეებისგან გამოისყიდა, ბოლო გამოსყიდვა 2011 წელს მოხდა. სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, არცერთი ყოფილი მესაკუთრე, ვინც პრივატიზაციაში მონაწილეობდა, დაკითხული არ არის. ნიშანდობლივია ის, რომ პრივატიზაციის დროს შექმნილ 11-კაციან ამხანაგობაში ბეგიაშვილს მხოლოდ 45%-იანი წილი ეკუთვნოდა. ამჟამად ჩანს სახელმწიფოს მიერ დაინტერესება ბეგიაშვილის მიმართ. „ვაკე 5“, რომელმაც შეიძინა ფართი ჭაჭაჭაძის გამზირზე, თავიდან მხოლოდ ბეგიაშვილის არ იყო. ის კიდევ 11 ადამიანს ეკუთვნოდა. სახელმწიფოს დაინტერესება გამოიხატება თუნდაც იმაში, რომ ამ ვითომდა თაღლითობის საქმეზე სხვები არ დაუკითხავთ თუნდაც მონმის სახით. ეს არის სახელმწიფოს სუბიექტური მიდგომა ბეგიაშვილის მიმართ“, – მიაჩნია გაგი მოსიაშვილს, ბეგიაშვილს მეორე ადვოკატს.

ჩვენ ბეგიაშვილის საქმის პროკურორს და გამომძიებელს დაუკავშირდით და ვკითხეთ, ბრალი მხოლოდ ბეგიაშვილის რატომ წაუყენეს, მაშინ, როცა ქონების შესყიდვაში მასთან ერთად ათი პირი მონაწილეობდა.

პროკურორმა ლაშა აბულაძემ ასე გვიპასუხა: „მე მაგაზე ვერაფერს ვერ მოგასხენებთ, თუ შეკითხვები წერილობით გამოგზავნეთ, მაგაზე კომპეტენტური პირები გიპასუხებენ. მე მაგ შეკითხვაზე ვერ გიპასუხებთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აღარ ვარ მაგ საქმეზე პროკურორი, არა მაქვს უფლება პასუხი გაგცეთ“.

– ჯგუფის სხვა წევრები გამოავლინეთ?

– გიპასუხეთ, უკვე, პატივცემულო და თუ შეკითხვები გამოგზავნეთ, მოგწერენ.

ჩვენ საქმის გამომძიებელ ალექსანდრე ბარბაქაძესაც დაუკავშირდით, თუმცა, მან ჩვენ შეკითხვაზე არ უპასუხა და პროკურორთან დაკავშირება გვირჩია. საბოლოოდ, გაურკვეველია, თუ ვინ იყვნენ ჯგუფურ თაღლითობაში ჩართული, ან რაღაცომ არ გამოავლინა გამომძიებამ სხვა წევრები, საქმე ხომ ჯგუფური თაღლითობის მუხლითაა აღძრული?

ყველა ზემოთ აღნიშნული შეუსაბამოების მიუხედავად, პროკურატურა თვლის, რომ ქონების შეძენით დავით ბეგიაშვილმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, ბეგიაშვილს შვიდწლიანი პატიმრობა ელის, ბიზნესმენმა მიიჩნია, რომ გამოძიება ტენდეციურად მიმდინარეობდა და თავშესაფრის მოთხოვნით შევიცარიის სახელმწიფოს მიმართა, ამის შემდეგ პროკურატურის შუამდგომლობით მას გირაო პატიმრობით შეეცვალა, დღეს ბეგიაშვილზე ძებნაა გამოცხადებული.

საბადასახადო დავა

დავით ბეგიაშვილის მიმართ სახელმწიფოს დევნა მხოლოდ შენობის ჩამორთმევით და თაღლითობაში ბრალდებით არ შემოფარგლულა, მისი დაპატიმრების პარალელურად ჭაჭაჭაძის 44-ში განთავსებულ მალაზია „ალბატროს პრეზენტში“ საგადასახადო შემონმება დაიწყო. 27 ივნისს შემონმების აქტი შედგა, რომლის მიხედვითაც კომპანიას ბიუჯეტის სასარგებლოდ თითქმის 3 მილიონი

ლარი დაეკისრა. აქტში აღნიშნულია, რომ სოლიდური ჯარიმის დაკისრება კომპანიაში აღმოჩენილი შავი ჩანანერების, ანუ შავი ბუღალტერიის შესწავლის შემდეგ მოხდა.

აქტის მიხედვით, „ალბატროს პრეზენტის“ ერთ-ერთი თანამშრომლის კომპიუტერში აღმოაჩინეს ექსელის ფაილი, სადაც შეტანილია პროდუქციის დასახელება ბრენდების მიხედვით და იქვეა მითითებული თითოეული პროდუქციის სარეკომენდაციო ფასი. საგადასახადოს თანამშრომლებმა მიიჩნიეს, რომ „ალბატროს პრეზენტში“ პროდუქციის გაყიდვა სწორედ ამ ფასში ხდებოდა და არა სალაროს ჩეკებსა და ბანკის ტრანზაქციებში დაფიქსირებულ ფასებში.

ვთქვათ, რომელიმე ბრენდის საათი კომპანიაში არსებული სალაროს ჩეკის ან საბანკო ტრანზაქციის მიხედვით 1000 ლარად იყო გაყიდული, იმავე საათის ფასად ექსელის ფაილში 1500 ლარი იყო მითითებული. სწორედ ამიტომ საგადასახადომ ჩათვალა, რომ აღნიშნული საათი რეალურად 1500 ლარად გაიყიდა, ბუღალტრულ დოკუმენტაციაში კი ნაკლები, ანუ 1000 ლარი დაფიქსირდა. სხვაობა – 500 ლარი – საგადასახადომ აღურიცხავ ბრუნვად ჩათვალა და საურავები დააკისრა. ასე გამოთვალა საგადასახადო სამსახურმა სხვაობა კომპანიის ბუღალტერიაში დაფიქსირებულ ფასებსა და ექსელის ფაილში დაფიქსირებულ ფასებს შორის და დაადგინა, რომ კომპანია საშუალოდ 62%-ით ძვირად ყიდდა საქონელს, ვიდრე ეს მის საბუღალტრო დოკუმენტაციაში იყო მითითებული.

„აღსანიშნავია ის, რომ ეს ფაილი არ მოიცავდა ყველა ბრენდის სარეკომენდაციო ფასს. სარეკომენდაციო ფასის დათვლას გარკვეული ბრენდები ჩვენ არ გვთხოვდნენ და არ იყო ეს იმ ექსელის ფაილში. ამის მიუხედავად, აუდიტმა ჩათვალა ეს ფაილი მისთვის სახელმძღვანელოდ, ანუ შავ ბუღალტერიად და გადაამრავლა მთელ პერიოდზე“, – ამბობს ბეგიაშვილი.

საგამომძიებო სამსახურმა „ალბატროსის“ ყველა თანამშრომელი

დაკითხა, არცერთ მათგანს არ დაუდასტურებია, რომ საქონელს ძვირად ყიდდნენ და სალაროს ჩეკში ნაკლებს აფიქსირებდნენ. თანამშრომლებმა ინტერვიუზე უარი გვითხრეს, ერთ-ერთი მათგანის გადაღება მოვახერხეთ, მაგრამ უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მის ვინაობას არ ვამჟღავნებთ.

„მეკითხებოდნენ, რასაც ყიდდით, ყველაფერს არტყამდით ჩეკსო? კიმეთქი, რატომღაც ეს არ დაგვიჯერეს. მიყვიროდნენ, თან გავაფრთხილე, ფეხმძიმედ ვარ-მეთქი. ეს ფეხებზე დაიკიდეს, შენ დაგიჭერთ, შენი თავი შენვე გადაარჩინეო, – ასე შემუქრებოდნენ. მე ვპასუხობდი სიმართლეს, როგორც იყო ყველაფერი, რასაც ვყიდდით, ჩეკებს ყველაფერს ვართყამდით. ვყიდდით იმ ფასად, რაც ჩეკებში იყო მითითებული. ლამის მართლა დამიჭირეს და დამადეს ბორკილები, რომ გავიხედე ირგვლივ 10 კაცი იყო, მე ერთი ქალი ვიჯექი, კრუგში რომ ვიყავი. პირდაპირ მეჯდა ვილაც, არ ვიცი სახელი, ხელები მაგიდაზე მედო და პასტას მირჭობდა ხელებში“, – გვითხრა „ალბატროსის“ თანამშრომელმა.

საგადასახადოს მიერ შედგენილი აქტი და „ალბატროს პრეზენტის“ ადვოკატების შეგროვებული მტკიცებულებები შეფასებისთვის საგადასახადო საქმის სპეციალისტს როინ მიგრიაულს მივუტანეთ.

მიგრიაული სამართლის დოქტორია, განათლება გერმანიაში აქვს მიღებული და რამდენიმე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია. დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იურისტი ამბობს, რომ საგადასახადო აქტი მტკიცებულებებით არ არის გამყარებული.

„პირდაპირ ექსელის ფაილი აიღეს და გამოიყენეს არსებით მტკიცებულებად, რაც დაუშვებელია. არ შეიძლება ექსელის ფაილი საპირნონე იყოს დანარჩენ იმ საბუღალტრო დოკუმენტაციისა, რაც გააჩნდათ საწარმოში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე რომ ვწერ რაღაცას, ეს არ ნიშნავს, რომ მე ამ ფასად გავყიდე. შემდგარი ფაქტი უნდა გამოიძიო და უნდა დაამტკიცო, რომ ეს ასე მოხდა. კომპიუტერში აღმოჩე-

ნილი ეს ფაილი არ არის პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ გადაამხდელი გადასახადებს მალავდა“, – მიაჩნია როინ მიგრიაულს.

„ალბატროს პრეზენტში“ პროდუქციის თითქმის ნახევარი, საბანკო გადარიცხვებით იყიდებოდა. ანუ, მყიდველების უმრავლესობა ნაღდ ფულს კი არ რიცხავდა, არამედ ბანკის მეშვე-

■ „არ ჩანს საქმეში თაღლითების ჯგუფი. უნდა იყოს ჯგუფი, უნდა იყოს დადგენილი, რომ ჯგუფიდან ეს ადამიანი, კიდევ ეს ადამიანი და კიდევ ეს ხელს უწყობდა ბეგიაშვილს მოტყუებაში და თაღლითობაში. საქმეში კი ეს არ ჩანს“, – განაცხადა გამყრელიძემ ჩვენთან საუბრისას.

სასამართლოს მეზობელი

სასამართლოს მეგობარი საპროცესო კანონმდებლობაში 2010 წლის ოქტომბრიდან გაჩნდა, ეს არის პირი, რომელიც კონკრეტული სფეროს სპეციალისტია, მიუკერძოებლად სწავლობს საქმის მასალებს და მოსამართლეს საკუთარ მოსაზრებას ნერილობით წარუდგენს. ეს ინსტიტუტი წარმატებულად მუშაობს ევროპასა და ამერიკაში, საქართველოში კი პირველად საკონსტიტუციო სასამართლოში დაინერგა. ბეგიაშვილის საქმეში სასამართლოს ორი მეგობრის ნერილობითი მოსაზრებაა. პირველი მოსაზრება ბეგიაშვილის კომპანიის მიერ უძრავი ქონების პრივატიზაციის კანონიერებას ადასტურებს, მეორე კი, სისხლის სამართლის საქმეში ჯგუფური თაღლითობის კვალიფიკაციას არ ეთანხმება.

ბით იხდიდა საქონლის ღირებულებას. როინ მიგრიაული ამბობს, რომ საბანკო ტრანზაქცია უტყუარი მტკიცებულებაა და მისი სიმცდარე აქტის მიხედვით საგადასახადომ ვერ დაამტკიცა.

„ბანკის ტრანზაქცია უნდა მივიჩნიოთ როგორც ყველაზე უფრო სანდო ტრანზაქცია, მას ისეთივე წონა აქვს უტყუარობის თვალსაზრისით, როგორც ნოტარიუსთან შესრულებულ რაღაც აქტს. როგორ შეიძლება ამის საპირნონედ რაღაცა კომპიუტერიდან ამოღებული ფაილი მიიჩნიო?“ – განაცხადა მიგრიაულმა ჩვენთან საუბრისას.

ჩვენ „ალბატროს პრეზენტის“ წინააღმდეგ შედგენილი საგადასახადო აქტის ავტორს მიხილ შუბითიძეს დაუვუკავშირდით და მტკიცებულებებზე ვკითხეთ. მან დაადასტურა, რომ გადასახადის დარიცხვა კომპიუტერში აღმოჩენილ დოკუმენტში მითითებული ფასების მიხედვით მოხდა. შეკითხვაზე – გარდა აღმოჩენილი ფაილისა, მონმეები თუ ადასტურებენ იმავეს, შუბითიძემ გვიპასუხა:

– ეს ლაპარაკი არ გამოვა ასე. ეს არის სისხლის სამართლის საქმე, ეს საქმე არ არის დასრულებული. ახლა მისვამთ რაღაც დაზეპირებულ შეკითხვებს და უნდა გაგცეთ დაზეპირებული პასუხი. ჩემს კომპეტენციაში არ შედის“.

– როგორ არ შედის, თქვენ მიერ შედგენილ აქტზე გისვამთ შეკითხვას.

– მისმინე რა, ჩემს კომპეტენციაში არ შედის. ამ საქმეს ჰყავს გამომძიებელი, გამომძიებელთან მიბრძანდით და თუ ის დამიძახებს, იმასთან ერთად გაგცემთ პასუხს.

თუ საგადასახადოს ვერსიას მივყევით, გამოდის, რომ ნივთის გაყიდვისას კლიენტი და მალაზია ფარულ გარიგებას ანარმობდნენ, კლიენტი ნივთის ღირებულების ნაწილს ოფიციალურად იხდიდა და შესაბამის დოკუმენტს, მაგალითად, ჩეკს იღებდა, მეორე ნაწილს კი არაოფიციალურად, ხელზე უხდიდა მალაზიას. ამის დასამტკიცებლად საგადასახადოს არცერთი კლიენტი არ გა-

მოუკითხია, არადა, მათი ვერსიით, ყველა კლიენტი იმაზე მეტ თანხას იხდოდა, ვიდრე მისთვის მიცემულ დოკუმენტში იყო მითითებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კლიენტების უმრავლესობა შესაძლოა უკანონო გარიგებაში ყოფილიყო „ალბატროს პრეზენტთან“.

ადვოკატები „ალბატროს პრეზენტის“ კლიენტების ნაწილის დაკითხვას უშედეგოდ მოითხოვდნენ. საინტერესოა, რომ „ალბატროს პრეზენტის“ კლიენტებს შორის იყვნენ პრეზიდენტის მეუღლე სანდრა ელისაბედ რულოვსი, ბიძინა ივანიშვილის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, პარლამენტის ნაციონალური უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი, ყოფილი პარლამენტარი ნიკო ლეკიშვილი, დავით კეზერაშვილის ცოლის ძმა და გიგა ბოკერიას ქვისლი კახაბერ ნინუა, ეს იმ კლიენტების არასრული ჩამონათვალია, რომელთა გამოკითხვაც გამოძიებას დაარწმუნებდა, ხდებოდა, თუ არა საქონლის, ბუღალტრულ დოკუმენტაციაში დაფიქსირებულზე უფრო მაღალ ფასად გაყიდვა. წესით, კლიენტებს უნდა ხსომებოდათ რამდენიმე ათას ლარად ღირებული შენაძენის ფასი.

აღნიშნული არგუმენტაცია და მტკიცებულებები „ალბატროს პრეზენტის“ ადვოკატებმა ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განმხილველ საბჭოს წარუდგინეს, თუმცა საბჭომ საგადასახადოს პოზიცია გაიზიარა და ექსელის ფაილი შავ ბუღალტერიად მიიჩნია.

„დავების საბჭომ არ გაიზიარა ჩვენი არგუმენტაცია, რომ ექსელის ფაილი იყო სტატისტიკა და არა შავი ბუღალტერია, თუმცა „ალბატროს პრეზენტს“ დაკისრებული 3 მილიონამდე ჯარიმის ნაწილი ჩამოაკლო. დავების საბჭომ მიიჩნია, რომ ვინაიდან ექსელის ფაილი კომპანიაში 2007 წლიდან არსებობდა, ფაილის მიხედვით გადასახადებიც კომპანიას 2007 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში უნდა დაკისრებოდა. ანუ, საბჭომ არასწორად მიიჩნია, როცა საგადასახადომ საურავები კომპანიას 2005 წლიდან რომ დააკისრა“, – ამბობს ადვოკატი მერაბ ჩიქოვანი.

დავების საბჭოს გადაწყვეტილებით, კომპანიას დაკისრებული ჯარიმის ნაწილი ჩამოაკლდა, თუმცა საბჭოს გადაწყვეტილება მხარემ სასამართლოში გაასაჩივრა, სასამართლომ საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და მიიჩნია, რომ აღმოჩენილი ექსელის ფაილი შავი ბუღალტერია იყო, საქალაქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომაც ძალაში დატოვა, სააღსრულებლო ბიუროს უკვე შეუძლია „ალბატროს პრეზენტის“ მთელი დაყადაღებული ქონება აუქციონზე გაყიდოს და სახელმწიფოს დავალიანება ამოიღოს.

„აბსოლუტურად ყველაფერი დაყადაღებულია: სახლი, ავტომანქანები, წილები კომპანიაში, დედაჩემის ქონებაც. 25 წელია ბიზნესში ვარ, ეს ქონება იქმნებოდა ჩემი და ჩემი კომპანიების მიერ. ანგარიშებს ინკასო ადევს, პრაქტიკულად ბიზნესი შეჩერებულია, ვერ ვფუნქციონირებთ, განვიცდით დიდ ზარალს შერცხვენილები ვართ პარტნიორებთან“, – განაცხადა ჩვენთან საუბრისას დავით ბეგიაშვილმა.

უმალავდა თუ არა კომპანია სახელმწიფოს გადასახადებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დამოუკიდებელ აუდიტს შეეძლო, თუმცა ამისთვის აუდიტს „ალბატროს პრეზენტის“ საბუღალტრო დოკუმენტაცია უნდა შეესწავლა, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა. „ალბატროს პრეზენტის“ მთელი დოკუმენტაცია საგადასახადო სამსახურს აქვს ამოღებული და ადვოკატების არაერთი შუამდგომლობის მიუხედავად, მათ დოკუმენტაციის მიწოდებაზე უარს ეუბნებიან.

„დოკუმენტაცია დღემდე არ მოგვანოდეს, რაც კანონდარღვევაა და დაცვის სრულყოფილად განხორციელებაში გვიშლის ხელს“, – ამბობს ბეგიაშვილის ადვოკატი გაგი მოსიაშვილი.

დავით ბეგიაშვილი: „ყველაფერი ბიზნესსკონსერვაციის გამო მოხდა“

20 წლის წინ დაწყებული ბიზნესის განადგურებას დავით ბეგიაშვილი

პრესტიჟულ ადგილას მდებარე უძრავი ქონების ხელში ჩაგდების სურვილს და ბიზნესკონსერვაციას უკავშირებს. ბეგიაშვილი ამბობს, რომ მისი კომპანიის დახურვის შემდეგ ბაზარზე შემცველი გამოუჩნდა. „გამოჩნდა ახალი, გაუგებარი ოპერატორი, არავისთვის ნაცნობი ამ ლუქს ბრენდებში. ამ ახალი კომპანიის დამფუძნებელი შენიღბულია ოფშორში. მის გამოჩენამდე საქართველოს ზონაში „ალბატროს პრეზენტი“ იყო ექსკლუზიური წარმომადგენელი.

ახალი ოპერატორი, რომელზეც ბეგიაშვილი საუბრობს, მალაზიას თავისუფლების მოედანზე, თბილისის საკრებულოს შენობის პირველ სართულზე ფლობს. მალაზიის ფასადზე დატანილია იმ ბრენდების ნაწილის დასახელება, რომლის რეალიზაციასაც წლების განმავლობაში ბეგიაშვილის კომპანია ექსკლუზიურად ეწეოდა.

ჩვენ ვცადეთ გაგვეჩვენებინათ, თუ ვის ეკუთვნის ახალი მალაზია და როგორ მოახერხა თბილისის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ადგილას ფართის მიღება. საჯარო რეესტრში არსებული ინფორმაციით, თბილისის საკრებულოს შენობის პირველ სართულზე მდებარე 288 კვ.მ. ფართი კომპანია „ვოჩ ვორლდს“ აქვს 20-წლიანი იჯარით აღებული. „ვოჩ ვორლდი“ საქართველოში ბეგიაშვილის მალაზიების დალუქვიდან 2 თვეში დარეგისტრირდა, მისი დამფუძნებელი ოფშორში, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „ვეტო გრუფ ინკა“. „ვოჩ ვორლდის“ საწესდებო კაპიტალი 50 ლარია.

ბიზნესის დახურვას დავით ბეგიაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას უკავშირებს. ამბობს, რომ დაკავებისთანავე სამინისტროდან დაურეკეს მის ბიზნეს პარტნიორს, რომელიც ერთ-ერთი მეზობელი ქვეყნის მაღალჩინოსანია და ბიზნესის სხვა პარტნიორთან გაგრძელება ურჩიეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა შოთა ხიზანიშვილმა ჩემი დაპატიმრებიდან რამდენიმე საათში დაურეკა ჩემს პარ-

ტნიორს, რომელსაც იცნობდა თვითონ. უთხრა, რომ მე დაკავებული ვიყავი და საქართველოში ველარ გავაგრძელებდი ბიზნეს საქმიანობას. თუ მას სურდა ბიზნესის გაგრძელება, უნდა გაეგრძელებინა უჩემოდ. ეს არ იყო შოთა ხიზანიშვილის სიტყვები, ეს იყო მინისტრის, ვანო მერაბიშვილის სიტყვები, ხიზანიშვილმა უბრალოდ გაახმოვანა, – ამბობს ბეგიაშვილი.

ჩვენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ შოთა ხიზანიშვილს.

– არა, არა. სისულელეა ეგ ყველაფერი, ვერაფერს გეტყვით ამის შესახებ.

– არაფერი გსმენიათ ბეგიაშვილის დაკავების შესახებ?

– თუ დამირეკავს ეგ კაცი და მეტყვის ვის დაუურეკე და როგორ დაუურეკე რალაცას ამისხნის, შეიძლება გამახსენდეს. არ ვიცი, არ მახსენდება გეგთი არაფერი...

საპრეტორისო მხარდაჭერა

ბეგიაშვილის და მისი კომპანიის პრობლემებით რამდენიმე საერთაშორისო კომპანია და სამი ქვეყნის საელჩო დაინტერესდა. მათ საქართველოს ხელისუფლებას წერილობით აცნობეს, რომ „ალბატროს პრეზენტის“ და „ვაკე 5“-ის პარტნიორები უცხოური კომპანიები იყვნენ და მათ ნაწილს ბეგიაშვილის კომპანიაში ინვესტიციაც ჰქონდა განხორციელებული.

„ჭაჭაჭაძეზე ფუნქციონირებდა მონბლანის მონობრენდული ბუტიკი, სადაც ინვესტიციები თვითონ მონბლანსაც ჰქონდა ჩადებული და მეც მონბლანი ჩავაყენე საქმის კურსში. ჩაერივნენ საელჩოებიც, წერილები მიწერეს პრეზიდენტს და ეკონომიკის მინისტრს, მაგრამ უშედეგოდ“, – ამბობს დავით ბეგიაშვილი.

ბეგიაშვილის პრობლემებთან დაკავშირებით ეკონომიკის მინისტრს წერილი მისწერა გერმანიის ელჩმა საქართველოში ორთვინ ჰენიგიმ. „მივიღეთ ინფორმაცია, რომ ცნობილი გერმანული ბრენდის „Montblanc“-ის პარტნიორს (დილერს) საქართველოში შპს „ვაკე 5“-ს და „ალბატროს პრეზენტს“

ჩამოერთვა საკუთრება და ამით შეჩერდა ძვირადღირებული პროდუქციის გაყიდვა. დამოუკიდებელი ქართველი იურისტების შეფასებით, ეს განხორციელდა სამართლებრივი საფუძვლების გარეშე და სამართლებრივი პროცედურების გვერდის ავლით. ამ წერილით მინდა მხარი დაუჭიროო „Montblanc“-ის წარმომადგენლების თქვენთან შეხვედრის სურვილს, – წერდა ელჩი ეკონომიკის მინისტრს.

იუსტიციის მინისტრს, ზურაბ ადეიშვილს გაუგზავნა წერილი საქართველოში შევიცარიის ელჩმა გიუნტერ ბეხლერმა: „ვისურვებდი გაგსაუბრებოდით

■ ბიზნესის დახურვას დავით

ბეგიაშვილი შინაგან საქმეთა

სამინისტროს ხელმძღვანელობას

უკავშირებს. ამბობს, რომ და-

კავებისთანავე სამინისტროდან

დაურეკეს მის ბიზნეს პარტნიორს,

რომელიც ერთ-ერთი მეზობელი

ქვეყნის მაღალჩინოსანია და

ბიზნესის სხვა პარტნიორთან

გაგრძელება ურჩიეს.

**ხან ნიშნავს
სახელმწიფო ფასი**

სარეკომენდაციო ფასები საათების ბიზნესში არსებული პრაქტიკაა. მას RCP, ან RRP ფასებად მოიხსენიებენ და იმიფრება, როგორც შესათავაზებელი, სარეკომენდაციო ფასი. ინტერნეტში მრავლად მოიძიებთ საიტებს, სადაც ძვირად ღირებული საათების სარეალიზაციო ფასთან ერთად სარეკომენდაციო ფასებიცაა მითითებული. სარეკომენდაციო ფასები, როგორც წესი, ბევრად აღემატება სარეალიზაციო ფასს.

ბატონ დავით ბეგიაშვილის საკითხთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში. ამ შემთხვევამ საქართველო-შვეიცარიის ბიზნეს ურთიერთობებზე უარყოფითად იმოქმედა. 2011 წლის მაისში ბატონ დავით ბეგიაშვილს, შპს „ალბატროს პრეზენტისა“ და „ვაკე 5“-ის მფლობელს, ჩამოერთვა მისი საკუთრება. თითქოსდა საკუთრების უკანონო და თაღლითური გზით შეძენის გამო. თუნდაც ბატონ ბეგიაშვილს რაიმე უკანონო ქმედება ჩადინა 17 წლის წინ, რაც ვერ მტკიცდება ჯერჯერობით, მისი დაკავება მაღაზიის წინ (სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი დაახლოებით 20 პოლიციელის მიერ) და დაკითხვა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში 2011 წლის 23 მაისს ნამდვილად არ შეესაბამება ლეგალურ პროცედურებსა და კანონის უზენაესობის არანაირ სტანდარტებს. ჭაჭაჭაძის № 44-ში მდებარე მაღაზიის ინტერიერი და ავეჯის ნაწილი, ისევე როგორც ლუქს ერთეულების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელიც ვერ იყიდება არსებულ ვითარებაში, ეკუთვნის შვეიცარიულ კომპანიებს, ასევე გერმანულ და სხვა კომპანიებსაც. გთხოვთ, წვლილი შეიტანოთ ამ პრობლემის დროულად მოგვარებაში“.

ბეგიაშვილის საქმეზე ჩვენ კომენტარი იუსტიციის სამინისტროს და მთავარი პროკურატურას ვთხოვეთ, წინასწარ წერილობით გაგზავნილი კითხვების მიუხედავად, ინტერვიუს ჩაწერის საშუალება არ მოგვეცა.

დღეის მდგომარეობით ბეგიაშვილის ქონება თითქმის სრულად განადგურებულია. მან საბოლოოდ დაკარგა ასეულობით ათას დოლარად ღირებული უძრავი ქონება, საგადასახადო სამსახურის გადაწყვეტილებით, ბიუჯეტისთვის გადასახდელი აქვს თითქმის 2 მლნ ლარი. მისი ქონების უდიდესი ნაწილი დაყადაღებულია, ბიზნესი – თითქმის სრულად შეჩერებული. თავად ბიზნესმენს შვეიცარიის სახელმწიფომ პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიანიჭა და თავშესაფარი მისცა, იგი სწორედ შვეიცარიიდან აპირებს საერთაშორისო სასამართლოსთვის მიმართვას და ბრძოლის გაგრძელებას. **■**



ფოტო: ლევან სარგაძე

"МОЛЧИМ В ЗНАК ПРОТЕСТА"

უკვე ორი კვირაა ტელეკომპანია „პიკის“ საინფორმაციო გამოშვება ეთერში აღარ გადის. გაურკვეველია, რა ბედის ელის ამ რუსულენოვან არხს, რომლის შენახვა ბიუჯეტს ყოველწლიურად 14 მილიონი ლარი უჯდება.

თინა ყიფშიძე



„დღის მთავარი თემა რეგიონისა და მსოფლიოს ამბები არაა, არამედ „პიკის“ მომავალი. გვემუქრება თუ არა დახურვა და რატომ მოგვხსნეს სატელიტიდან?“ – ამ სიტყვებით დაიწყო 15 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვება „პიკის“ ჟურნალისტებმა, რომლებიც პროტესტის ნიშნად პირდაპირ ეთერში დუმდნენ. ამ მდუმარე პროტესტით „პიკის“ ჟურნალისტები „პიკის“ ბუნდოვან მომავალს

აპროტესტებდნენ.

მდუმარე საინფორმაციო გამოშვებიდან ხუთ დღეში „პიკის“ საინფორმაციო გამოშვება საერთოდ შეწყდა. დღეს არხზე განმეორებით უშვებენ დოკუმენტურ ფილმებს, სერიალებს და კულტურული შინაარსის გადაცემებს.

ამჟამად არხი აღარც სატელიტზე გადის, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მაუწყებლობა ქვეყნის ფარგლებს არ სცდება.

თავისი მაუწყებლობის ორწლიან პერიოდში „პიკს“ მუდმივად უწევდა საკუთარი არსებობის გამო თავის მართლება და პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ ყოველწლიურად რაში და რატომ იხარჯებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი საკმაოდ სოლიდური თანხები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ბაზაზე შექმნილი არხის ასამუშავებლად, 2011 წელს სახელმწიფო რეზერვიდან 14 მილიონი ლარი გამოიყო, რომელიც წლის დასაწყისშივე დაიხარჯა. იმავე წელს იმდროინდელი ფინანსთა მინისტრის, კახა ბაინდურაშვილის ინიციატივით, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება 20 მილიონით გაიზარდა. ეს თანხა მთლიანად „პიკს“ უნდა მოხმარებოდა. 14 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული „პიკისთვის“ 2012 წელსაც.

თუმცა, დღეს, როცა 2012 წლის დასრულებამდე ორიოდე თვეა დარჩენილი, არხს ფინანსური პრობლემები აქვს და იგი მხოლოდ ფორმალურად მაუწყებლობს.

„პიკის“ პრობლემები საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდს დაემთხვა. ამ არხის ჟურნალისტები ამბობენ, რომ ოქტომბრის ხელფასები ორკვირიანი დაგვიანებით და მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, რაც ეთერში საპროტესტო საინფორმაციო გამოშვებით გავიდნენ.

„რატომ მოგვხსნეს სატელიტიდან?“, „რატომ დაუფიანეს „პიკის“ თანამშრომლებს ხელფასები?“, „რატომ დამთავრდა დროზე ადრე პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი და სადა წავიდა ტელეკომპანია „პიკისთვის“ გამოყოფილი თანხა?“, – „პიკის“ ჟურნალისტები ამბობენ, რომ ამ კითხვებზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრაციისგან პასუხი ვერ მიიღეს.

„როდესაც სექტემბრის ხელფასები დაგვიანდა, ფაქტის წინაშე აღმოჩნდით. ხელფასის დაგვიანებას, ცხადია, ავიტანდით, მაგრამ ეს ფაქტი იყო იმის დადასტურება, რომ გავრცელებული ჭორები „პიკის“ დახურვის შესახებ, მართლდებოდა. ჩვენ ვიღებდით ხელფასს ყოველი თვის 5 რიცხვამდე. 5 ოქტომბერს სექტემბრის ხელფასი ვერ ავიღეთ. ორი კვირა გავიდა და მოხდა ისე, რომ ნაწილმა თანამშრომლების აიღო ხელფასი, ნაწილს ნახევარი ჩაგვერიცხა. ძალიან დიდი ხმაური რომ ატყდა უკვე, 13-14-ში, ფინანსურმა მენეჯერმა გვითხრა, რომ პირველი არხი ფულს აღარ გვაძლევსო“, – ამბობს „პიკის“ ჟურნალისტი თამთა კოკელაძე „ლიბერალთან“ საუბრისას.

ტელეკომპანია „პიკსა“ და საზოგადოებრივი მაუწყებელს შორის ფინანსური საქმიანობა მიღება-ჩაბარების აქტით ხორციელდება. საზოგადოებრივი მაუწყებელი ტელეკომპანიის მიერ დამზადებულ პროდუქციაში საათობრივი ნიხრით იხდის. სექტემბერში დამზადებული პროდუქციის საერთო საფასური 1 090 000 ლარი იყო, აქედან მიღება-ჩაბარების აქტის მიღების შემდეგ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა „პიკს“ მხოლოდ 300 000 ლარი გადაურიცხა.

კოკელაძე იხსენებს, რომ ტელეკომპანიაში ხმაურის ატეხვის შემდეგ, ხელფასების მეორე ნახევარიც ჩარიცხეს, ანუ დამატებით 200 000 ლარი, თუმცა ჟურნალისტებმა 15 ოქტომბრის აქცია მაინც მოაწყვეს, რადგან მათთვის ბუნდოვანი იყო არხის მომავალი. ამ ციფრების მიხედვით, გამოდის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელს „პიკის“ ნახევარმილიონამდე ვალი აქვს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორმა გიორგი ჭანტურიამ, „პიკის“ თემაზე საუბარი მხოლოდ მას შემდეგ გადანაწილა, რაც 15 ოქტომბერს ამ არხზე მდუმარე საინფორმაციო გამოშვებას უყურა. თუმცა, არსებულ კითხვებზე პასუხების გაცემის ნაცვლად, მან მეტი დრო „პიკის“ კრიტიკას დაუთმო.

„სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს შპს

„ტელეკომპანია პიკ“-ის მხრიდან ადგილი აქვს ხელშეკრულების პირობების სერიოზულ დარღვევას. კერძოდ, 2012 წლის 15 ოქტომბერს „პიკ“-ის მიერ განხორციელდა არასანქცირებული მაუწყებლობა სატელიტზე „Hot Bird“, მაშინ როდესაც, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „ტელეკომპანია პიკ“-ის მონოდედელი ტელეპროდუქციის ეთერში უწყვეტად გადაცემა სატელიტურ თანამგზავრზე მხოლოდ მაუწყებლის პრეროგატივაა. გარდა ამისა, 2012 წლის 15 ოქტომბერს „პიკის“ თანამშრომლებმა იმ მოტივით, რომ კომპანიამ დაუგვიანა ხელფასები, პროტესტი გამოხატეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მესამე არხის ეთერში, რაც ჩვენთვის ყოველგვარად დაუშვებელია. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ იწყებს „პიკთან“ არსებული ურთიერთობების გადახედვას“, – ამ შინაარსის წერილი მისწერა გიორგი ჭანტურიამ „პიკის“ დირექტორს ალექსანდრე ფარულავას 16 ოქტომბერს.

„პიკის“ ადმინისტრაციამ ჭანტურიას წერილს მალევე უპასუხა. მეტიც, 18 ოქტომბერს ალექსანდრე ფარულავამ წერილობით მიმართა საზოგადოებრივ მაუწყებელს და თავად შესთავაზა, ურთიერთობების გარკვევამდე ხელშეკრულება შეენეციტათ.

„პიკის“ თანამშრომლები არ გამოირცხვენ, რომ არხის მენეჯმენტსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრაციას შორის გარკვეული გარიგება მოხდა.

თამთა კოკელაძის თქმით, „ეს არის გარიგება, რომელსაც შედეგად მოჰყვა „პიკისთვის“ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გაუჩინარება და 450 ადამიანის უმუშევრად დარჩენა“.

„მნიშვნელოვანი ხალხის მნიშვნელოვანი ინიციატივა“ უწოდა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ტელეკომპანია „პიკს“ 2011 წლის 25 იანვარს. ტელეკომპანია „პიკმა“ სწორედ ამ დღეს დაიწყო მაუწყებლობა და ამ არხის პირველი გადაცემა, ქართული ტელესივრცისთვის საკმაოდ გრანდიოზული პროექტი – პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოსახლეობასთან

ტელეხიდი იყო. „ამ არხს ჩემგან სრული მხარდაჭერა და სრული თავისუფლება ექნება“, – აცხადებდა იგი.

„პიკის“ მაშინდელი გენერალური დირექტორი რობერტ პარსონსი „ლიბერალთან“ საუბრისას ადასტურებდა, რომ არხის მაუწყებლობის პრეზიდენტის ტელეხიდით დანყების ინიციატორი, თავად ქვეყნის პირველი პირი იყო.

ამ რუსულენოვანი არხის მთავარი კონცეფცია, თავის დროზე, პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსული პროპაგანდის ალტერნატიული ინფორმაციით ჩანაცვლება იყო. რუსულენოვანი არხის საჭიროება რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური გახდა, რადგან საქართველოსთვის პოსტსაბჭოთა სივრცეში ომის ქართული ვერსიის გავრცელება მნიშვნელოვანი იყო. ასევე, ომის შემდგომ სააკაშვილის ხელისუფლება საგრძნობლად გააქტიურდა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით (ჩერქეზების გენოციდის აღიარება, ჩრდილო კავკასიელებთან უვიზო რეჟიმი), ამდენად, ამ რეგიონის ქართული ინფორმაციით მომარაგება სტრატეგიულ ამოცანად ჩაითვალა.

დღეს ტელეკომპანია „პიკის“ მაუწყებლობა შეწყვეტილია.

სად წავიდა „პიკისთვის“ 2012 წელს გამოყოფილი 14 მილიონის ნაწილი, რატომ დამთავრდა თანხა წლის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე?

ამ კითხვაზე პასუხისას საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი გიორგი ჭანტურია ამბობს, რომ „ბუნებაში არ არსებობს „პიკისთვის“ გამოყოფილი თანხის ფენომენი, არსებობს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი, რომლის განკარგვაც საზოგადოებრივი მაუწყებლის პრეროგატივაა. ბიუჯეტში „პიკის“ „ბილიკით“ არანაირი თანხა არ არსებობს“, – ამბობს ჭანტურია.

თუმცა, დოკუმენტში, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის 2012 წლის ბიუჯეტს განსაზღვრავს, ცალკე არსებობს გრაფა, სადაც წერია – „მესამე არხის ხარჯები“ და მითითებულია 14 მილიონი ლარი.

ჭანტურია იმასაც უარყოფს, რომ „პიკს“ ფინანსური პრობლემები აქვს.

„ტყუილია, რომ ფინანსური პრობლემები გვაქვს. ჩვენი მოსალოდნელი ხარჯები წლის ბოლომდე 7 მილიონამდეა. მოსალოდნელი შემოსავლები, რომელშიც შედის კომერციული შემოსავლები დაახლოებით 1 300 000 ლარის ოდენობით, ბიუჯეტში ამ წუთისთვის არსებული თანხა 3 500 000 ლარი და საბიუჯეტო შემოსავლები 3 000 000 ლარი. ეს მთლიანად ფარავს ხარჯებს“, – განმარტავს ჭანტურია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი ასევე კატეგორიულად უარყოფს „პიკისადმი“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალის არსებობას. მისი თქმით, პირიქით, „პიკს“ აქვს საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალი – 561 647 ლარი.

„ფინანსური ვალდებულებები ორმხრივია. მათაც აქვთ ჩვენს მიმართ გადასახდელი თანხა, რომელშიც მათთვის ტექნიკის მიქირავება და მსგავსი ხარჯები შედის. შპს „ტელეკომპანია პიკ“-ს საზოგადოებრივი მაუწყებლისგან ავანსად აქვს გარკვეული თანხა ჩარიცხული და ამის მიხედვით მათ აქვთ შესასრულებელი აქვთ ნახევარი მილიონი ლარის შესაბამისი საათები“, – ამბობს ჭანტურია.

25 ოქტომბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე საკუთარ ახსნა-განმარტებაში გაიჭანტურია „პიკთან“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ურთიერთობას დამქირავებელი-დაქირავებულის ლოგიკით ხსნის და ამბობს:

„პიკი“ ჩვენთვის არის პროდაქშენ კომპანია და არა ცალკე ფუნქციონირებადი ტელევიზია. ჩვენთვის ის სტუდიაა, რომელიც ჩვენს შეკვეთებს ახორციელებს. 15 ოქტომბერს, როდესაც ჩვენი შეკვეთილი პროდუქცია უნდა გაემვათ, ჩვენ მოვისმინეთ დუმილი. ჩვენ არ შეგვიძენია მათგან დუმილი, ჩვენ ფულს არ ვიხდით მდუმარე პროტესტში“.

საზოგადოებრივი მაუწყებელი და „პიკი“ კიდევ ერთ საკითხზე დავობენ. მაუწყებელი „პიკს“ სატელიტზე სიგნალის არასანქცირებულ მიწოდებაში ადანაშაულებს. საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი ხაზს უსვამს, რომ ხელშეკრულების მიხედვით, სატელიტზე



ფოტო: ლეონიდა სოსო

სიგნალის მიწოდება საზოგადოებრივი მაუწყებლის უფლებამოსილებაა და „პიკმა“ უხეშად დაარღვია ხელშეკრულების პირობები.

კოალიცია „მედიის ადვოკატირების-თვის“ ხელმძღვანელი თამარ კორძაია ამბობს, რომ „კითხვები რჩება და ეს თემა ასე არ უნდა დაიხუროს. აუცილებელია სპეციალისტების ჩართვა ამ ამბავში, ზუსტად უნდა გაირკვეს როგორ ხდებოდა სიგნალის მიწოდება და რომელმა დაარღვია კონტრაქტი“.

თუმცა, კორძაიას აზრით, „ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ამბავში ისაა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი დაფიქრდეს, რამდენად უზრუნველყოფს იგი კომერციული გავლენებისგან თავისუფალ მაუწყებლობას, როდესაც მთელი არხის კონტენტის წარმოებას კერძო სამართლის იურიდიულ პირს ანდობს. დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მესამე არხის მაცურებლებს ინფორმაცია არ მიეწოდებათ და ეს არის საზოგადო-

■ ამ რუსულენოვანი არხის მთავარი კონცეფცია, თავის დროზე, პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსული პროპაგანდის ალტერნატიული ინფორმაციით ჩანაცვლება იყო. რუსულენოვანი არხის საჭიროება რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური გახდა, რადგან საქართველოსთვის პოსტსაბჭოთა სივრცეში ომის ქართული ვერსიის გავრცელება მნიშვნელოვანი იყო.

ებრივი მაუწყებლის პასუხისმგებლობის თემა და არა „პიკის“ ხელმძღვანელობის“, – ამბობს კორძაია.

იგი ფინანსური საკითხებზე კომენტარისაგან ამ ეტაპზე თავს იკავებს, რადგან ამას ფინანსურ დოკუმენტებში უფრო ღრმად ჩახედვა სჭირდება.

„ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, „პიკის“ მომხმარებელია დაზარალებული. „პიკის“ ჟურნალისტების საკითხი შრომითი ურთიერთობის სფეროში

უნდა განვიხილოთ, რაც სცდება საზოგადოებრივი მაუწყებლისა და „პიკის“ ურთიერთობის ფარგლებს. საზოგადოებრივი მაუწყებელიც დაზარალებულია, რამდენადაც სატელიტზე არასანქცირებულად სიგნალის აწევა მას შესაძლო ჯარიმას აკისრებს. რაც შეეხება „პიკის“ ხელმძღვანელობას, მათ დაზარალებულად ვერ განვიხილავ, მათი თხოვნით შეწყდა მაუწყებლობა“, – ამბობს კორძაია. **■**



ფოტორეპორტაჟი

ერთი

დავინყვებული ოჯახი...

ირაკლი ძნელაძე



ბევრი გვსმენია გაჭირვებაზე, სიღარიბის სოციალურ ზღვარზე და მანც, საინტერესოა ზღვარს ქვემოთ მყოფთა სტატუსი... ალბათ, სიღატაკეა. სწორედ ამიტომ მიიქცია ჩემი ყურადღება ერთ-ერთმა ოჯახმა, რომლის შესახებაც გადავწყვიტე თქვენთვის მომეყოლა. ეს ოჯახი მახინჯაურში, პანსიონატ „ნარინჯში“ ცხოვრობს, ერთ დროს მას სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ფუნქციით იყენებდნენ. ახლა კი უსახლკაროთა თავშესაფრადაა ქცეული. ცივი კედლები... ორბირი ქარი... წვიმა... სიცივე... ეს ყველაფერი იქ მცხოვრებთათვის ბუნებრივი მდგომარეობაა, მათთვის ოჯახი თბილი კერაა. ისინი წარმოშობით ზულოს რაიონიდან, კერძოდ სოფელ ნაზლანიდან არიან. მათი ოჯახი ბუნებრივი კატაკლიზმების მსხვერპლი გახდა. ჩამონოლილმა ზეაგმა გაუნადგურა ყოველივე, რაც რამ ღირებული გააჩნდათ. ყველა ცოცხალი გადარჩა, ამიტომ იძულებული გახდნენ თავშესაფარი მოეძებნათ, სადაც ღამეს გაათევდნენ, უსაფრთხოდ იქნებოდნენ. სწორედ ასე აღმოჩნდნენ თავშესაფრის მაძიებელნი რამდენიმე წლის შემდეგ პანსიონატის ცივ კედლებში, როგორც თვითონ გვიყვებიან, დაპირება ბევრი ჰქონიათ, თუმცა, რეალურად დახმარების ხელი მათთვის არავის

გაუწვდია. ოჯახი თანდათან გაიზარდა, დღეს უკვე ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი ცხოვრობს ოჯახის თერთმეტ წევრთან ერთად. ოთახების რაოდენობა მკაცრად კონტროლდება. პანსიონატის ოთხი სართულიდან მხოლოდ ცხრა მცირე ზომის ოთახი ერგოთ, ესეც იმიტომ, რომ პირველი სართული წვიმიდან შედარებით ნაკლებად სველდება. მათთვის ეს ადგილიც დროებითი საცხოვრებელია, რადგან შენობა გაყიდულია.

ჩვენს დროებაში, სადაც თითქოს გამოსწორდა სოციალური მდგომარეობა, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ცივათ, წყურიათ, შიათ, არ გააჩნიათ საკუთარი „თბილი სახლი“. ასეთ შემთხვევაში რამდენადაც ცნობილია, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას სრულად თუ არა, ნაწილობრივ მანც აუნაზღაუროს ოჯახს ბუნებრივი კატაკლიზმებით მიყენებული ზარალი. მხოლოდ იმიტომ, რომ ისინიც ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან და ჩვენ ყველას თანაბრად გვიცავს კონსტიტუცია. ალბათ ყოველ ჩვენგანს სიბრაულის გრძნობა უჩნდება ფოტოების ნახვისას. გრძნობა წარსულში რჩება, როგორც ერთი თვალთ ნანახი არასასიამოვნო ფაქტი.













დროშა

ბექა ქურხული
მწერალი



პირველად „ეზროსლების“ კლასში ვნახე. მეთერთმეტე კლასელების. 1988 წელი იყო. შემოდგომა. მაგიდაზე გაეფინათ და თვალბგაფართოებულები, როგორც საოცრებას, ისე შევყურებდით. უცნაური დროშა იყო. შინდისფერი, კუთხეში შავი და თეთრი ზოლით. ძალიან მაგარი მუხტი მოდიოდა. ლამაზი, არალამაზი არა ისა... სხვა რამე ხდებოდა, სულ სხვა შეგრძნებას ბადებდა, რაღაც იდუმალის, შენის და საკრალურის. თითქოს მკვდრეთით აღმდგარი წინაპარი გამოგეცხადა. ცხოვრებულმა მუხამ, მენშევიკების დროშააო. ტიკვამ მენშევიკების კი არა – ჩვენიაო. კაჭარავამ – დამოუკიდებელი საქართველოს დროშააო. ჰო, რა, ჩვენიაო. ვიდექით, დავეყურებდით.

რაც თავი მასსოვს, საბჭოთა კავშირის დროშას ვერასოდეს საკუთრად ვერ აღვიქვამდით. იმიტომ კი არა, რომ ჰა და რამე ვიცოდით, ან რაიმეს ვაპროტესტებდით და აზრზე ვიყავით. უბრალოდ, არ იყო ჩვენი და, მორჩა. ბიჭები ხომ სიყალბეს, მით უმეტეს, მაგ ასაკში, ინსტინქტურად, პირდაპირ ჰაერში გრძნობენ. ეგ ისეთი ამბავი იყო: - „ლენინს უყვარდა ბავშვებიო“ და პასუხად იმპროვიზაცია, რომ მიიღეს. „ლენინს უყვარდა, ბავშვებს კი ეკიდათ“. ზუსტად ეგ იყო, საბჭოთა კავშირის დროშაც.

ეს კი ჩვენი იყო. ქართული დროშა. შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს გამოგვეცხადა. დაბრუნდა. და გვითხრა, რომ ადექით და წამოდითო, ქვეყნის გასათავისუფლებლადო. და კიდევ

უფრო შორს – ჯანდაბაშიო. ახლა უკვე საკუთარი დროშა გვქონდა და წინ ველარაფერი დაგვიდგებოდა.

მეორედ ვაკის პარკთან ვნახე, დაახლოებით ორი კვირის მერე, როდესაც 1988 წლის ნოემბრის აქციები დაიწყო. ამ დროშასთან ერთად, დღევანდელი ხუთჯვრიანი დროშა (რომელიც მერე „ნაციონალებმა“ მიითვისეს) და ჩალისფერი დროშაც ფრიალებდა, კუთხეში წმინდა ნინოს ჯვრით. თამარის დროშას ვეძახდით. გახსოვთ ეგ დროშა? დაიკარგა მერე.

დავით გარეჯის ამბები იყო. ვაკის პარკიდან იპოდრომისკენ დაიძრა აქცია. მასსოვს, უფროსების გაფითრებული, შეშინებული სახეები. მანქანებიდან გადმოსული, თითქოს გაშეშებული ხალხი. დროშები ამაყად მიფრიალებდა. ეს მასწავლებლის მაგიდაზე გაფენილი დროშა არ იყო. თუმცა, იქვე ეტყობოდა, რომ დიდ საქმეებს და უბედურებას დაატრიალებდა. მიფრიალებდა ქუჩაში, ხალხის თავზე, როგორც დიდი ხნის ტყვეობიდან სახლში დაბრუნებული მეომარი, როგორც ბოთლიდან ამოშვებული ჯინი თავისუფლებისა, რომელსაც ველარასოდეს უკან ველარ დააბრუნებ, ველარასოდეს ველარ იქნები მონობაში, მშვიდად, უსაფრთხოდ და უზრუნველად. ვგრძნობდით, რომ ამიერიდან სულ შარში ვიქნებოდით და ჩვენც სწორედ ეგ გვიხაროდა. მკვდრეთით აღმდგარი წინაპრისაგან სხვას არც არაფერს ველოდით.

უფროსები კი გადაფითრებულები იდგნენ ტროტუარზე და გვიყურებდნენ. გათეთრებულები იყურებოდნენ მანქანებიდანაც. უცებ თეთრ „ვოლგაში“ მჯდომ მოხეულ ბიძას სახე მოექცა და ისეთი გამეტებით დააჭირა სიგნალს ხელი, თითქოს ტყვიამფრქვევის სასხლეტიაო. სიგნალმა ჰაერი გაჭრა და იმ წამსვე, მთელი ვაკე-საბურ-

თალო გააყრუა გაბმულმა გუგუნმა. აზრიალებულ მანქანებში მიფრიალებდა დროშა, ამ ყველაფერს ერთდროულად საზეიმო და საგანგაშო იერი ედო. ჰაერიც კი სხვანაირად დაიტენა.

პირველად ამ დატენილმა ჰაერმა ნახევარი წლის შემდეგ, ცხრა აპრილს იფეთქა. თითქმის 70 წლის მერე, ეს იყო პირველი ბრძოლა, რომელიც ამ დროშამ მიიღო. და ცნობილი კადრი, როდესაც ბიჭი ჯოხს ურტყამს რუსულ „ბეტერს!“ მაგრად ვცოფდები, როდესაც ამ კადრზე, სხვადასხვანაირ ფსევდონიტელექტუალურ ანალიზს მოჰყვებიან ხოლმე – „ღრმა აზროვნებით“ გამსჭვალული ტექსტებით, რომ „ჩვენ ის ხალხი ვართ“ და „რა სიგიჟეა ჯოხით ტანკზე“ და ა.შ. გეთანხმებით – ჯოხით ტანკზე სიგიჟეა. ამაზე განმსჯელი, მონყალე და მენტორული ტონით საუბარი კი დიდი ჭკუის და ინტელექტის ნიშანი ყოფილა. და კიდევ, სისულელის და უტრაკობის. სისულელე და სიგიჟე კი, ბოდიში მომითხოვია და, სულ სხვადასხვა რამეა.

სხვათა შორის, არსებობს საოცარი ფოტოები, როდესაც შუაგულ ევროპაში, პრალაში, ქვევს და ჯოხებს ესვრიან იმავე რუსულ ტანკებს, მაგრამ რაღაც არ მასხენდება, ვაცლავ ჰაველს, მილოშ ფორმანს ან მილან კუნდერას ამაზე ბევრი ეცინოთ, ან იმის ლაპარაკს მოჰყოლოდნენ, რომ – „ჩეხები გოიმები ვართ, რომ ქვის სროლა უაზრო და ცუდი საქციელია. და „ნუ“, რა უნდა დააკლო ტანკს ქვით და ჯოხით. აი, „ნუ“ რა?“ ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენგან განსხვავებით, ჩეხები მართლაც არ არიან გოიმები.

კარგი! დავანებოთ ამას თავი! ცხრა აპრილის მერე დაიწყო და დაიწყო. პირველი სამოქალაქო ომის დროს, როდესაც მთელი რუსთაველი ინვოდა, მასსოვს პირველი, რაც უც-



ნაურად და ცუდად მომხვდა თვალში, ის იყო, რომ ჩვენი დროშა, სწორედ იმ რუსულ „ბეტეერზე“ ფრიალებდა, რომელიც სულ რაღაც წელიწადნახევრის წინ, იმავე 9 აპრილს, მოსაკლავად დაგვდედა. მახსოვს, როგორი უცხო და სხვანაირი იყო თვითონ დროშაც, გახუნებული, რამდენიმე ადგილას ტყვიით გახვრეტილი, გაცრეცილი. უფრიალებდა გაძენძილი ბოლო!

ამის შემდეგ, კაი ხუთი წელი იარაღის ხმა არ შემწყდარა საქართველოში. დროშა ყველგან იყო. უკვე უამრავჯერ დაცხრილული, დენტის და ცეცხლის სუნით გაჯერებული, მტერიანი და იმ ბიჭებთან ერთად ნაადრევად დაბერებული, ვინც „პირველად“ აღმოაჩინა, სახლში დააბრუნა და წინ გაიძლო. იყო ყველა ომში და რომელ ომშიც წავიდა, ყველგან დამარცხებული დაბრუნდა. დაწყებული რუსთაველის გამზირიდან, სადაც ორივე მხარეს თვითონ იყო და ორივე მხარეს დამარ-

■ მიფრიალებდა ქუჩაში, ხალხის თავზე, როგორც დიდი ხნის ტყვეობიდან სახლში დაბრუნებული მეომარი, როგორც ბოთლიდან ამოშვებული ჯინი თავისუფლებისა, რომელსაც ველარასოდეს უკან ველარ დააბრუნებ, ველარასოდეს ველარ იქნები მონობაში, მშვიდად, უსაფრთხოდ და უზრუნველად.

ცხდა, დამთავრებული ცხინვალში და აფხაზეთში, რუსებთან ომში, სადაც რამდენიმე ბრძოლაში ძალიან მაგრად იფრიალა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც დამარცხებული და დაცხრილული მოდიოდა უკან, თავისნაირად დამარცხებულ და დაცხრილულ ბიჭებს გადაფარებული.

ვერ ვიგებ, მეცინება, როცა ამბობენ ლამაზია, ულამაზოა, შავი ფერი დროშაში არ უნდა იყოსო. არ ვიცი, მე ეგ არ მაინტერესებს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემი დროშა, ჩემი თაობის

და როგორც ბიჭობაში გადახდენილი საშინელი და მაგარი ამბები ჩაგრჩება სულში კაცს და მერე მთელი ცხოვრება მოგყვება, ეგრე მომყვება ეს დროშაც.

და სადაც არ უნდა დავინახო, იმ თეთრ „ვოლგაში“ მჯდარი მოხეული ბიძასავით მომექცევა ხოლმე სახე და ისე გააფთრებით ვაჭერ ხოლმე ხელს სიგნალს, როგორც ტყვიამფრქვევის სასხლეტს. 

მასახვე ტანბო!



კაბა თოლორდავა
ჟურნალისტი

რამდენიმე დღის წინ ქუჩაში ჩხუბს შევესწარი, მეოთხედ თუ მეხუთედ ამ ერთი თვის განმავლობაში. ორი საშუალო ხნის მამაკაცი, ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო, ერთმანეთს მშობლების სულებს უტრიალებდნენ. მეზობლები მათ გაშველებას ცდილობდნენ, თუმცა – უშედეგოდ. შემთხვევით შევეხიერე იმ ქუჩაზე. ჩემს გზაზე მივდიოდი, მოჩხუბრებთან, რა თქმა უნდა, არაფერი მესაქმებოდა, მაგრამ რომ ჩავიარე, მივხვდი, რომ აგრესიული მუხტი შლეიფივით გამყვა თან. ასე ხშირად ხდება ხოლმე, ასეთია აგრესიის ბუნება, მაგრამ იმ დღეს, როგორც კი ამ მუხტისგან გათავისუფლებას შევეცადე, სრულიად მოულოდნელად ტანგოს გადავანყედი. მოკლედ, ეს ტექსტი ლანძღვა-გინების, ტანგოს და ქალაქში ხეტილისას აკიდებული აგრესიული მუხტის შედეგია.

პირველი, რაც იმ ქუჩიდან მოცილების შემდეგ შემომივარდა თავში, ქართული სამოქალაქო საზოგადოება და მისი ყოფნა-არყოფნის შედეგად ატეხილი ხმაურის ექო იყო. აგრესიული აქტის შემდეგ ასეთი ასოციაციური ჯაჭვის გაჩენაც ბუნებრივია. იმ დღეს მოჩხუბრებმა რატომღაც სწორედ ამ მიმართულებით მომისროლეს და სულ რამდენიმე წუთში, მას შემდეგ, რაც ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა ჩაილღვეს თვალწინ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამ კამათის უსაფუძვლობაში. ქართული სამოქალაქო საზოგადოება არსებობს და ის ისეთია, როგორც არის, მორჩა და გათავდა. რა მოხდება მერე, ჯერჯერობით გაუგებარია, მაგრამ ფაქტია ის, რომ ამ საზოგადოების

წევრებს ერთმანეთი არ უყვართ. ან, თუ გნებავთ, უყვართ-არ-უყვართ, თქვენზეა დამოკიდებული – ჭიქა ნახევრად სავსეა თუ ცარიელი (თუმცა საკმარისია ტელევიზორი ჩართოთ ან „ფეისბუქში“ შეიჭვრიტოთ, ყველაფერი რომ ნათელი გახდეს). ქართულ სამოქალაქო საზოგადოებასთან პირადად ჩემი მიმართება „უსიყვარულო მდგომარეობის“ აღიარებაა. ნუ შემეკამათები, თუ შეიძლება, მე ამ საზოგადოების წევრი ვარ! სწორედ ასეთ რამეებზე ფიქრისას შევეჯახე ტანგოს, უფრო სწორედ, ტანგო შემეჯახა მე.

ტანგო კრიზისის ცეკვაა, შესაბამისად კრიზისის პროდუქტიცაა. ის ძალიან ინტრო-



ვერტული, ემოციურად პირქუში ცეკვაა, რომლის სული და გულიც წარსულის წარუმატებლობები, აწმყოს გაურკვევლობა და არცთუ ნათელი მომავალია. საიდანაც არ უნდა მიუდგე ამ ცეკვას, იქნება ეს ქალის და კაცის ურთიერთობა, პირადი ცხოვრება თუ ნებისმიერი სხვა მდგომარეობა, ტანგო ყველა შემთხვევაში „ავარიის“ შედეგად გაჩენილი ფენომენია. როგორც არგენტინელი პოეტი დისეპოლო ამბობს, ის ცეკვა-

დქცეული სევდიანი ფიქრია. ეს ასეც უნდა იყოს. ტანგო მეცხრამეტე საუკუნეში, რიო დე ლა პლატას შესართავში, ურუგვაის და არგენტინის საზღვარზე გაჩენილი ცეკვაა და სულ თავიდან მას უქალო კაცები, ძირითადად მეზღვაურები ცეკვავდნენ. ვილაც-ვილაცებს კაციც კი ჰყავდათ მოკლული. აქედან, ტანგოს ბრუტალური და ოფლიანი მდგომარეობაც. სპეციალურად ტანგოსთვის დაწერილ სიმღერებში (ასეთი დაახლოებით 4 000-ია ცნობილი, არსადაა ნახსენები სიტყვა „მამა“, სამაგიეროდ, ძალიან ბევრშია სიტყვა „დედა“). რა თქმა უნდა, დროის განმავლობაში ტანგო იცვლებოდა, მაგრამ მისი მდგომარეობა არ შეცვლილა. მილონგა, ასე უწოდებენ იმ ადგილს, სადაც ტანგოს ცეკვავენ, როგორც წესი, პოლარულად დაპირისპირებული ადამიანების მდგომარეობა, მათ შორის გაჩენილი ბრძოლის ველია და არა შეყვარებულების სარეცელი. ამ ყველაფერთან ერთად, ტანგო დინამიკური ინტიმურობის ძიებაში დახარჯული დროცაა. ის ღუნების და უარყოფის ველში ვითარდება. ის „სიყვარულია, რომელიც როგორც აღმოჩნდა, არაფერი ყოფილა.“

აი, ასე მივედი იმ აზრამდე, რომ ტანგო აბსოლუტურად ქართული ცეკვაა, უფრო სწორედ, ქართული მდგომარეობა, დაწყებული სუფრით და დასრულებული პარლამენტით. ის ასეთი იყო ყოველთვის და ასეთად დარჩა დღესაც, ოღონდ ისე, რომ ამის შესახებ თვითონაც არაფერი მოეხსენება. დღეს მთელი თბილისი, სრულიად საქართველო, ტანგოს ცეკვაში ითვისებს აწმყოს, მისტირის წარსულს და შიშით ელოდება მომავალს, ყველა, პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, უმრავლესობა და უმცირესობა, „მიმისტები“ და „ბიძინარები“, თქვენ და ისინი, მე და თქვენ, მე და შენ... არ სჯობდა სხვა ქუჩაზე ჩამეგლო? ისე კი, ყველა ჩემიანს უკვირს, რომ ვეუბნები, ტანგოს ცეკვა უნდა ვისწავლო მე-თქი...



www.ucnobifm.ge



ახალი დინამიკა

www.tv9.ge